საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№20 (491)
5 - 11 ივნისი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



ყაზახეთის საელჩოს თანამშრომლებმა და პირადად ბატონმა ელჩმა ფრიად კეთილგანწყობილი ადამიანების შთაბეჭდილება დატოვეს 16

## ივნისში აპირებენ გენერალურ რევანშს 17 მაისის გამო

### «ქართველი საზოგადოება არ მოითმენს უზნეობის პროპაგანდას»






## ცხვირის ერთ ნესტოში ნარკოტიკებს გვტენიან, მეორეში — ლგბტ თემს 3



## ექსპერიმენტი — სად გადის ქართველთა მოთმინების ზღვარი? 4





6

თამარ კიკნაძე:

## ძალიან ბევრი რამ, რაშიც რუსეთს ვადანაშაულებთ, ჩვენი ბრალია, იმ სიძულვილის ბრალია, რომელსაც სხვისი კარნახით ვაფრქვევთ

«ტენდენციაა, რომ ყველაფერი რუსეთს უნდა დაბრალდეს, თორემ, პირობითად, აზერბაიჯანთან საქართველოს ურთიერთობის დაძაბვით სომხეთი უფრო უნდა იყოს დაინტერესებული, ვიდრე რუსეთი»

## ზაქათალა და დავითგარეჯის ქედი უძველესი ქართული ტერიტორიებია




8 «გვჯერა, რომ აზერბაიჯანული მხარე გაითვალისწინებს ისტორიულ რეალობებს და სიმართლე იზეიმებს»

## განათლება, მათემატიკა და რუსები

5

მძვინვარე «ჯეჯეილისტები»




რა საჭიროა მათემატიკა, ბოტანიკა ან ზოოლოგია და გეოგრაფია?

## სსრკ-ის ხელმძღვანელობის 5 გადაწყვეტილება, რომლებმაც ქვეყანა გადაარჩინა 14





აქტუალური ინტერვიუ

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„როგორი პროპაგანდაც უნდა მიდიოდეს, როგორი წნეხიც უნდა ხორციელდებოდეს, ძალოვანების უდიდესი ნაწილი ყოველთვის იქნება საზოგადოების გვერდით. ამას ვერ შეცვლის ვერც შეშფოთება და ვერც მუქარა რეაქციული ძალებისა, იმიტომ, რომ ის სამართალდამცველიც კონსერვატორია თავისი შეგნებით და მისთვისაც მიუღებელია, როცა მის ფასეულობებს, მის კულტურასა და ტრადიციებს გარედან თავს მოხვეული ფსევდოლირებულებებით ებრძვიან“.



**დიმიტრი ლორთქიფანიძე:**

# ივნისში აპირებენ გენერალურ რევანშს 17 მაისის გამო

# «ეს განცხადება შეიძლება აღმოჩნდეს ტრამპლინი ბატონ გიორგი გახარიას წინსვლისთვის»

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლგბტ თემის მიერ ივნისისთვის დაგეგმილ სოდომ-გომორულ კვირეულზე უსაფრთხოების დაცვის პასუხისმგებლობა ოფიციალურად მოიხსნა და სააღლუმოდ აკრიახებულ სოროსის გრანტნაწოვ ქათმებს ცივი წყალი გადაასხა.**

განცხადებაში, რომელიც უწყებამ მას შემდეგ გაავრცელა, რაც გეიაღლუმის ორგანიზატორებს მესამედ შეხვდა და ვერაფრით შეაგნებინა, რომ შეუძლებელია, შუაგულ თბილისში მამათმავლობის ზეიმი ჩაატარო. საუბარია რისკებსა და საფრთხეებზე... თუმცა, თავის მხრივ, ამ განცხადებით გაცოფებულმა სოდომისტებმა კეთილი რჩევა არ შეისმინეს და გასულ კვირას შეშფოთებისგან მედიაში დუჟი ანთხიეს; გამოსვლებში იყო ღია მუქარა და თითის ქნევა, რომ ხელისუფლებას „ეს ცინიზმი“ არ შერჩება, რომ დახმარებისთვის მალე სტრასბურგს მიმართავენ და „ბნელ საგრუზინეთს“ „სიძულვილისთვის“ „ცივილიზებული ევროპის“ რისხვას დაატეხენ. მოკლედ, საყოველთაო ლიბერალურმა გნიასმა და ისტერიკამ ქვეყანა კიდევ ერთხელ „შეაზანზარა“, „დემოკრატიულ“ დასავლეთს მეტი გრანტის გამოყოფის „აუცილებლობა“ დაანახვა.

რა სადამსჯელო მოქმედებებია ევროპისგან მოსალოდნელი იმის გამო, რომ სახელმწიფო პირველი კავკასიური გეიაღლუმის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას ვერ იღებს და რა ნაბიჯებით მოუწევს ხელისუფლებას ახლო მომავალში ამ „შეცდომის“ გამოსწორება?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, რამდენიმე დღის წინათ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ლგბტ პრაიდის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა მოიხსნა და განაცხადა, რომ ამ ღონისძიების ჩატარება იქ, სადაც თვითონ ლგბტ თემის წარმომადგენლებს სურთ, შეუძლებელია. ამას, რა თქმა უნდა, ისტერიკა მოჰყვა... როგორ შეაფასებთ სამინისტროს პოზიციას?**

— მისასალმებელია, რა თქმა უნდა, ეს განცხადება და მით უფრო სასიამოვნოა ის, რომ ამ პოციზიის გამოხატვა მოხდა ოფიციალურად, სადმე დახურულ კარს მიღმა და პირად საუბრებში კი არა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, არამედ საჯაროდ. ახლა ჰქონდა თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტროს ასეთი განცხადების უფლება, პირდაპირ ვიტყვი, რომ ჰქონდა, ვინაიდან შეკრებისა და მანიფესტაციების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება — ეს არ არის აბსოლუტური უფლება და სახელმწიფოს ყოველთვის აქვს სამართლებრივი ბერკეტი, რომ დემოკრატიული საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე შეზღუდოს ამა თუ იმ ჯგუფის მოთხოვნები. თუმცა მოგეხსენებათ, დაგეგმილ პრაიდს მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო, ამ დღეებში ჩამოსვლას აპირებენ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატებიც, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო აძლიერებს ლიბერალურ წნეხს გარე სამყაროდან. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ახლა შინაგან საქმეთა სამინისტრო დგას სერიოზული დილემის წინაშე და მისი მხრიდან იმ პოზიციის დაცვა, რაც ოფიციალური განცხადებით გამოხატა, მარტივი არ იქნება...

**— გინდათ, თქვათ, რომ ძვირი დაუჯდებათ ეს ყველაფერი?**

— ყველაფერს აქვს თავისი ფასი, მაგრამ **ხელისუფლებამ უნდა იცოდეს ერთი რამ: როგორც გარე ძალებისგან შეიძლება მოჰყვეს გარკვეული სადამსჯელო პოლიტიკური მოქმედებები მის მიერ საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღებას, ისე მოჰყვება საზოგადოებისგანაც არანაკლებ მწვავე რეაქცია ხელისუფლების მხრიდან გარე ძალების ბრმა მსახურებას.** ისე, ვფიქრობ, რომ წლევანდელმა 17 მაისმა საკმაოდ მკაფიო და ნათელი პასუხი გასცა მმართველ გუნდს, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ **ქართველი საზოგადოება, განსხვავებით დასავლეთის რიგი ქვეყნებისგან, არ მოითმენს და ვერ აიტანს უზნეობის პროპაგანდას.** ახლა დანარჩენი თვითონ აწონ-დაწონონ და გამოიტანონ დასკვნები — დაიცავენ საზოგადოების ინტერესებს და მის მოთხოვნებს, დაიმსახურებენ მოწონებას, მიუხედავად იმ ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯებისა, რაც აქამდე გადადგეს. შეასრულებენ გარე ძალების მითითებებს და შეეცდებიან გარყვნილების ზეიმის ჩატარებას? — მიიღებენ დიდ სოციალურ აფეთქებას. სხვათა შორის ამ დღეებში გაცოფებული ლიბერალებისგან მუდმივად ვისმენთ და ვხედავთ თავდასხმებს ჩვენს სამართალდამცველ სტრუქტურებზე, რომლებიც, თურმე, სათანადოდ არ იცავენ უმცირესობების „გამოხატვის თავისუფლებას“. ჩვენ, რა თქმა უნდა, კარგად გვესმის, რომ თითოეული ჩვენი სამართალდამცველი, თითოეული პოლიციელი საზოგადოებრივი აზრის მხარეს დგას და ეს ნათლად დავინახეთ, როცა 2018 წლის 12-13 მაისის დრამატულ ღამეს ჩვენ გვერდით იდგნენ. რაც შეეხება ამჟამად მიმდინარე პროცესებს, **მჯერა, რომ როგორი პროპაგანდაც უნდა მიდიოდეს, როგორი წნეხიც უნდა ხორციელდებოდეს, ძალოვანების უდიდესი ნაწილი ყოველთვის იქნება საზოგადოების გვერდით. ამას ვერ შეცვლის ვერც შეშფოთება და ვერც მუქარა რეაქციული ძალებისგან, იმიტომ, რომ ის სამართალდამცველიც კონსერვატორია თავისი შეგნებით და მისთვისაც მიუღებელია, როცა მის ფასეულობებს, მის კულტურასა და ტრადიციებს გარედან თავს მოხვეული ფსევდოლირებულებებით ებრძვიან.**

**— წნეხი ახსენეთ, როგორ ფიქრობთ, კონკრეტულად რა სახის ზემოქმედებაა დასავლეთიდან ხელისუფლებაზე მოსალოდნელი იმის გამო, რომ ის ვერ იღებს კავკასიაში პირველი გეიაღლუმის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობას?**

— მოგეხსენებათ, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს ხელისუფლებას ნაკისრი აქვს საკანონმდებლო ცვლილებების ვალდებულება, რომლის განუხორციელებლობის შემთხვევაში თავს დაატყდება დიდი რისხვა დასავლელი „კეთილისმსურველებისგან“. რაც შეეხება კონკრეტული უწყების განცხადებას, დარწმუნებული ვარ, ამ განცხადების და, საერთოდ, იმ ფაქტის გამო, რომ წელს ჩვენმა საზოგადოებამ უპრეცედენტო აქტიურობა გამოავლინა მამათმავლობის პროპაგანდის მიუღებლობის თვალსაზრისით, ახლო მომავალში წამოვა უმწვავესი კრიტიკა. ეს იქნება, როგორც დასკვნებისა და ანგარიშების სახით, ისე საერთაშორისო პოლიტიკური ტრიბუნებიდან გაკეთებული განცხადებები. ეს ჩვენ არაერთხელ გვინახავს და მოგვისმენია, თუმცა ჩემთვის ეს უკვე აღარ არის მნიშვნელოვანი. ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ერთმა კონკრეტულმა უწყებამ, შინაგან საქმეთა სამინისტომ, დაიკავა სწორი პოზიცია და ამას მივესალმები. სხვათა შორის, ეს განცხადება შეიძლება აღმოჩნდეს სერიოზული ტრამპლინი ბატონ **გიორგი გახარიას** წინსვლისთვის...

**— რას გულისხმობთ?**

— არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ ვფიქრობ, 17-23 ივნისის მოვლენები ბევრ რამეს დაგვანახვებს. არ გამოვრიცხავ, ბატონი **ბახტაძე** ჩამოაცილონ დაკავებულ თანამდებობას და სწორედ ეს იქნება ერთგვარი პოლიტიკური ტრამპლინი გახარიასთვის. მხედველობაში მაქვს მისი დანიშვნა პრემიერმინისტრად, რაც სავსებით ლოგიკური იქნება.

**— დავუბრუნდეთ ლგბტ კვირეულის თემას. პრაიდის ორგანიზატორები ამბობენ, რომ ისინი არ აპირებენ „ღონისძიების“ გადადებას. როგორ ფიქრობთ, მოსალოდნელია დაძაბულობა და დაპირისპირება?**

— ცხადია, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ, რადგან საზოგადოების უმრავლესობისთვის მიუღებელია მამათმავლობის ნორმალიზაცია, ამ პროპაგანდის უკან მდგომი ადამიანები ანგარიშს გაუწევენ ხალხის აზრს და თავს შეიკავებენ. რა თქმა უნდა, **ისინი კიდევ უფრო გააქტიურდებიან, კიდევ უფრო მეტად ჩართავენ პროცესში ევროპულ ლობისტურ ორგანიზაციებს და არ მოისვენებენ. დაპირისპირებას რაც შეეხება, ლგბტ თემის ზოგიერთი წარმომადგენელი უკვე აცხადებს, რომ ისინი უკან დახევას არ აპირებენ და ნებისმიერ ფასად დაიცავენ თავიანთ უფლებებს.** ეს ყველაფერი ქმნის იმის წინაპირობებს, რომ ივნისში აპირებენ გენერალურ რევანშს 17 მაისის გამო, რომელიც ჩაუფლავდათ, რადგან ქართველი ხალხი არ იღებს და არც არასდროს მიიღებს მამათმავლობის პროპაგანდას, თუმცა მიმაჩნია, რომ დრო, როცა საზოგადოებას ეშინოდა პროვოკაციების და ამის გამო რაღაც დათმობებზე მიდიოდა, უკვე აღარ არის. **არანაირი კომპრომისი არ უნდა იყოს. თუ იქნება პროვოკაციები და ამ გზით დაძაბულობის გაზრდის მცდელობა, უნდა მიიღონ შესაბამისი პასუხი, ოღონდ ეს ყველაფერი უნდა ხდებოდეს მათი მხილებისა და იდეოლოგიური გაშიშვლების ფონზე, რასაც, სხვათა შორის, ბოლო პერიოდში ყველაზე უკეთ თვითონ აკეთებენ...** აქვე მინდა, მოკლედ ვთქვა მმართველ გუნდზეც, რომელიც, როგორც ჩანს, ვერ არის მთლად ერთ აზრზე ამ საკითხის გარშემო და ზოგიერთი იქ წელზე ფეხს იდგამს ჰომოსექსუალების მხარდასაჭერად. **თუ ხელისუფლება დაუპირისპირდება ხალხს და ძალის გამოყენებით დაიცავს უზნეობის პროპაგანდას, ეს იქნება ბოლო წვეთი ხალხის მოთმინების ფიალაში, რომელიც გამოიწვევს სამოქალაქო წარღვნას. ამას შეეწირებიან და მერე ველარ უშველით ვერც ევროპის საბჭო და ვერც ის ე.წ. საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები, რომლებიც დირექტივებს თითის ქნევით უგზავნიან.** ისე, სიმართლე გითხრათ, არ მაქვს იმედი, რომ ხელისუფლება ამ ყველაფერს გააცნობიერებს და, როცა საქმე საქმეზე მიდგება, ჯანსაღ, ადეკვატურ პოზიციას დაიკავებს. ამის უნარი და გამბედაობა, მგონი დღევანდელ ხელისუფლებაში არავის არ აქვს, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, რომლებიც ჯერ კიდევ მეტ-ნაკლებად ინარჩუნებენ სწორ პოზიციას...

**— რამდენიმე დღის წინათ პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელსაც თავის დროზე საზოგადოებაში დიდი მღელვარება მოჰყვა, კიდევ ორი მოსმენა და ეს ე.წ. კოდექსი ძალაში შევა. რატომ არ აღმოჩნდა საკმარისი ამ კანონპროექტის შესაჩერებლად მოსახლეობის პროტესტი? კიდევ რა ძალისხმევა და აქტივობაა საჭირო?**

— ვფიქრობ, საზოგადოებამ სხვადასხვა კონსერვატულ პოლიტიკურ ჯგუფთან ერთად საკმარისად იბრძოლა და იბრძვის ამ საკანონმდებლო მავნებლობის წინააღმდეგ, მაგრამ, მოგვწონს თუ არა, რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ. რეალობა კი არის ის, რომ **ხელისუფლება მონოპოლიზებული აქვთ ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ ძალებს და, რამდენიც უნდა ვებრძოლოთ ამ ძალების ცალკეულ სახიფათო გამოვლინებებს, სანამ მათ მთლიანად არ ამოვძირკვავთ პოლიტიკური სპექტრიდან, სათანადო შედეგი არ იქნება.** ამიტომ ვამბობთ ყოველთვის ხაზგასმით და ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ ერთი რომელიმე ცალკე აღებული კანონი კი არ არის გასაუქმებელი, არამედ **გასასტუმრებელია მთლიანად ეს მავნე ხელისუფლება, რომელიც პირდაპირ მიბმულია დასავლეთის დღის წესრიგს.** ის, რომ თვითონ დასავლეთშიც სერიოზული პოლიტიკური გარდაქმნები მიდის და ევროპარლამენტის ბოლო არჩევნები ამის ნათელი მაგალითია, ალბათ, არის გარკვეულწილად იმის წინაპირობა, რომ, ადრე თუ გვიან, ლიბერალიზმის ჰეგემონია აქაც დასრულდება...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«თუ ხელისუფლება დაუპირისპირდება ხალხს და ძალის გამოყენებით დაიცავს უზნეობის პროპაგანდას, ეს იქნება ბოლო წვეთი ხალხის მოთმინების ფიალაში, რომელიც გამოიწვევს სამოქალაქო წარღვნას. ამას შეეწირებიან და მერე ველარ უშველით ვერც ევროპის საბჭო და ვერც ის ე.წ. საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები, რომლებიც დირექტივებს თითის ქნევით უგზავნიან»**

„იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მარიხუანა და სხვა მსუბუქი ნარკოტიკები ლეგალიზებულია, უარს ვამბობთ იმაზე, რომ ადამიანებმა, განსაკუთრებით კი არასრულწლოვნებმა, ნარკოტიკები ჩვენი საძიებო სისტემის მიხედვით მოძებნონ. შესაძლოა, ამან ჩვენი მომხმარებლების გულისწყრომა და მათი რაოდენობის შემცირება გამოიწვიოს, მაგრამ ამისთვის მზად ვართ და პირველ ადგილზე ჯანსაღი ცხოვრების წესს ვაყენებთ“, — ნათქვამია „გუგლის“ ოფიციალურ განცხადებაში.

საზოგადოება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო ნახევარი წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ქართველმა სამართალდამცველებმა 128 ნარკორეალიზატორი დააკავეს. მათ შორის უცხოელები ჭარბობენ, მაგრამ ეს არ არის მნიშვნელოვანი. მნიშვნელოვანია ის, რომ ამ დაკავებების მიუხედავად, საქართველოში არსებული მთავარი პრობლემა უკვე დავიწყებას მიეცა. საუბარია ლეგალიზებულ მარიხუანაზე, რომლის დათესვა და მოყვანა აქტიურად მიმდინარეობს.**

# გებელსის პრინციპებით მოქმედი არასამთავრობოები ცხვირის ერთ ნესტოში ნარკოტიკებს გვტენიან, მეორეში — ლგბტ თემს



სეზონია თურმე და წამოზრდილ მარიხუანას უკვე სინჯავენ ახალგაზრდები სოფლად თუ ქალაქად. „მოსავალის“ პიკი დაახლოებით ერთ თვეში იქნება. რას აკეთებს ამის ასაკვეთად ხელისუფლება? რას აკეთებს იმისთვის, რომ ახალგაზრდებმა გამოთაყვანებული სახეებითა და ამოტრიალებული თვალებით არ იარონ, ტურისტებმა კი საჯაროდ არ მოიხოვონ, მარიხუანა მოგვაწევინეთო? რას და თურმე დეტექტორები შემოუტანია, რომლებიც მძლოლებს უდგენს, მიღებული აქვს თუ არა ნარკოტიკი. სამაგიეროდ, იმ დეტექტორს არასრულწლოვანთა მიმართ არავინ არ იყენებს. და **თუ არ იცით, რომ არასრულწლოვნებიც ეწევიან, ჩვენ გეუბნებით: ჩადით ნებისმიერ (ვიმეორებთ, ნებისმიერ) სოფელში, ეგ დეტექტორი ჩაიტანეთ და 14-15 წლის ბავშვები შეამოწმეთ, შედეგს საკუთარი თვალით ნახავთ.**

მაშინ, როცა ჩვენთან მარიხუანის მომხმარებლები ქუჩაში აქციებს მართავენ და უფრო მძიმე ნარკოტიკის ლეგალიზებასაც მოითხოვენ, როცა მათ უზოდიშოდ ხმას ვერავინ სცემს, მსოფლიოს უდიდესმა საძიებო სისტემა „გუგლმა“ საინტერესო გადაწყვეტილება მიიღო: **„გუგლის“ საძიებო სისტემიდან გაქრა ყველა აპლიკაცია, რომელთა მიხედვით ნარკოტიკების, მათ შორის, მარიხუანის, შეძენა არის შესაძლებელი.**

**„იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მარიხუანა და სხვა მსუბუქი ნარკოტიკები ლეგალიზებულია, უარს ვამბობთ იმაზე, რომ ადამიანებმა, განსაკუთრებით კი არასრულწლოვნებმა, ნარკოტიკები ჩვენი საძიებო სისტემის მიხედვით მოძებნონ. შესაძლოა, ამან ჩვენი მომხმარებლების გულისწყრომა და მათი რაოდენობის შემცირება გამოიწვიოს, მაგრამ ამისთვის მზად ვართ და პირველ ადგილზე ჯანსაღი ცხოვრების წესს ვაყენებთ“,** — ნათქვამია „გუგლის“ ოფიციალურ განცხადებაში.

ცოტა ხანს „გუგლს“ შევეშვათ, მით უმეტეს, ამ კომპანიას იმაზე ათჯერ მეტი ბიუჯეტი აქვს, ვიდრე საქართველოს და აშკარად არ გაუჭირდება. საქმე ის არის, რომ **დაკავებული ნარკორეალიზატორების დიდი ნაწილი ნარკოტიკებს და მათ შორის მარიხუანას ინტერნეტის მეშვეობით ყიდდა.** საქართველოში კვლავ შესაძლებელია, ძალიან მარტივად შეიძინოთ ნარკოტიკი, ამისთვის კი მნიშვნელობა არ აქვს მომხმარებლის ასაკსა და სქესს; მთავარია, კონკრეტულ ანგარიშზე თანხა ჩაირიცხოს და შემდეგ უკვე ყველაფერი ტექნიკის საქმეა — მობილურზე ნარკოტიკის მისამართიც მოდის და ადგილის ფოტოც. შსს-ს განცხადებით, ისინი მაქსიმუმს აკეთებენ, რათა აღნიშნული აპლიკაციები გააუქმონ და ინტერნეტით ნარკოტიკების გაყიდვა აღარ მოხდეს, მაგრამ უშედეგოდ. არადა, თურმე მარტივად შეიძლება, დიდ საძიებო კომპანიებს უბრალოდ ოფიციალურად სთხოვონ, აღნიშნული აპლიკაციები კონკრეტულ ტერიტორიაზე (ამ შემთხვევაში საქართველოში) დაიბლოკოს და პრობლემაც აღარ იქნება.

ეს ყველაფერი მარტივი სათქმელია, მაგრამ გასაკეთებლად — რთული, რადგან საქმე თურმე ქვეყნის ეკონომიკას ეხება. ტურისტული სეზონი საქართველოს ბიუჯეტისთვის და ცალკე მოსახლეობისთვის უმნიშვნელოვანესია. როგორც აგვიხსნეს, **საქართველოში ტურისტების ჩამოსვლის ერთ-ერთი მოტივატორი ლეგალიზებული მარიხუანა და ინტერნეტით ნარკოტიკებზე მარტივი წვდომაა.** სხვა საკითხია, კარგია თუ არა ჩვენთვის ის, რომ საქართველო ნარკომომხმარებლებისთვის სამოთხედ არის ქცეული და ამას არავინ მალავს. თანაც **საკითხავია, რჩება თუ არა საქართველოში ის ფული, რომელიც ნარკოტიკებში იხარჯება, და ხომ არ გვაქვს საქმე დიდ საერთაშორისო ნარკოკარტელთან, რომელსაც ნებისმიერი გზით შემოაქვს საქართველოში ნარკოტიკი.** საერთაშორისო ნარკოკარტელზე ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ დაკავებულთა უმრავლესობა უცხოელია, ანუ ისინი საქართველოში კი არ ყიდულობენ ნარკოტიკს, არამედ უცხოეთიდან შემოაქვთ. პოლიციური პრაქტიკის მიხედვით, თუ დაკავებული დამნაშავეების რაოდენობას სამზე გავამრავლებთ, მივიღებთ რიცხვს, რომელიც რეალურად ასახავს ნარკორეალიზატორთა რაოდენობას.

„გუგლს“ რაც შეეხება, კომპანიის გადაწყვეტილება ადამიანის უფლებების დამცველმა ორგანიზაციებმა უკვე გააპროტესტეს. უფრო ზუსტად, მათ ის არასამთავრობოები დაუპირისპირდნენ, რომლებიც ნარკოლიბერალიზაციაზე მუშაობენ, და რომლებსაც ამერიკის პრეზიდენტიც კი დაუპირისპირდა. „გუგლი“ თავისი გადაწყვეტილების გადახედვას არ აპირებს და სხვა საძიებო სისტემებსაც იმავეს მოუწოდებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ საერთაშორისო საძიებო სისტემაში ნარკოტიკების დილერებზე გასვლა გამოირიცხება და დარჩება მხოლოდ ადგილობრივი სისტემები, რომელთა კონტროლიც სამართალდამცველებს უკვე აღარ უნდა გაუჭირდეთ, რა თქმა უნდა, სურვილის შემთხვევაში.

გასულ კვირას ლგბტ თემის წარმომადგენლები შსს-ს ხელმძღვანელობას შეხვდნენ და დედაქალაქში აქციების გამართვის უფლება მოსთხოვეს. პოლიციამ უარი განაცხადა, რადგან აღნიშნა, რომ მათი უსაფრთხოების დაცვა ურთულესი საქმე იქნება, ანუ პოლიციამ სწორად შეაფასა სიტუაცია, მოსახლეობის განწყობა გაითვალისწინა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო. **ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, პოლიციას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულებაზე ნარკოტიკების მიმართ. ადამიანები, რომლებიც სწორად აფასებენ სიტუაციას, ამის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან და, რაც მთავარია, ამ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ასე ფიქრობენ, ძალიან დიდია.** ჰოდა, რა მოხდება ერთ მშვენიერ დღეს, პოლიციამ პარლამენტში კანონპროექტი რომ შეიტანოს და ნარკოტიკებზე კანონი გაამკაცროს, მარიხუანის მოხმარება უფრო მკაცრ ჩარჩოებში ჩასვას (სამწუხაროდ, ამ ეტაპზე გამორიცხული ჩანს მისი სრულად აკრძალვა), ეგებ ზუსტად ისევე დაუკრას ტაში საზოგადოების 99%-მა, როგორც ეს ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ მოხდა. უნდა გაიგოს პოლიციამაც და ხელისუფლებამაც, რომ საზოგადოების უმრავლესობას არ მოსწონს ის, რაც საფრთხეს უქმნის ჩვენი შვილების მომავალს და ეს არის ფაქტი! არაერთხელ დადასტურდა, რომ მოსახლეობის **უმრავლესობა ემიჯნება ლგბტ თემსაც და ნარკოტიკებსაც და ევროპა-ამერიკის საამებლად მათთვის თავზე ხელის გადასმა არ წაადგებათ ხელისუფალთ.**

**პოლიციას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულებაზე ნარკოტიკების მიმართ. ადამიანები, რომლებიც სწორად აფასებენ სიტუაციას, ამის კატეგორიული წინააღმდეგნი არიან და, რაც მთავარია, ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ასე ფიქრობენ, ძალიან დიდია. ჰოდა, რა მოხდება ერთ მშვენიერ დღეს, პოლიციამ პარლამენტში კანონპროექტი რომ შეიტანოს, ნარკოტიკებზე კანონი გაამკაცროს, მარიხუანის მოხმარება უფრო მკაცრ ჩარჩოებში ჩასვას (სამწუხაროდ, ამ ეტაპზე გამორიცხული ჩანს მისი სრულად აკრძალვა), ეგებ ზუსტად ისევე დაუკრას ტაში საზოგადოების 99%-მა, როგორც ეს ლგბტ თემის წარმომადგენელთა მიმართ მოხდა**

კარგად გვესმის, რომ ქვეყნის ეკონომიკა მნიშვნელოვანია და ტურისტული სეზონიც კარგია, მაგრამ, ნარკოტიკების ხარჯზე ეს ყველაფერი გადასარევი რომ ყოფილიყო, **პაბლო ესკობარი** დღესაც ცოცხალი იქნებოდა, ხოლო კოლუმბია — მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფო. **ამერიკისა და ევროპის წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები უკვე საჯაროდ უპირისპირდებიან ამ ყველაფერს და მათ ქვეყნებში არც საკონსტიტუციო სასამართლოს არ აიძულებენ და არც აქციები არ იმართება ნარკოტიკების მოხმარების „გასაპრავებლად“, არც ლგბტ თემის უფლებების გაზრდაზე კეტავენ ქუჩებს. ჩვენთან კი პირიქით არის: ყველგან სწორედ ის გვესმის, რომ მარიხუანა მავნებელი არ არის, რომ ლგბტ თემის წარმომადგენლებს მეტი უფლებები და აღლუმის ჩატარების შესაძლებლობა უნდა მივცეთ...** მოკლედ, დღევანდელი ხელისუფლების ზოგიერთ უმაღლეს პირს ქვეყანა ერთი დიდი ბაზარი ჰგონია, სადაც მოგების მისაღებად ყველაფერი „მოსულა“.

„პროპაგანდა უნდა იყოს რაც შეიძლება ბევრი, დღისითა და ღამით. ის არ უნდა წყდებოდეს, ვერავინ უნდა მოასწროს იმის გააზრება, რასაც ათასჯერ ეუბნებიან. ყველა გზავნილი პრიმიტიული უნდა იყოს, რათა ყველაზე ჩამორჩენილმაც უცებ აითვისოს და, რაც უფრო ბევრი მოისმენს, მით უფრო იძულებული იქნება, ყველა გაჰყვეს უმრავლესობას. პროპაგანდა უნდა იყოს მარტივი, ცხადი და ერთფეროვანი. ლოზუნგები უნდა იყოს ყოველი მხრიდან და მეორდებოდეს ყოველი პროპაგანდის ბოლოში. არანაირი ყოყმანი, არანაირი სხვადასხვა ვარიანტი და განსხვავებული აზრი, ადამიანებს არ უნდა ჰქონდეთ არჩევანის უფლება, ამას მათ მაგივრად სხვები გააკეთებენ, მათ მხოლოდ ინფორმაცია უნდა მიიღონ: რა არის მათთვის კარგი, და დარწმუნდნენ, რომ, რაც ხდება, გარდაუვალია. პროპაგანდა უნდა ხდებოდეს მხოლოდ გრძნობებზე და არა გონებაზე, მართვა უნდა ხდებოდეს მხოლოდ ემოციების. შოკი და ტყუილი — ეს არის მთავარი პრინციპები სრულყოფილი პროპაგანდისა. პატარა ტყუილს არავინ დაიჯერებს, საჭიროა შოკისმომგვრელი და გაუგონარი ტყუილი, ისეთი, რომლის გააზრებაც ძნელია. ფაქტები უნდა იყოს არა შელამაზებული, არამედ გაუგონრად დამახინჯებული, უსინდისოდ განსხვავებული, ისეთი, რომ მასამ ვერ დაიჯეროს, ასეთი რამ შესაძლებელი რომ არის“, — ეს ნააზრევი ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთ ლიდერ **იოზეფ გებელსს** ეკუთვნის და, რეალობას თვალს თუ გავუსწორებთ, სწორედ მისი პრინციპებით მოქმედებენ დღეს ის არასამთავრობოები, რომლებიც ცხვირის ერთ ნესტოში ნარკოტიკებს „გვტენიან“, მეორეში — ლგბტ თემს.

საქართველოში, — და ბევრგან მსოფლიოშიც, — აკრძალულია თამბაქოსა და მაგარი ალკოჰოლის რეკლამა, სამაგიეროდ ნარკოტიკების პროპაგანდის საწინააღმდეგო ქმედებას არავინ არ ეწევა. არსად არ ისმის ის, რომ ნარკოტიკი ცუდია და მხოლოდ ცალკეული ადამიანების განცხადებები, ისიც თვეში ერთხელ, ვერაფერს ცვლის. თოქშოუები, სპეციალურად ამ თემებზე დაგეგმილი განცხადებები გონებაში ილექება და საჭირო დროს ამოტივტივდება ხოლმე. შემდეგ ეს ყველაფერი წინააღმდეგობის გაწევის უნარს გვიკარგავს და მომხდარს, როგორც კანონზომიერებას, ისე აღვიქვამთ. ამ ყველაფრის გათვალისწინებით მსოფლიო გიგანტმა „გუგლმა“ პირველი ნაბიჯი გადადგა და ყველას დაანახვა, რომ ფული მთავარი არ არის.

**ბესო ბარბაქაძე**

ჩაკუჩი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენიც უნდა ვიძახოთ და ვამტკიცოთ, რომ ამაყი ერი ვართ, რომ პრინციპები გვაქვს, რომ ბატონს არ დავისვამთ, ტყუილია. ეს მოსაზრებები იქ მთავრდება, სადაც სანაგვე ყუთში გადაკიდებული არასრულწლოვნის ფეხები ჩანს. კვირა არ გავა, სოციალურ ქსელში ვიდეო არ გავრცელდეს, სადაც 10 წლამდე ბავშვები, სათამაშოს კი არა, საჭმელს ითხოვენ. გაიხსენეთ, როცა ჩვენ ვიყავით პატარები, საჭმელზე ვფიქრობდით თუ გართობაზე; მშობლებს პურს ვთხოვდით თუ ნაყინსა და შოკოლადს; გაიხსენეთ, ბოლო წლებში რამდენმა მშობელმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით მხოლოდ იმის გამო, რომ მშიერი შვილების ყურება აღარ შეეძლო.**

# ექსპერიმენტი — სად გადის ქართველთა მოთმინების ზღვარი?

**მსოფლიოში სულ შვიდი საოცრებაა, მაგრამ თამამად შეიძლება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური მერვე საოცრებად ჩავთვალოთ. არა, არ ვხუმრობთ, შეგვიძლია მსოფლიოს ვაჩვენოთ საქსტატის მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევისა და გაანგარიშების შედეგები და საოცრებათა ჩამონათვალში პირველი სწორედ ის იქნება.**



საქსტატმა მორიგი კვლევის შედეგები გამოაქვეყნა და სიამაყით გვამცნო, რომ საქართველოში სიღარიბის ზღვარი ისტორიულ მინიმუმამდე დაეცა, ანუ საქართველოს მოსახლეობა ასე მდიდარი არასოდეს ყოფილაო.

უფრო კონკრეტულად კი: საქსტატმა 2018 წლის მონაცემები გამოაქვეყნა, მიმდინარე წლის კვლევას კი გაისად გაახლებთო. ჰოდა, აი 2018 წლის სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის სტატისტიკური მონაცემები: **ქალაქი — 18,0%, სოფელი — 23,1%, სრულიად საქართველო — 20,1%.** 2017 წელს ეს მონაცემები შემდეგნაირი ყოფილა: ქალაქი — 18,6%, სოფელი — 26,6%, სრულიად საქართველო — 21,9%.

საქსტატის მისამართით ჩვენც ზუსტად იგივე კითხვა გაგვიჩნდა, რაც თქვენ, მაგრამ უწმაწური სიტყვების დაწერა არ შეიძლებაო და ჩვენც „კულტურის ფარგლებში" მივყვეთ.

ნამდვილად ვერ გეტყვით, რის ხარჯზე დაადგინა საქსტატმა, რომ შარშან უფრო უკეთესად ვცხოვრობდით, ვიდრე შარშანწინ და, საზოგადოდ, ყოველთვიურად გაუმჯობესებისკენ რომ მივყავართ ციფრებით, ვერც მაგას ვხვდებით. ხანდახან ისე გვეჩვენება, რომ ჩვენ სხვა საქართველოში ვცხოვრობთ, საქსტატის თანამშრომლები კი — სხვაში. **ერთი თვის წინათ არ იყო, საქსტატმა ხუთსულიან ოჯახს თვეში ნორმად 361 ლარი რომ დაუდგინა?** ანუ ოჯახის თითოეულ წევრს — დღიურად 2,40 ლარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახში არც ერთი მწეველი არ უნდა იყოს, თორემ თამბაქოს ფასი 5 ლარიდან იწყება და ორი კაცის დღიური ულუფა ერთ კოლოფ სიგარეტში დაიხარჯებოდა. საქსტატი გვიმტკიცებს, რომ საქართველოში მოქალაქეს დღეში ერთი დოლარიც კი არ სჭირდება და, რაც მთავარია, ეს თანხა კვებისთვისაც უნდა იმყოფინოს, მგზავრობისთვისაც, ტანსაცმლისთვისაც, გადასახადების დასაფარავადაც. ჰო, ჰო, ასეა, ხუთსულიან ოჯახზე 361 ლარი აქვთ გაწერილი. მერე იყო, დღეში ოთხი ლარი დავადგინეთო, რომ თქვეს, ოღონდ ეს — როცა საქმე ცალკე პიროვნებას ეხება, თორემ, თუ ოჯახია, 361 ლარია საკმარისი. როგორ არის, იცით? ოჯახში ერთმანეთის ხათრით არ ჭამენ, ალბათ, საჭმელს. ეს აქვთ გათვლილი: მშობლები შვილებს დაუტოვებენ, უფროსი ბავშვები — უმცროსს და ასე. აბა, როგორ გინდათ, ცოტა თუ არ გაიჭირვეთ, საქსტატის ხელმძღვანელობამ, რომლის წევრებსაც თვეში, სულ ცოტა, 3 ათასი ლარი აქვთ ხელფასი, როგორ იცხოვროს მერე?!

ჩადი, სუდანი, ნიგერი — ეს ის ქვეყნებია, რომლებშიც, ცივილიზებული მსოფლიოს აღიარებით, ყველაზე მეტი ღარიბი ადამიანი ცხოვრობს, ყველაზე მეტად შიათ და შიმშილით ყოველ წელს ათასობით ბავშვი იღუპება. ამას წინათ ერთ-ერთი ამერიკული უფლებადამცველი წერდა: ვერ მოვახერხეთ ისე, რომ ამ ადამიანებს დღეში 2 დოლარზე მეტი ჰქონდეთო. ჩიოდა, ამ ყველაზე გაუბედურებულ ხალხს დღეში ორი დოლარი აქვთ და იქნებ ისე მოვახერხოთ, მეტი ჰქონდეთო. ჩვენი თავის უბედური ვალუტის ამბავს კი გაიგებდით (ნეკროლოგების სვეტშიც იყო რამდენჯერმე) და 2 დოლარი ქართულად 5,60 ლარს უდრის, ანუ კაცის ერთი თვის ნორმა 168 ლარი გამოდის, ხუთსულიან ოჯახს კი 840 ლარი სჭირდება. რაც მთავარია, ეს იმ ქვეყნებში, რომელთა მოსახლეობა შიმშილით იხოცება და უღარიბეს სახელმწიფოებადაა მიჩნეული, რომლებშიც დღემდე სამოქალაქო ომია და მოსახლეობის 50%-ს შიდსი აქვს; იმ სახელმწიფოებში, სადაც ჩასულ წითელი ჯვრის თანამშრომლებს არასრულწლოვანთან სექსუალურ კონტაქტს ოჯახის წევრები 5 დოლარად სთავაზობენ. ეს არის ფაქტი, ეს არის რეალობა და, რაც მთავარია, იმ ქვეყნების წარმომადგენელთა მიერ დაწერილი რეალობა, რომელთა მხარესაც სწორებას ვაკეთებთ.

**გამოდის, ჩვენ ოფიციალურად იმაზე უარესად ვცხოვრობთ, ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც ცივილიზებულ მსოფლიოს ულარიბესად მიაჩნია. გამოდის, რომ ჩვენ ამას საკუთარ ხალხთან ვაღიარებთ, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციებში — არა, რადგან დიდი შანსია, ვიზალიბერალიზაცია თავზე გადაგვახიონ და საქართველოდან ვითომ ტურისტის სტატუსით წასული ადამიანები მასობრივად გამოაძევონ.** ეს იმიტომ, რომ პრაქტიკულად გამორიცხულია, ზემოთ ჩამოთვლილი აფრიკული სახელმწიფოების მცხოვრებლებს ქვეყნის დატოვების უფლება მისცენ, რადგან ევროპასა და ამერიკაში ზუსტად იციან, რომ ისინი მხოლოდ სამუშაოდ თუ წავლენ ქვეყნიდან და თან ძალიან იაფად, რაც ადგილობრივ მუშახელს სამუშაო ადგილებს შეუმცირებს.

**ჩვენ ოფიციალურად იმაზე უარესად ვცხოვრობთ, ვიდრე ის ქვეყნები, რომლებიც ცივილიზებულ მსოფლიოს ულარიბესად მიაჩნია. გამოდის, რომ ჩვენ ამას საკუთარ ხალხთან ვაღიარებთ, მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციებში — არა, რადგან დიდი შანსია, ვიზალიბერალიზაცია თავზე გადაგვახიონ და საქართველოდან ვითომ ტურისტის სტატუსით წასული ადამიანები მასობრივად გამოაძევონ**

საქართველოს ფარგლებს გარეთ მილიონზე მეტი ჩვენებური რომ არის დასაქმებული, არახალია. ისიც ფაქტია, რომ მათი უმრავლესობა არალეგალურად ცხოვრობს და, პრაქტიკულად, კანონდარღვევით ნაშოვნი ფულით არჩენს ოჯახს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ სხვა გზა და სხვა ხსნა, უბრალოდ, არ აქვთ. მათ გაასწრეს ქვეყნიდან, რომლის მომავალიც არ დაიჯერეს და როგორ გინდა, დაიჯერო, როცა, აგერ უკვე 30-ე წელია, ერთსა და იმავე წრეზე დავდივართ დაუსრულებლად და სასიკეთო არაფერი ჩანს. უფრო პირიქით — უკან მივდივართ.

რომელ სიღარიბის ზღვარის დაწევაზეა საუბარი, როცა ეროვნული ვალუტა დღითიდღე უფასურდება, როცა პროდუქტებზე ფასები იზრდება, როცა ქვეყანა პრაქტიკულად არაფერს აწარმოებს და მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებულ-ჩამოკიდებული, როცა წელი ისე გადის, რომ არც ერთი საწარმო არ იხსნება, როცა მაღალჩინოსნების ხელფასი ხუთნიშნა რიცხვებს ეთამაშება და მომატებული პენსიაც ზღაპარს ჰგავს, რადგან, იმავე ლარის კურსის გამო, ნამატი პენსია ნაკლებად მსყიდველუნარიანია?!

ხანდახან გვგონია, რომ ვიღაც უხილავი ჩვენზე ექსპერიმენტს ატარებს თემაზე — სად გადის ქართველთა მოთმინების ზღვარი? **რამდენიც უნდა ვიძახოთ და ვამტკიცოთ, რომ ამაყი ერი ვართ, რომ პრინციპები გვაქვს, რომ ბატონს არ დავისვამთ, ტყუილია. ეს მოსაზრებები იქ მთავრდება, სადაც სანაგვე ყუთში გადაკიდებული არასრულწლოვნის ფეხები ჩანს. კვირა არ გავა, სოციალურ ქსელში ვიდეო არ გავრცელდეს, სადაც 10 წლამდე ბავშვები, სათამაშოს კი არა, საჭმელს ითხოვენ. გაიხსენეთ, მაშინ, როცა ჩვენ ვიყავით პატარები, საჭმელზე ვფიქრობდით თუ გართობაზე; მშობლებს პურს ვთხოვდით თუ ნაყინსა და შოკოლადს; გაიხსენეთ, ბოლო წლებში რამდენმა მშობელმა დაასრულა სიცოცხლე თვითმკვლელობით მხოლოდ იმის გამო, რომ მშიერი შვილების ყურება აღარ შეეძლო...**

ძალიან კარგად გვესმის, რომ ხელისუფლებას ურჩევნია, მოსახლეობა მაძღარი ჰყავდეს და ნაკლებ კრიტიკას ისმენდეს, მაგრამ საამისოდ არაფერს არ აკეთებს. ჰო, არაფერს, რადგან, თუნდაც საკუთარ თავს რომ ჩამოაკლონ ხელფასები, წლიურად 100 მილიონ ლარზე მეტი გამოთავისუფლდება. ამ თანხას კიდევ, სოციალურ პროგრამებში კი არა, ეკონომიკასა და ინფრასტრუქტურაში სჭირდება ჩაბრუნება, რათა ადამიანებს სამსახური და შესაბამისად, შემოსავალი ჰქონდეთ, ადამიანური სამსახური და შემოსავალი, თორემ ჭიათურელ მაღაროელებს საკვებს რომ ურიგებენ, რომლის შემადგენლობაში თურმე კვირაში ორჯერ სოსისი შედის, იმ სოსისს კი კატა არ ეკარება და ძაღლი, ცხოველები არ ჭამენ იმ სოსისს და ადამიანებს ვკვებავთ.

სჯობს, ეს საქსტატი გააუქმოთ. ჯერ ერთი, რასაც აქვეყნებენ, დროსა და სივრცეს აცდენილია, არც ერთი მონაცემი რეალობასთან ახლოსაც კი არ არის და ამ უწყების გაუქმებით რამდენიმე მილიონს დაზოგავთ; და მეორე — ნერვები მაინც აღარ მოეშლება ხალხს, მაძღარ მთავრობას ჩვენც მაძღრები ვგონივართო. ახლა კიდევ ზაფხულია და რა უჭირს მოსახლეობას? ბოსტნეულზეა გადასული, იმ ბოსტნეულზე, რომელიც იაფი არ ღირს, მაგრამ ხორცსა და თევზთან შედარებით, მაინც ხელმისაწვდომია.

ეჭვი გვაქვს, საქსტატი მომავალშიც არ დაგვამადლის ანალოგიურ კვლევებს და შორს არ არის დრო, როცა გამოგვიცხადებენ: სიღარიბე დაძლეულია, საქართველოში ღარიბი ადამიანები არ არსებობენ და ყველა ბედნიერად ცხოვრობსო. სანამ ამას გააკეთებთ, შესადარებლად გეტყვით, რომ ბედნიერების ინდექსით პირველ ადგილზე მსოფლიოში დანიელები არიან და იქ პენსიონერის ანაზღაურება თვეში საშუალოდ 7500 ლარია. ჰოდა, ამ ნიშნულს კი არ მიუახლოვოთ, ჯერ, უბრალოდ, ოთხნიშნა ციფრით გამოსახული პენსია დაუნიშნეთ ადამიანებს და ბედნიერებასა და სიღარიბეზე მერე გვესაუბრეთ, ბატონებო...

**ბესო ბარბაქაძე**

**რომელ სიღარიბის ზღვარის დაწევაზეა საუბარი, როცა ეროვნული ვალუტა დღითიდღე უფასურდება, როცა პროდუქტებზე ფასები იზრდება; როცა ქვეყანა პრაქტიკულად არაფერს აწარმოებს და მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებულ-ჩამოკიდებული; როცა წელი ისე გადის, რომ არც ერთი საწარმო არ იხსნება; როცა მაღალჩინოსნების ხელფასი ხუთნიშნა რიცხვებს ეთამაშება და მომატებული პენსიაც ზღაპარს ჰგავს, რადგან იმავე ლარის კურსის გამო, ნამატი პენსია ნაკლებად მსყიდველუნარიანია?!**

**ყველა, ვისაც თავისი შტერული აზრების ან უზნეო საქციელის გამართლება მოუნდება, ყველაფერს ოცდამეერთე საკუნეს რატომ აბრალებს?! რა დააშავა ამ საწყალმა ოცდამეერთე საუკუნემ ასეთი?! ვიღაცას მოუნდება თავისი უვიცობის დაფარვა და უტიფარი სახით გეუბნება: კარგი რა, რა დროს რაღაცის ზეპირად ცოდნაა, ახლა ხომ ოცდამეერთე საუკუნეა!**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# განათლება, მათემატიკა და რუსები

## განათლების სისტემაში «ჯეჯეიზმი» ყვავის

**იმან, რაც ბოლო 10 დღის განმავლობაში საქართველოში მოხდა, ძალიან უცნაურად შეადუღაბა ერთმანეთთან ქართველი მოსწავლეების ცნობიერებაში მათემატიკა და რუსები. საზოგადად, მათ უმეტესობას მათემატიკა რომ არ უყვარს, საყოველთაოდ ცნობილია. რაც შეეხება რუსებს, მათ სიძულვილს ქართულ სკოლებში ბავშვებს უკვე დაწყებითი კლასებიდანვე უნერგავენ და, ამრიგად, მათემატიკასა და რუსებს საერთო შტრიხი ქართველი მოსწავლეების აზროვნებაში ისედაც აქვს.**




ირინე აბულაძე, განათლების მინისტრის მოადგილე — „დედალი ჯეჯე“

როგორც ჩანს, საქართველოს ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ცდილობენ, კიდევ უფრო განამტკიცონ ეს საერთო შტრიხები მათემატიკასა და რუსეთს შორის. მაგალითად, გასულ კვირაში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების მინისტრი იმიტომ მოხსნეს, რომ მან ერთ-ერთი ფესტივალის მონაწილე რუსების მიმართ უდიერი განცხადებები არ გააკეთა. არადა, მას რომ ისევე უდიერად ელაპარაკა რუსებზე, როგორც ილაპარაკა მათემატიკაზე აგერ, თბილისში, არა აჭარის, არამედ მთლიანად საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილემ, მაშინ მასაც დატოვებდნენ თანამდებობაზე.

საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე **ირინე აბულაძე** პირდაპირ ამბობს: **„განათლების რეფორმებში ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმას, რომ ოცდამეერთე საუკუნეში უკვე აღარაა მნიშვნელოვანი, იცოდე მათემატიკის კონკრეტული ფორმულები ან კიდევ ფიზიკის. მთავარია, აღიზარდოს მოქალაქე, რომელსაც საზოგადოებაში საკუთარი როლი აქვს გაცნობიერებული“.**

ამ ფრაზის წაკითხვისას ბევრს გაახსენდებოდა განათლების ყოფილი მინისტრი **ალექსანდრე ჯეჯელავა.** მისი აზრები „ოცდამეერთე საუკუნეში მათემატიკისა და ფიზიკის ცოდნის უსარგებლობისა“ და „გუგლის“ გარდაუვალობის“ შესახებ ბევრს ემახსოვრება. ასე რომ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ: **საქართველოს განათლების სისტემაში „ჯეჯეიზმი“ ყვავის და განათლების მინისტრის მოადგილედ აშკარად „დედალი ჯეჯე“ გვიზის.**

საზოგად?დ, ეს თემა, რომ „ცხოვრებაში რაში გამოგადგება მათემატიკის ფორმულების ცოდნა“ და ა.შ., ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან მახსოვს ზარმაცი, მაგრამ დიდი ამბიციის მქონე უნიჭო მოსწავლეებისგან. როგორც ჩანს, ის ზარმაცი, უნიჭო და ამბიციური მოსწავლეები ახლა სხვადასხვა სამინისტროში მაღალ თანამდებობებზე გვევლინებიან და „ბავშვობის ტკივილებს“ ვერ ივიწყებენ. მათემატიკასა და ფიზიკაზე შურისძიება მათი მთავარი საზრუნავია.

საინტერესოა, რატომ შეჩერდა განათლების მინისტრის „ბრძენი“ მოადგილე მხოლოდ მათემატიკასა და ფიზიკაზე? დავიჯეროთ, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ქიმიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების ცოდნა, მისი აზრით, საჭიროა?!

არამც და არამც! რისთვის სჭირდება ვინმეს ისინი? ახლა ხომ ოცდამეერთე საუკუნეა!

რა შუაშია ოცდამეერთე საუკუნე? — შეიძლება იკითხოს ვინმემ. მე ასეთი პასუხი მაქვს — არ ვიცი! არ ვიცი, **ყველა, ვისაც თავისი შტერული აზრების ან უზნეო საქციელის გამართლება მოუნდება, ყველაფერს ოცდამეერთე საკუნეს რატომ აბრალებს?! რა დააშავა ამ საწყალმა ოცდამეერთე საუკუნემ ასეთი?!**

ვიღაცას მოუნდება თავისი უვიცობის დაფარვა და უტიფარი სახით გეუბნება: კარგი რა, რა დროს რაღაცის ზეპირად ცოდნაა, ახლა ხომ ოცდამეერთე საუკუნეა!

ვიღაცას მოუნდება თავისი ვულგარულობის „თანამედროვეობად“ გასაღება და ამაყად ამბობს: მერე რა, ახლა ხომ ოცდამეერთე საუკუნეა?!

ვიღაცას, უბრალოდ, თავისი ბოზობის „თავისუფლებად“ წარმოჩენა სურს და თავაწეული აცხადებს: კარგი რა, ახლა ხომ ოცდამეერთე საუკუნეა?!

მოკლედ, ეს გამოთქმა, ასე ვთქვათ, „ყველაფერზე მიდის“. რაც უნდა დააშავო, გამოთქმა „მერე რა მოხდა, ახლა ხომ ოცდამეერთე საუკუნეა“ ყოველთვის გამოდგება.

სხვათა შორის, ისიც საინტერესოა, რატომ აყენებენ „ჯეჯეისტები“ ასეთ ალტერნატივას, რომ ბავშვმა ან მათემატიკის ფორმულები უნდა ისწავლოს, ან მოქალაქედ აღიზარდოს. რა, განა ბავშვს მათემატიკის ცოდნამ გონებაც რომ გაუხსნას და ღირსეულ მოქალაქედაც ჩამოყალიბდეს, არ შეიძლება? რომელი ჯობია — მარტოდენ ღირსეული, მაგრამ უვიცი თუ ღირსეული და თანაც განათლებული მოქალაქე გვყავდეს? ცალკე სათქმელია, რომ ღირსება ბავშვმა ქართველი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებებიდან, პირველ რიგში, „ვეფხისტყაოსნიდან“ უნდა ისწავლოს, მაგრამ ნაწარმოებები, რომლებიც ჯერ კიდევ დარჩა სასკოლო პროგრამებში, ისეა შეკვეცილ-დამახინჯებული, რომ მათგან რაიმეს სწავლა შეუძლებელია.

თუმცა, რა უნდა ვილაპარაკოთ, როცა პარადოქსების ქვეყანაში ვცხოვრობთ. ყოველივე ამის, ანუ განათლების მინისტრის მოადგილის მიერ მათემატიკისა და ფიზიკის ასეთი გამოუსადეგარობის საჯაროდ ქადაგების ფონზე აჭარის განათლების მინისტრი **ინგა შამილიშვილი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. მას მათემატიკაზე ცუდი არ უთქვამს, მაგრამ არც რუსებზე თქვა ცუდი. ჩვენს ქვეყანაში კი, როგორც ჩანს, განათლების სფეროში მომუშავე მაღალი თანამდებობის პირებმა, მათემატიკის გარდა, რუსებიც აუცილებლად უნდა ლანძღონ, **თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც ეს რუსები თვითონ ჰყავთ მოწვეული ფესტივალზე.**

26 მაისს სოციალური ქსელებში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური „ნიუსი“ იყო ის, რომ აჭარის მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძემ** თანამდებობიდან მოხსნა აჭარის განათლების მინისტრი; მიზეზი — გარკვეული პირების მიერ ბათუმის ქუჩებში რუსული დროშებით ჩავლა.

მოხსნილი მინისტრის განცხადება: **„ეს არის ბავშვთა ფესტივალი. მასში მონაწილეობისთვის არიან ისინი მოწვეული. მგონია, რომ საბავშვო ფესტივალი სცილდება ყოველგვარ პოლიტიკას“.**

დასკვნა: რუსეთის დელეგაცია ოფიციალურად იყო მოწვეული ბათუმში საბავშვო ფესტივალზე და მათ მიერ ბათუმის ქუჩებში რუსული დროშებით ხელში გავლის გამო მოხსნეს აჭარის განათლების მინისტრი.

განა ეს პარადოქსი არ არის?! კი მაგრამ, როდესაც ფესტივალზე, მონაწილეობისთვის იწვევ დელეგაციას რუსეთიდან, რომელი ქვეყნის დროშებს ჩამოიტანენ ისინი?

თუკი რუსეთი მტერია, ოკუპანტია და მისი დროშების ფრიალი არ „გისწორდება“, მაშინ რატომ იწვევ რუსეთის დელეგაციას ფესტივალზე?

ამ მხრივ ძალიან ტრაგიკომიკური სიტუაციაა საქართველოში. ამას წინათ სადღაც წავიკითხე, ვიღაც ქართველი „ძაანპატრიოტი“ წერდა: ამა და ამ ადგილზე რუსი ტურისტები შემხვდნენ და ძალიან გამაღიზიანა იმან, რომ ერთ-ერთ მათგანს მაისურზე „როსსია“ ეწერა და კრემლი ეხატაო.

ბოდიში, პატივცემულო „პატრიოტებო“ და რუს ტურისტებს მაისურზე რა უნდა ეწეროთ, თქვენი აზრით, — „ბანგლადეში“? რა უაზრო უკანალის თამაშია ეს?! მაშინ, თუკი მტრის ყველა წარწერა და ატრიბუტიკა გაღიზიანებს, ჩაუკეტე საზღვარი და არ შემოუშვა საერთოდ იქიდან ტურისტები, მით უმეტეს — უვიზოდ!

**აჰ, მაგას ვერ ვიზამთ, იმიტომ, რომ ტურიზმის სფეროში შემოსავლების 80 პროცენტი სწორედ რუს ტურისტებზე მოდის? რა გამოვიდა? რუსი ტურისტები გვინდა, მათი დახარჯული ფული გვინდა, ოღონდ ამ რუსმა ტურისტებმა დედის უკანალი უნდა აგინონ საკუთარ სამშობლოს და სულ კეთილები უტრიალონ თავიანთ პრეზიდენტს, ხო?**

ბარემ აქვე ვიტყვი, მართლაც საოცრება იყო სოციალურ ქსელებში გაკვირვებული ქართველი მომხმარებლების პოსტები, როდესაც არაერთმა რუსმა ტურისტმა ოფიციალურად გამოთქვა პროტესტი, რომ მათ დისკომფორტს უქმნით ზოგიერთ სასტუმროსა და რესტორანში, ასევე მეტროპოლიტენის მატარებლების ვაგონებში ინგლისურ ენაზე გაკრული წარწერა „რუსეთი ოკუპანტია!“

ქართველი „იუზერები“ ამას რუსებს თავხედობაში უთვლიან და „კიდევ უფრო უარესი წარწერების გაკვრით“ იმუქრებიან. მართლაც ვერ გავიგე, რატომ უნდა ესიამოვნოთ ყოველ ნაბიჯზე ასეთი წარწერა რუს ტურისტებს?!

ესე თემა, რომ „ცხოვრებაში რაში გამოგადგება მათემატიკის ფორმულების ცოდნა“ და ა.შ., ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან მახსოვს ზარმაცი, მაგრამ დიდი ამბიციის მქონე უნიჭო მოსწავლეებისგან. როგორც ჩანს, ის ზარმაცი, უნიჭო და ამბიციური მოსწავლეები ახლა სხვადასხვა სამინისტროში მაღალ თანამდებობებზე გვევლინებიან და „ბავშვობის ტკივილებს“ ვერ ივიწყებენ. მათემატიკასა და ფიზიკაზე შურისძიება მათი მთავარი საზრუნავია. საინტერესოა, რატომ შეჩერდა განათლების მინისტრის „ბრძენი“ მოადგილე მხოლოდ მათემატიკასა და ფიზიკაზე?! დავიჯეროთ, რომ ოცდამეერთე საუკუნეში ქიმიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების ცოდნა, მისი აზრით, საჭიროა?!

აი, ასე და ამგვარად გაერთიანდა და გადაეჭდო ეს სამი თემა ერთმანეთს — **განათლება, მათემატიკა** და **რუსეთი.**

ოღონდ, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მთლად ყველაფერი განათლების სისტემასაც არ უნდა დავაბრალოთ. არაერთი ნიშანი არსებობს იმისა, რომ მშობლებიც თამაშობენ გარკვეულ როლს თავიანთი შვილების გამოყეყეჩებაში. მაგალითად, მათემატიკის უსარგებლობაზე მოქადაგე განათლების მინისტრის მოადგილის განცახდებაზე სოციალურ ქსელში ერთ-ერთი მშობლის კომენტარი ასეთია: „დიახ, ოცდამეერთე საუკუნის ბავშვები სხვაგვარად აზროვნებენ. ჩვენ რომ გვეუბნებოდნენ მასწავლებლები რაიმე მარტივ საკითხზე — ეგ სიზმარშიც რომ გკითხონ, უნდა უპასუხოო, და ვუსმენდით მორჩილად, ახლა ეგრე აღარ არის. ჩემს შვილს უთხრა მასწავლებელმა — ამა და ამ პოეტის სახელი, ქუჩაში რომ გაგაჩეროს და გკითხოს ვინმემ, ფიქრი არ უნდა დაიწყო, ისე უნდა უპასუხოო და ჩემმა შვილმა უთხრა: მასწავლებელო, ქუჩაში რომ ვინმემ გამაჩეროს და ეგ მკითხოს, ის არ იქნება ნორმალურიო“. **თავისი შვილის ასეთი „გამჭრიახი“ პასუხით აღფრთოვანებული დედა ამას აქვეყნებს საჯაროდ და ამტკიცებს, რომ ოცდამეერთე საუკუნეში „სხვა ბავშვები“ არიან და „სხვა პრიორიტეტებია“.** არადა, ამ დონის სისულელეს ბებიაჩემის თანაკლასელი ოროსნებიც ეუბნებოდნენ მასწავლებლებს, მაგრამ პასუხად თანატოლებისგან სიცილს იღებდნენ, ხოლო მშობლები უხსნიდნენ, რომ ამას მასწავლებელი, უბრალოდ, ხატოვნად ამბობს, თორემ რეალურად არც სიზმარში ჰკითხავს არავინ არავის არაფერს და არც ქუჩაში გააჩერებენ ვინმეს შეკითხვით: იცი თუ არა, ვინ იყო ნიკოლოზ ბარათაშვილიო...

აგერ, ოცდამეერთე საუკუნეში კი დედა, მშობელი, ტაშს უკრავს შვილს ასეთი სულელური აზრისთვის და თანაც მთელ თაობას თავისი შვილივით სულელად წარმოაჩენს, ოღონდ თვითონ ვერ ხვდება ამ ყოველივეს და ამის მთქმელიც და შესაბამისად, თაობაც ძალიან ჭკვიანი ჰგონია...

შედეგი ასეთი გვაქვს — **განათლების სფეროს მაღალი თანამდებობის იმ პირს, რომელსაც მათემატიკა, ფიზიკა და სხვა საგნები „გამოუსადეგარად“ და „არასაჭიროდ“ მიაჩნია, არათუ სამსახურიდან ხსნიან, უბრალო საყვედურსაც არავინ აძლევს. განათლების იმ მინისტრს კი, რომელმაც ფესტივალზე ოფიციალურად მოწვეულ რუს ბავშვებს მათი ქვეყნის დროშები არ წაართვა, თანამდებობიდან ელვისებურად ათავისუფლებენ...** რომელი მათგანია უფრო დიდი საფრთხე განათლებისთვის? დასკვნის გაკეთება მკითხველს არ უნდა გაუჭირდეს.

თვალსაწიერი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„არ შეიძლება რუსეთის გინება და განსაკუთრებით ახალგაზრდების მოწამვლა იმით, რომ რუსეთი მტერია. არ უნდა ვზრდიდეთ მომავალ თაობებს ანტირუსული განწყობებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი ჩვენი მეზობელია და მას საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიიდან ვერავინ ვერ გააძევებს, ამიტომ, გვინდა თუ არა, მეზობელ ქვეყანასთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ. სამწუხაროდ, როდესაც სიძულვილის ენით ვსაუბრობთ, საერთო ენის გამონახვა და ურთიერთობა ძალიან გაგვიჭირდება“.**



*თამარ კიკნაძე:*

# ძალიან ბევრი რამ, რაშიც რუსეთს ვადანაშაულებთ, ჩვენი ბრალია, იმ სიძულვილის ბრალია, რომელსაც სხვისი კარნახით ვაფრქვევთ

**ანაკლიაში ქალაქისა და პორტის მშენებლობა 2012 წელს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ პროექტი განუხორციელებელი დარჩა. ნეოლიბერალები ერთ-ერთ მიზეზად რუსეთის ფაქტორს ასახელებენ. საქართველოს სერიოზულ პრობლემად ექცა დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის ნაწილი, რომელიც, დიდი ხანია, აზერბაიჯანთან არის სადავო, მაგრამ ამ შემთხვევაშიც რუსეთს ადანაშაულებს ნეოლიბერალური ელიტა. მთელი წლის სამზადისი წყალში ეყრება ე.წ. ლგბტ თემს, რადგან შსს-მ მათ დაცვაზე უარი განაცხადა და ესეც რატომღაც მეზობელ ქვეყანას ბრალდება... რუსეთისკენ გამუდმებით თითის გაშვერა არის თუ არა საზოგადოების, ხალხის ყურადღების გადატანის მცდელობა მნიშვნელოვანიდან ნაკლებად მნიშვნელოვან პრობლემაზე? — ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, პოლიტოლოგი თამარ კიკნაძე.**

— „რუსეთი დამნაშავეა!“ — გაიძახის ყველა, მათ შორის, დასავლეთიც. ყველაფერი ცუდის საფუძველს რუსეთში ეძებენ. საქართველოს ელიტის ნაწილი მსოფლიოს გლობალისტური ელიტის იდეების გამტარებელია, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს მათგან გამუდმებით რუსეთისკენ თითის გაშვერა.

**არ შეიძლება რუსეთის გინება და განსაკუთრებით ახალგაზრდების მოწამვლა იმით, რომ რუსეთი მტერია. არ უნდა ვზრდიდეთ მომავალ თაობებს ანტირუსული განწყობებით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი ჩვენი მეზობელია და მას საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიიდან ვერავინ ვერ გააძევებს, ამიტომ, გვინდა თუ არა, მეზობელ ქვეყანასთან საერთო ენა უნდა გამოვნახოთ. სამწუხაროდ, როდესაც სიძულვილის ენით ვსაუბრობთ, საერთო ენის გამონახვა და ურთიერთობა ძალიან გაგვიჭირდება,** ეს განსაკუთრებით გაუჭირდება მომავალ თაობას, რომელიც ანტირუსული განწყობებით არის აღზრდილი.

**— რუსეთის სიძულვილი მხოლოდ ქართველი პოლიტიკოსების ნაწილისთვის არ არის დამახასიათებელი. ვინ არის თავიდათავი რუსოფობიური განწყობების გაღვივებისა და რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკისა?**

— **ჯორჯ სოროსი** ბევრი და დიდი ორგანიზაციების მფლობელია, ის გამოირჩევა ანტირუსული განწყობებითა და პოლიტიკით.

კი ანტირუსული განწყობებით განსაკუთრებით **ინგლისი** გამოირჩევა. ისე, პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი და ინგლისი ყოველთვის დაპირისპირებულნი იყვნენ ე.წ. დიდი თამაშის დროს და ინგლისს რუსეთი სძულს, მსოფლიო ომებში გამუდმებით იმ მხარეს იდგა, რომელ მხარესაც რუსეთი იყო. ასე ხდებოდა მაშინ, როდესაც იყო საბჭოთა კავშირი და მაშინაც, როდესაც რუსეთის ფედერაცია იყო. ინგლისი რომ გამოირჩევა ანტირუსული განწყობებით, ამის დამადასტურებელი ფაქტია ე.წ. სკრიპალების საქმე...

გლობალისტების ქმედებებში ყველაზე საინტერესო იყო ის, რომ პროცესების წარმართვას პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** ზურგს უკან ცდილობდნენ, მაგრამ ელიტების თამაშში ტრამპმა და მისმა მომხრეებმა გაიმარჯვეს. **ჰილარი კლინტონი** იყო გლობალისტების ფინანსების წარმმართველი და წარმომადგენელი, დონალდ ტრამპი კი მათ ებრძოდა, ამიტომ, **ტრამპის გამარჯვების ფონზე, არა მგონია, პროცესები ისე განვითარდეს, რომ ანტირუსულმა განწყობებმა მოიმატოს, პირიქით — დაიკლებს.**

ამერიკის შეერთებული შტატების უპირველესი თავის ტკივილი ჩინეთი და მისი გლობალური პოლიტიკაა. დონალდ ტრამპი ნაციონალურ პოლიტიკას აწარმოებს, ჩინეთის ლიდერი **სინ ძინპინი** კი ამბობს, რომ გლობალიზაცია კარგია. ასე რომ, **გლობალიზაციით ჩინეთი უფროა დაინტერესებული, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები. გარდა ამისა, ჩინეთი ცდილობს, განახორციელოს გლობალური პროექტი „ერთი სარტყელი, ერთი გზა“, რომლითაც ამერიკა აღფრთოვანებული არ არის. გეოპოლიტიკური კანონზომიერებების გათვალისწინებით, მოსალოდნელია, რომ უფრო რუსეთ-ამერიკის ალიანსი ვიხილოთ, რადგან თავის დროზე საბჭოთა კავშირი ჩინეთ-ამერიკის ალიანსმა დაანგრია, შედეგად კი ჩინეთი გაძლიერდა.** დღეს, გეოპოლიტიკური ლოგიკით, აუცილებლად უნდა დაუხლოვდნენ ერთმანეთს აშშ და რუსეთი.

**„ტენდენციაა, რომ ყველაფერი რუსეთს უნდა დაბრალდეს, თორემ, პირობითად, აზერბაიჯანთან საქართველოს ურთიერთობის დაძაბვით სომხეთი უფრო უნდა იყოს დაინტერესებული, ვიდრე რუსეთი. საქართველომ აზერბაიჯანთან ურთიერთობა უნდა მოაგვაროს, რადგან ამ ურთიერთობაზეა დამოკიდებული რეგიონის სტაბილურობა. ისე, თუ ქართველები ნაკლებს ვილაპარაკებთ და პრობლემის სხვაზე გადაბრალებას თავს დავანებებთ, უკეთესი იქნება ჩვენთვის**

**— ბოლო რამდენიმე კვირაა, ქვეყანა სერიოზული პრობლემების წინაშეა: ერთი პრობლემა არის დავითგარეჯა, მეორე — ანაკლიის პორტი. ერთგან უძველესი ქართული კულტურის ძეგლის მიტაცების, ხოლო მეორეგან ძალიან დიდი პროექტის ჩავარდნის მცდელობაა... არის კიდევ ერთი საკითხი, რომლისთვისაც ლიბერალები დიდი გულმოდგინებით ემზადებოდნენ, ეს არის ლგბტ პრაიდი, რომლის ჩატარებაზეც შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი განაცხადა იმ მიზეზით, რომ ჰომოსექსუალების დაცვას ვერ უზრუნველყოფდა. ჩამოთვლილი პრობლემები ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის, მაგრამ ლიბერალები ყველა ამ პრობლემას რუსეთს უკავშირებენ და ამბობენ, რომ, რაც ბოლო დღეებში საქართველოში ხდება, ყველაფერი რუსეთის ბრალია...**

— ტენდენციაა, რომ ყველაფერი რუსეთს უნდა დაბრალდეს, თორემ, პირობითად, აზერბაიჯანთან საქართველოს ურთიერთობის დაძაბვით სომხეთი უფრო უნდა იყოს დაინტერესებული, ვიდრე რუსეთი. **საქართველომ აზერბაიჯანთან ურთიერთობა უნდა მოაგვაროს, რადგან ამ ურთიერთობაზეა დამოკიდებული რეგიონის სტაბილურობა. ისე, თუ ქართველები ნაკლებს ვილაპარაკებთ და პრობლემის სხვაზე გადაბრალებას თავს დავანებებთ, უკეთესი იქნება ჩვენთვის.**

დღეს რუსეთი განტევების ვაცია — ყველაფერი, რაც ცუდია საქართველოში, და არა მხოლოდ საქართველოში, რუსეთის ბრალია.

ანაკლიის პროექტზეც ბევრს საუბრობენ, ხან შეჩერდა, ხან ჩაშლის პირამდე მივიდა, ხან ვის დაბრალდა, თანამდებობის პირებიც მოხსნეს და, ასე ვთქვათ, „გააფუჭეს“ კიდეც... **ანაკლიის პორტის მშენებლობის შეფერხება, შეჩერება თუ ჩავარდნა რუსეთს ბრალდება. ამბობენ, რომ მეზობელი ქვეყნის ინტერესებში არ შედის ეს პროექტი. არადა, ანაკლიის პორტის პროექტის ინიცირების პროცესს თუ თვალს გავადევნებთ, გაგვახსენდება, რომ ამ პროექტით ჩინეთი იყო დაინტერესებული, აქედან გამომდინარე, თუ ეს ჩინური პროექტია, მისი ჩაშლა ამერიკელებს სწადიათ, სწორედ ისინი არ იქნებიან დაინტერესებული ანაკლიის პორტის პროექტის განხორციელებით.**

**— როდესაც რუსეთისკენ თითს იშვერენ და ყველაფერს, კარგსაც კი, ცუდად წარმოაჩენენ, რათა რუსეთი გაამტყუნონ, ამის უკან ის აზრი ხო მარ დევს, რომ მოსახლეობის ყურადღება რეალური პრობლემისგან სხვაზე გადაიტანონ?**

— თავის დროზე **მიხეილ სააკაშვილმა** დაიკისრა ვალდებულება მსოფლიოს წინაშე, რომ რუსეთის გამაღიზიანებლის ფუნქცია შეესრულებინა, რაც ძალიან ცუდი იყო. ყველამ კარგად ვიცით, ამის გამო რა დაემართა საქართველოს 2008 წელს.

საქართველომ ყოველთვის უნდა შეასრულოს კონსტრუქციული ფუნქცია, სწორედ მაშინ იქნება ქართული პოლიტიკა წარმატებული.

„რუსეთი ოკუპანტიას“ ძახილით რაც მივიღეთ, ჩვენს თავში ჩავიხედოთ და მივხვდებით. **ძალიან ბევრი რამ, რაშიც რუსეთს ვადანაშაულებთ, ჩვენი ბრალია, იმ სიძულვილის ბრალია, რომელსაც სხვისი კარნახით თუ ჩვენივე ნებით ვაფრქვევთ.** აღსანიშნავია, რომ დასავლეთში მიმდინარე პროცესებშიც რუსულ კვალს ეძებენ, მკითხველმა კარგად იცის, როგორი პროცესებია დასავლეთ ევროპაში და როგორ წამოიწიეს აქტიური პოლ?ტიკის წინა პლანზე კონსერვატორებმა.

რაც შეეხება თქვენს შეკითხვას — ხალხისა და საზოგადოების ყურადღების სხვა რამეზე გადატანა ხომ არ სურთ რუსეთის გინებით, გეტყვით, რომ რუსეთის სახით მტრის ხატს ხატავენ და ამით მართლაც ახერხებენ საზოგადების ყურადღების გადატანას მნიშვნელოვანი პრობლემიდან უმნიშვნელოზე. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ასე ხდება დასავლეთშიც და არა მხოლოდ საქართველოში.

ევროკავშირის (წარუმატებელი ორგანიზაციის) მაღალჩინოსნები, ბიუროკრატები ვერ ხვდებიან, რას სჩადიან. არადა, როგორც ქართველმა პოლიტიკოსებმა, მათაც საკუთარ თავში უნდა ეძებონ პრობლემის სათავე და არსი.

**— შესაძლებელია, რომ რუსეთის საწინააღმდეგო აგრესია ერთი ქვეყნიდან და ერთი ხელით იმართებოდეს?**

— არა, დღევანდელი მსოფლიო აღარ იმართება ერთი ქვეყნიდან და ერთი ხელით. დღეს ე.წ. ელიტები საკმაოდ დიფერენცირებულია და მსოფლიო პოლიტიკის საფუძველს ამ ელიტების გარიგება-დაპირისპირება შეადგენს. ამ ე.წ. ელიტებს შორისაც არის დაპირისპირება, რაც აისახება მსოფლიოს პოლიტიკურ პროცესებზე.

**— აძლევს კი ხელს საქართველოს გამუდმებით რუსეთისკენ თითის გაშვერა? ქვეყანაში შექმნილი პრობლემების რეალურ მიზეზებზე საქართველოს ხელისუფლება არ საუბრობს, ის არ ლანძრავს რუსეთს, მაგრამ არც კონსტრუქციული ურთიერთობის აწყობას ცდილობს მეზობელ ქვეყანასთან...**

— რუსეთის ლანძღვა-გინება დაუშვებელია, ყოველთვის აპელირება იმაზე, რომ რუსეთია დამნაშავე, არ შეიძლება. რუსეთი მსოფლიო პოლიტიკაში დიდ როლს ასრულებს და ამის გაუთვალისწინებლობა, ჩემი აზრით, დიდი სისულელეა.

თუ თვალს მივადევნებთ მიმდინარე პროცესებს იმ მომენტიდან, როდესაც ევროსაბჭოში რუსეთს ხმა ჩამოართვეს, ვნახავთ, როგორაა შეცვლილი რუსეთის მიმართ განწყობა — მას ყველგან ეპატიჟებიან; ასევე შეცვლილია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოლიტიკაცა და განწყობაც. ის ამბობს, რომ რუსეთთან უნდა დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაშიც დაპირისპირებებია ელიტებს შორის, დონალდ ტრამპმა უკვე მოიპოვა პირველი გამარჯვება, როდესაც მიულერის კომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა, რომ ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში რუსეთი არ ჩარეულა. ტრამპისგან ბოლო პერიოდში კიდევ უფრო თამამი განცხადებები ისმის და ვფიქრობ, რუსეთის მიმართ აგრესია შემცირდება.

რუსეთი არის ქვეყანა, რომლის ფაქტორის გაუთვალისწინებლობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. ამას კარგად გვიჩვენებს ევროპაში მიმდინარე პროცესები და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოზიცია.

**«თუ თვალს მივადევნებთ მიმდინარე პროცესებს იმ მომენტიდან, როდესაც ევროსაბჭოში რუსეთს ხმა ჩამოართვეს, ვნახავთ, როგორი შეცვლილია რუსეთის მიმართ განწყობა — მას ყველგან ეპატიჟებიან; ასევე შეცვლილია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოლიტიკაც და განწყობაც. ის ამბობს, რომ რუსეთთან უნდა დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაშიც დაპირისპირებებია ელიტებს შორის, დონალდ ტრამპმა უკვე მოიპოვა პირველი გამარჯვება, როდესაც მიულერის კომისიამ გამოაქვეყნა დასკვნა, რომ ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში რუსეთი არ ჩარეულა. ტრამპისგან ბოლო პერიოდში კიდევ უფრო თამამი განცხადებები ისმის და ვფიქრობ, რუსეთის მიმართ აგრესია შემცირდება»**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გარკვეული ძალები წინა და დღევანდელი ხელისუფლებების უმაღლეს ეშელონებში გარიგებულნი არიან აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან და მისგან სერიოზულ ფინანსურ სარგებელს იღებენ. თუმცა ეს, სამწუხაროდ, არ ეხება მხოლოდ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, სოლიდურ სარგებელს ნახულობენ სხვა ინსტიტუტებშიც“.

## პრობლემა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# ლევან ჩაჩუა: მსგავსი პრაგმატიზმის გამო ჩნდება უნდობლობა და მცირდება მრევლის რაოდენობა ეკლესიებში

**დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარშემო განვითარებულ ხმაურიან მოვლენებს, განსაკუთრებით იმ სამოქალაქო აქტივობას, რომელიც ქართველ საზოგადოებაში აზერბაიჯანული მხარის მიერ ჩიჩხიტურის კოშკის მიმართულებით გზის თვითნებურ გაყვანას მოჰყვა, „ლიბერალური მედია“ მძლავრი პროპაგანდით უპირისპირდება.**

## «ერთი მხრივ, თითქოს ოკუპაციას აპროტესტებენ და სამშობლოზე გული შესტკივათ, მეორე მხრივ, მზად არიან, ლანგრით მიართვან აზერბაიჯანს საქართველოს ძირძველი წმინდა მიწა»

„ტაბულა“, „რადიო თავისუფლება“, ტელევიზიები თუ უცხოეთიდან დაფინანსებული სხვა მსგავსი საინფორმაციო საშუალებები, რომლებსაც მხოლოდ რუსულ ოკუპაციაზე ემართებათ „ისტერიკა“, ამჯერად მეზობელი სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ არაკეთილმეზობლურ ქმედებებს (რბილად რომ ვთქვათ) მშვიდად აშუქებენ. მეტიც, ზოგიერთი მათგანი, ეს დღეებია, ამტკიცებს, რომ სადავო ტერიტორია, რომელზეც უძველესი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლია, რეალურად აზერბაიჯანს ეკუთვნის. მათი მტკიცებით, ამით არც ისტორიული სამართლიანობა ირღვევა და არც სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის იურიდიული ჩარჩოები (თუმცა „ექსპერტებისა“ თუ ვაიჟურნალისტების ერთ ნაწილს არც ის ავიწყდება, რომ თითი რუსეთისკენ გაიშვიროს და, როგორც სჩვევიათ ხოლმე, ყველაფერი ცუდი ამ პროცესის გარშემო „ბნელ“ საბჭოთა წარსულს დააბრალონ...). ამ ანტიქართულ „ლიბერალურ“ დუყისნთხევას თუ დავუჯერებთ, დავითგარეჯა საქართველო არ არის და არ შეიძლება, მასზე ქართველებს პრეტენზია გვქონდეს. პროტესტსა და სამოქალაქო აქტივობას რაც შეეხება, ეს ყველაფერი თურმე ისევ და ისევ რუსული ნარატივის გაგრძელებაა, რაც საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს აზიანებს...

რა ძალები დგას დღეს რეალურად ამ პროპაგანდის უკან და უნდა არსებობდეს თუ არა ქვეყანაში სამართლებრივი რეგულაციები მსგავსი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებების აღსაკვეთად?

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პარტია „ქართული იდეის“ თავმჯდომარე ლევან ჩაჩუა.**

**— ბატონო ლევან, ეს დღეებია, „ლიბერალური“ პროპაგანდა ამტკიცებს, რომ დავითგარეჯა აზერბაიჯანის ტერიტორიაა და აზერბაიჯანელთა უფლებაა, ამ ტერიტორიაზე რა სამუშაოებს ჩაატარებენ. მეტიც, მიდის პროპაგანდა, რომ ჩვენი მხრიდან ამ პროცესის გაპროტესტება რუსული ნარატივის გაგრძელებაა. რა ძალები დგას ამ ყველაფრის უკან? რატომ იქცევა ასე „ლიბერალური“ მედია?**

— ჩვენი ძირითადი მედიასაშუალებები ემსახურებიან ე.წ. ლიბერალურ ინტერნაციონალს, მათთვის არ არსებობს ეროვნული ინტერესები, არაფერს არ ნიშნავს სიწმინდე, კულტურული მემკვიდრეობა, ეროვნული ფასეულობა და ა.შ. ლიბერალები რეალურად არასდროს არ ებრძვიან ოკუპაციას. ეს ის ხალხია, რომელიც ქართული სულიერების დაცვაზე დებს თავს და თან გაშიშვლებული უკანალის ქნევით უნდათ პროტესტის გამოხატვა, თუ კი საერთოდ იციან, რა არის პროტესტი და თუ საერთოდ, აქვთ პროტესტის ან, გნებავთ, პირადი ღირსების გრძნობა. შეუძლებელია ქვეყნის ტერიტორიულ დაქუცმაცებას ეწინააღმდეგებოდეს ძალა, რომლისთვისაც უცხოა ჩვენი ქვეყნისა და ერის ტრადიციები, მისი სულიერება და ცნობიერება. შეუძლებელია, კაცი ერთი ხელით იცავდეს საკუთარ მიწას და მეორე ხელით ებრძოდეს მის სიწმინდეს, მის ისტორიას. თუმცა ამ ძალებისთვისაც არსებობს გარკვეული „ფასეულობები“ და მათ გამო ისინი მზად არიან, ყველაფერზე წავიდნენ. ძირითადად, ეს არის ორი რამ: ფული და ძალაუფლება. მორჩა, ამის იქით მათთვის ღირებული არაფერია, მათ შორის არც სამშობლოს მიწა-წყალი, არც კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება, ლიტერატურა და ა.შ. აი, ეს არის ჩვენი გულსაკლავი რეალობა — ვიღაც იღებს ფულს და მიზანმიმართული ქმედებებით უთხრის ძირს ქვეყნის საფუძველს, ვიღაც კი რიგში დგას, რომ იუდა ჩაანაცვლოს...

**— კი მაგრამ, ამ კონკრეტულ საკითხთან ფულის აღება რა შუაშია?**

— **არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გარკვეული ძალები წინა და დღევანდელი ხელისუფლებების უმაღლეს ეშელონებში გარიგებულნი არიან აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან და მისგან სერიოზულ ფინანსურ სარგებელს იღებენ. თუმცა ეს, სამწუხაროდ, არ ეხება მხოლოდ ხელისუფლებას, როგორც ჩანს, სოლიდურ სარგებელს ნახულობენ სხვა ინსტიტუტებშიც...** სხვათა შორის, ჯერ კიდევ სააკაშვილის პერიოდში ხდებოდა მსგავსი გარიგებები და რომ იძახიან, ნაციონალებმაც ვერ მოაგვარეს საზღვრის დელიმიტაციის საკითხიო, ამიტომაც ვერ და არ მოაგვარეს... ბუნებრივი აირისა და საწვავის ტარიფზე გარიგებისთვის ყველაფერზე მიდიოდნენ, ეს პოლიტიკური სამართალმემკვიდრეობა გადაიბარა „ქართულმა ოცნებამ“ და მათაც „კოჰაბიტირებულად“ განაგრძეს. შედეგად, **მეგობრად და სტრატეგიულ პარტნიორად წარმოჩენილი სახელმწიფო ნელ-ნელა გვართმევს 6 ათასი წამებული ბერის სისხლით გაპოხილ მიწას, ხელისუფლება კი გატრუნულია და ხმას ვერ იღებს. რომ არა დიდი საზოგადოებრივი პროტესტი და მღელვარება, ესენი ხმის ამოუღებლად დაუთმობდნენ აზერბაიჯანს დავითგარეჯის წმინდა ადგილებს...**

**— ამბობენ, რომ გარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ საბჭოთა დროიდან მოხვდა აზერბაიჯანის საზღვრებში.**

— დავითგარეჯის არქიმანდრიტს, **მამა კირიონს,** ყველანაირი დოკუმენტი და მტკიცებულება აქვს იმისა, რომ ეს მასე არ არის და რომ საქმე გვაქვს დიდ ღალატთან. მოვა დრო და ყველაფერი გამოაშკარავდება... ან კიდევ, რომ გაიძახიან: ეს მონასტრები ალბანური კულტურის მემკვიდრეობაა და საქართველოს არ შეიძლება ეკუთვნოდესო, საინტერესოა, რომელ დოკუმენტებსა და წყაროებზე დაყრდნობით აკეთებენ ამ განცხადებებს აზერბაიჯანში?! ამას წინათ „ქართული იდეის“ ვებგვერდზე გამოვაქვეყნეთ ვიდეო, სადაც ჩანს, როგორ არიან აზერბაიჯანელი მეცნიერები შესული გარეჯის ერთ-ერთ მონასტერში (თუ არ ვცდები, ბერთუბანია) და ქართულწარწერებიანი ფრესკების ფონზე აცხადებენ: ეს ალბანური, ჩვენი ისტორიული წინაპრების კულტურის ძეგლიაო. ჯერ ერთი, **ალბანეთი იყო მართლმადიდებელი ქვეყანა, ავტოკეფალიური ეკლესიით, ავთენტური ენითა და დამწერლობით, დიდი ქრისტიანული კულტურით, რაც ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია აზერბაიჯანი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა ქრისტიანული ქვეყანა, მისი სამართალმემკვიდრე, მითუმეტეს სულიერი მემკვიდრე იყოს. რით დასტურდება, რომ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექი ალბანურია?! თუნდაც ერთი წყარო გვაჩვენონ, ერთი დოკუმენტი, რომელიც ამ ყველაფერს დაადასტურებს. თუმცა, რა თქმა უნდა, თვითონაც იციან, რომ დღევანდელ აზერბაიჯანელებს არანაირი მემკვიდრეობა, კულტურა და ისტორია კავკასიელ ალბანელებთან არ აკავშირებთ.** დავუბრუნდეთ ისევ იმ „ლიბერალურ“ პროპაგანდას, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად გვმოძღვრავს, რომ აზერბაიჯანი მართალია და ის სადავო ტერიტორიები საქართველოს არ ეკუთვნის. საინტერესო არის ის, რომ ამ პროპაგანდას ეწევიან ადამიანები, რომლებსაც პირზე აკერიათ სიტყვა ოკუპანტი. ერთი მხრივ, თითქოს ოკუპაციას აპროტესტებენ და სამშობლოზე გული შესტკივათ, მეორე მხრივ, მზად არიან, ლანგრით მიართვან აზერბაიჯანს საქართველოს ძირძველი მიწა. სხვათა შორის, ამ დღეებში ეს პროპაგანდა ზოგიერთი ვაიექსპერტის პირით „ამშვიდებდა“ მოსახლეობას, რომ თურმე დავითგარეჯას მთლიანად კი არ გვედავებიან, არამედ საუბარია სულ რაღაც სამ მონასტერზე. გეგონება, ის სამი მონასტერი არაფერს არ ნიშნავდეს და გინდ გვქონია, გინდ არა (უნებლიეთ გამახსენდა 2008 წლის ომის შედეგებზე სააკაშვილის „ფრთიანი ფრაზა“: სულ ოციოდე სოფელი დავკარგეთ, დიდი ამბავიო...). საზოგადოდ, ეს არის მათი პატრიოტიზმი და ბრძოლა თავისუფლებისთვის, რომელიც თავიდან ბოლომდე აგებულია ანტიქართულ, ანტისახელმწიფოებრივ მიდგომებზე. თანაც **ორმაგი სტანდარტით მოქმედებენ — რუსეთის მიერ საზღვრის გადმოწევის, — რაც, რა თქმა უნდა, დასაგმობია, — ყოველ შემთხვევას სახელმწიფოსა და მედიის მყისიერი განგაში ახლავს, ხოლო, თუ აზერბაიჯანმა ტერიტორიასთან ერთად ქრისტიანული სიწმინდეებიც მიითვისა, ეს არაფერია — თურმე საბჭოეთის პერიოდიდან ეკუთვნოდა...**

**— ისე, ამ დღეებში ზოგიერთმა სასულიერო პირმაც საკმაოდ უცნაური განცხადებები გააკეთა. მაგალითად, ერთ-ერთმა, რომლის ვინაობასაც ჯერჯერობით შეგნებულად არ დავასახელებ, განაცხადა, რომ საქართველოს არ შეუძლია აზერბაიჯანთან ომის დაწყება, რადგან აზერბაიჯანის თავდაცვის ბიუჯეტი საქართველოს მთლიან ბიუჯეტს აღემატებაო და ა.შ. რა აზრის ხართ საკითხისადმი ასეთ მიდგომაზე?**

— ჯერ ერთი, შეიარაღებული დაპირისპირების თემა ასე მარტივი სასაუბროა?! მეორეც, ბიუჯეტითა და ჯარის რაოდენობით აპელირება, რომელიც პირდაპირ მიუთითებს ბოლო ჟამს გამეფებულ უხეშ პრაგმატიზმზე, ამ შემთხვევაში, საერთოდ უადგილოა. ჩვენი ღირსეული წინაპრების მსგავსად რომ ეფიქრათ და ემოქმედათ, დღეს არც ერთი მოწამე, აღმსარებელი და მამულისთვის თავდადებული გმირი არ გვეყოლებოდა. რას ჰქვია, ვიღაც უფრო მდიდარი და მრავალრიცხოვანია?! როდის იყო, საქართველოს ღარიბი და მცირერიცხოვანი ქვეყნები ესხმოდნენ თავს და იპყრობდნენ?!.. მაშინ რატომ ვცემთ პატივს მარაბდის, კრწანისისა და სხვა მრავალი ბრძოლის გმირებს?! რა, მათ დიპლომატია არ ჰყოფნიდათ თუ ბიუჯეტსა და ჯარის რაოდენობას ვერ საზღვრავდნენ?!

**— ამ რიტორიკის უკან რაიმე დაინტერესება დგას თუ გაუაზრებელი ქმედებაა?**

— ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. როდესაც საქმე ეხება მოწამე ბერების სისხლით მორწყული მიწის შენარჩუნებას, აქ ბუნებრივი აირისა და საწვავის გამო (მითუმეტეს, როცა საქართველოსაც აქვს ძლიერი ზემოქმედების ბერკეტები) კომპრომისზე წასვლა ღალატია ჩვენი წმინდა წინაპრების მიერ არჩეული გზისა. ასე რომ, ვიღაცას შეგნებულად შეჰყავს შეცდომაში საზოგადოება თუ შეუგნებლად, შედეგის თვალსაზრისით **ასე „დამოძღვრილი“ ხალხი ვერც ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბდება და ვერც მრევლად და, რაც ყველაზე სავალალოა, სწორედ ასეთი უხეში პრაგმატიზმისა და არაგულწრფელი დამოკიდებულების გამო ჩნდება უნდობლობა (განსაკუთრებით ჩვენს ახალგაზრდებში) და მცირდება ხალხის რაოდენობა ეკლესიებში. დღეს ეს არის უწინარესად მოსაგვარებელი პრობლემა.**

რაც შეეხება ლიბერალური მედიისა და მარიონეტი ხელისუფლების გაუმაძღრობას, ქართველი ერი ყველაფერს ხედავს და ყველას იმახსოვრებს. ლიბერალური ინტერნაციონალი უკვე ლაფავს სულს, ასე რომ, ამათი დღეებიც დათვლილია. მალე დადგება დრო, როცა ყველა აგებს პასუხს, ყველა! მანამდე კი ქართველ მამულიშვილთა ერთობა და მორწმუნე საზოგადოების უდიდესი ძალისხმევაა საჭირო, რაც შეიძლება ნაკლები ზარალი რომ მიადგეს ჩვენი ეკლესიის ავტორიტეტსა და სამშობლოს.

**„ალბანეთი იყო მართლმადიდებელი ქვეყანა, ავტოკეფალიური ეკლესიით, ავთენტური ენითა და დამწერლობით, დიდი ქრისტიანული კულტურით, რაც ნიშნავს იმას, რომ შეუძლებელია აზერბაიჯანი, რომელიც არასოდეს არ ყოფილა ქრისტიანული ქვეყანა, მისი სამართალმემკვიდრე, მითუმეტეს სულიერი მემკვიდრე იყოს. რით დასტურდება, რომ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექი ალბანურია?! თუნდაც ერთი წყარო გვაჩვენონ, ერთი დოკუმენტი, რომელიც ამ ყველაფერს დაადასტურებს. თუმცა, რა თქმა უნდა, თვითონაც იციან, რომ დღევანდელ აზერბაიჯანელებს არანაირი მემკვიდრეობა, კულტურა და ისტორია კავკასიელ ალბანელებთან არ აკავშირებთ“**

ესაუბრა ჯაბა ჟვანია

ისტორიული მემკვიდრეობა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1897 წელს ზაქათალის ოკრუგში 84 224 კაცი ცხოვრობდა. ქართველები 12 394 კაცი იყო (მოსახლეობის 14,7 პროცენტი), თათრები (აზერბაიჯანელები) — 28 950 (34,4 პროცენტი). მოსახლეობის უმრავლესობას ხუნძები და ანდიელები შეადგენდნენ — 34 130 კაცი (40,5 პროცენტი). მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ, აგრეთვე, სომხები (2100), რუსები (315) და უკრაინელები (118).**

# ზაქათალა და დავითგარეჯის ქედი უძველესი ქართული ტერიტორიებია

**XI-XII საუკუნეებში საქართველოს უძლიერესი სახელმწიფო შიშის ზარს სცემდა სრულიად ახლო აღმოსავლეთს. საქართველოს მოსახლეობა, 1254 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, 8 მილიონ კაცს უდრიდა, გაცილებით მეტს, ვიდრე დასავლეთ ევროპის ბევრი სახელმწიფოს მოსახლეობა. ჟამთა სიავის გამო და ჩვენი უნიათობითაც XXI საუკუნის დასაწყისში (2014 წ.) ქვეყნის მოსახლეობა 3 713 ათას კაცამდე, ანუ 2,2-ჯერ შემცირდა. შაგრენის ტყავივით დაპატარავდა საქართველოს ტერიტორიაც. XII-XIII საუკუნეებში 145 ათასი კვ.კმ-ის ნაცვლად ამჟამად ქვეყნის ტერიტორიის ფართობი 69,7 ათას კვ.კმ-ს უდრის.**




დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და გარეჯის ქედი (MONT GOUREDGIA) გიიომ დელილის და სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილ რუკაზე, რომელიც გამოიცა პარიზში 1723 წელს




საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. 1916 წ.

თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოსთვის სუვერენული სახელმწიფოს არსებობის საფუძველი, სახელმწიფო საზღვრის იურიდიული ცნება აღარ არსებობდა. ამიტომ იყო, რომ რუსეთმა სხვადასხვა (ობიექტური თუ სუბიექტური) გარემოების გამო ქართველი ხალხის დაუკითხავად 1918, 1921 წლებში და შემდეგაც საზავო და სახელშეკრულებო მოლაპარაკებების შედეგად თურქეთს გადასცა საქართველოს ტერიტორიები. როგორც პროფესორი **ვაჟა ნეიძე** აღნიშნავს, **თურქეთის მფლობელობაში აღმოჩნდა ართვინის (3271,3 კვ.კმ), არტაანის (5604,5 კვ.კმ), ოლთისის (2983 კვ.კმ) ოკრუგები. აზერბაიჯანს კი სრულიად უსაფუძვლოდ გადაეცა ძველი ქართული ტერიტორია — ზაქათალის ოკრუგი (3985,5 კვ.კმ). სულ გადაცემული ტერიტორიების ფართობმა შეადგინა 15 844,9 კვ.კმ.**

ზაქათალის ოკრუგი, როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, რუსეთის იმპერიაში 1860 წელს შეიქმნა და იგი შედიოდა თბილისის გუბერნიაში. 1897 წელს თბილისის გუბერნია, ისე, როგორც 1886 წელს საოჯახო სიების შედგენისას, დაყოფილი იყო 9 მაზრად და 1 ოკრუგად: **თბილისის, ახალქალაქის, ახალციხის, ბორჩალოს, გორის, დუშეთის, სიღნაღის, თელავის, თიანეთის მაზრებად და ზაქათალის ოკრუგად.** ეს უკანასკნელი იყოფოდა ალიაბადის, ბელაქანის, ჭარ-მუხახისა და კაკის უბნებად, ადმინისტრაციული ცენტრი იყო ზაქათალა. ზაქათალის ოკრუგი მოიცავდა ისტორიული საინგილოს მნიშვნელოვან ნაწილს. რუსი კარტოგრაფის — **ე. კონდრატენკოს** მიერ 1886 წელს შედგენილი ეთნოგრაფიული რუკის მიხედვითაც ზაქათალის ოკრუგი თბილისის გუბერნიის შემადგენლობაში შედიოდა. რუსეთის იმპერიის მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერის საერთო კრებულის მეორე ტომის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ „ქართველურ ჯგუფში შემავალი ხალხები წარმოადგენენ ერთგვაროვან მთლიანობას. მათ, სხვებთან ერთად, ეკუთვნიან ინგილოები, რომლებიც ცხოვრობენ ზაქათალის ოკრუგში" (Общий свод по империи результатов разработки данных первой всеобщей переписи населения 1897 года, т. II, С.Петербург, 1905, с. XXVII-XXVIII).

1897 წელს ზაქათალის ოკრუგში 84 224 კაცი ცხოვრობდა. ქართველები 12 394 კაცი იყო (მოსახლეობის 14,7 პროცენტი), თათრები (აზერბაიჯანელები) — 28 950 (34,4 პროცენტი). მოსახლეობის უმრავლესობას ხუნძები და ანდიელები შეადგენდნენ — 34 130 კაცი (40,5 პროცენტი). მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ, აგრეთვე, სომხები (2100), რუსები (315) და უკრაინელები (118).

სამწუხაროდ, მოგვიანებით აზერბაიჯანს კიდევ გადასცეს საკმაოდ დიდი ფართობი — 1093 კვ.კმ გარეჯ-ყარაიისა და ელდარის ველების ნაწილი, რომლებიც თბილისისა და სიღნაღის მაზრებს ეკუთვნოდა. ამით არ დამთავრებულა ქართული მიწების, შეიძლება ითქვას, გაჩუქების პროცესი. როგორც აღნიშნავენ შესაბამისი დოკუმენტების მოძიებისა და გაანალიზების საფუძველზე, 1929 წელს **ჩეჩნეთს** გადაეცა **შატილის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი** — ტერეტეგის მიდამოები (212 კვ.კმ). სომხეთს უკვე გადაცემული ჰქონდა 2478 კვ.კმ ტერიტორია. საბოლოოდ, 1921 წლიდან 1935 წლის ჩათვლით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ, ნებსით თუ უნებლიეთ, 19 919,5 კვ.კმ ქართული მიწა გაასხვისა, ანუ, როგორც მენშევიკურმა, ისე ბოლშევიკურმა საქართველომ თავისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ისე, რომ ხელიც არ გაუნძრევია, დაკარგა. აზერბაიჯანს საძოვრები უჭირდა და ამ სრულიად გაუგებარი საბაბით გადაეცათ ქართული მიწები. **1921 და 1924 წლებში შედგენილი რუკების მიხედვით, საზღვარმა გარეჯის მთის თხემზე გაიარა და დავითგარეჯის ფეოდალური ხანის საქართველოს უმნიშვნელოვანესი რელიგიურ-კულტურული ცენტრის — სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსის საკმაო ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიის ფარგლებში მოექცა.** აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა დავითგარეჯის მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია, იგი გათავისუფლებული იყო გადასახადებისგან. მტერმა დავითგარეჯა რამდენჯერმე ააოხრა და დაარბია, თუმცა სამონასტრო ცხოვრება იქ გრძელდებოდა. მე-18 საუკუნეში დავითგარეჯა კვლავ საქართველოს მეფის ხელდებული გახდა. მას ეკუთვნოდა ვრცელი მამულები და სოფლები.

ამჟამად დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის კუთვნილების გამო ურთიერთობა საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის მნიშვნელოვნად დაიძაბა. აზერბაიჯანი საქართველოს მეგობარი და პარტნიორი ქვეყანაა. **ჩვენ შორის დაძაბულობა და არსებითი გაუგებრობა არასოდეს ყოფილა. ამჯერადაც გვჯერა, რომ აზერბაიჯანული მხარე გაითვალისწინებს ისტორიულ რეალობებს და სიმართლე იზეიმებს. მანამდე კი საჭიროა, ორივე მხრიდან ეს პრობლემა ემოციებმა არ გადაფაროს და ამ საკითხზე შექმნილ კომისიას ნორმალური მუშაობის საშუალება მიეცეს.**

მიუხედავად იმისა, რომ 1920-იან წლებში და შემდეგ პერიოდშიც საბჭოთა კავშირში უმაღლეს სახელისუფლო თანამდებობებზე ბევრი ქართველი მუშაობდა, ეროვნული თვალსაზრისით საქართველო ყველაზე მეტად სწორედ ამ პერიოდში დაზარალდა. 1920-იანი წლების დასაწყისში მთავრობამ გამოსცა სხვადასხვა განკარგულება ქართული ენისთვის პრიორიტეტის მინიჭების მიზნით, გამოვიდა განათლების სახალხო კომისრის ბრძანება (1923 წელს), რომელშიც აღნიშნული იყო, რომ საქმეები და ყოველგვარი მიწერ-მოწერა რესპუბლიკის ადგილობრივ ორგანოებთან აუცილებლად ქართულ ენაზე უნდა წარმოებულიყო და ამ ბრძანების დამრღვევნი პასუხისგებაში იქნებოდნენ მიცემულნი, მაგრამ ეს იყო და ეს. ამ მიმართულებით სხვა არაფერი გაკეთებულა. მეტიც, „ამიერკავკასიის დიქტატორი" **სერგო ორჯონიკიძე** თავისი უცოდინარობით მხოლოდ ანტიქართულ საქმეებს აკეთებდა და უდიდესი ზიანი მიაყენა ქართველ ერს. ის საქართველოს სომხურენოვან რაიონებში საქმეების წარმოებას სომხურ ენაზე მოითხოვდა. გამოდის, რომ საქართველოს სხვა კუთხეებშიც საქმის წარმოება არაქართულ ენაზე (აზერბაიჯანულზე, ბერძნულზე და ა.შ.) უნდა დაგვეკანონებინა. „ჩვენი სერგო" ქართველ ინტელიგენციას ემუქრებოდა: საბოტაჟის შემთხვევაში თქვენთან სალაპარაკოდ ტყვიის ენა გვექნებაო. ამავე დროს ს. ორჯონიკიძე თავგამოდებით იცავდა სხვა ენებს. იგი 1923 წელს ბაქოს XII პარტკონფერენციაზე აღნიშნავდა: „თუ გვინდა, შევქმნათ მტკიცე საბჭოთა ხელისუფლება, აზერბაიჯანში მხოლოდ აზერბაიჯანული ენა ულაპარაკოდ უნდა შემოვიღოთ ყველა დაწესებულებაში" (Стенографический отчет Бакинской партконцефции, Баку, 1923, с. 27). ამ პერიოდში კი აზერბაიჯანელები შეადგენდნენ აზერბაიჯანის მოსახლეობის 62 პროცენტს, ხოლო აზერბაიჯანში დიდი რაოდენობით და კომპაქტურად ცხოვრობდნენ, აგრეთვე, რუსები (220 ათასი), სომხები (282 ათასი) და ა.შ.

დემოგრაფიული კუთხით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზღვრისპირა სოფლების განლაგებას და ამ მათ სიდიდეს. ზოგიერთი სოფელი საზღვრიდან დიდი მანძილითაა დაშორებული და, ამასთანავე, მცირერიცხოვანია. განსაკუთრებით მოფარღალავებულია ჩვენი საზღვარი ჩრდილოეთით — რუსეთთან, რომელსაც მესტიის, ლენტეხის, ონის, დუშეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების 20 სოფელი ესაზღვრება, რომლებშიც მოსახლეობის საერთო რაოდენობა 1 508 კაცს უდრის. აქ 20-დან 3 სოფელი გაუკაცრიელებულია, დანარჩენ 17 სოფელში კი მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ.

საქართველოს საზღვრისპირა სოფლების რაოდენობა 132 სოფელს უდრის. მათგან 8 გაუკაცრიელებულია. დანარჩენ 124 სოფელში 66 178 კაცი ცხოვრობს. 95 სოფელში მხოლოდ ქართველები ცხოვრობენ, 12 სოფელში — სომხები, 10-ში — აზერბაიჯანელები, 1 სოფელში — ოსები. დანარჩენ სოფლებში შერეული მოსახლეობა ცხოვრობს, კერძოდ, 2 სოფელში — სომხები და აზერბაიჯანელები, 2 სოფელში — ბერძნები და აზერბაიჯანელები, 1 სოფელში — ქართველები და აზერბაიჯანელები და კიდევ 1 სოფელში — ბერძნები და ქართველები.

**ქვეყნის უშიშროების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს საზღვრის დემარკაციას — მოსაზღვრე სახელმწიფოებთან საზღვრის დელიმიტაციის საფუძველზე საზღვრის დადგენას, კერძოდ, სასაზღვრო ხაზის გავლებას. ადგილებზე სპეციალური სასაზღვრო ნიშნების დაყენებით, ეს უნდა განახორციელოს მოსაზღვრე სახელმწიფოების შერეულმა კომისიამ, ხოლო დემარკაციის დოკუმენტები უნდა დაამტკიცონ მთავრობებმა.** საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საჭიროა საზღვრის რედემარკაცია — ადრე დამკვიდრებული სასაზღვრო ხაზის აღდგენა; სადავო საკითხების არსებობის შემთხვევაში, მისი მოწესრიგება, სასაზღვრო ნიშნების განახლება და სხვ. ეს იმ მხრივაც არის აუცილებელი, რომ ჯერ კიდევ კომუნისტების ბატონობის პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსახლეობა საცხოვრებლად საქართველოში გადმოდიოდა.

**ანზორ თოთაძე**
დემოგრაფი, პროფესორი

Тифлисская губернія, въ административномъ отношеніи, раздѣляется на 9 уѣздовъ и 1 округъ: Тифлисскій, Ахалкалакскій, Ахалцыхскій. Борчалинскій, Горійскій, Душетскій. Сигнахскій, Телавскій, Тіонетскій уѣзды и Закатальскій округъ.

**ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების სამხედრო პუტჩით დამხობის შემდეგ „დემოკრატიული“ საქართველო, ლამის 30 წელიწადია, „დამოუკიდებლობანას“ თამაშით ერთობა და ამ თამაშ-თამაშში დავკარგეთ ტერიტორიები, ქართველი ერი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა და, თუ ასე გაგრძელდა, ეროვნულ მენტალობას, დიდი ილიას ენით თუ ვიტყვით, ეროვნულ ვინაობასაც დავკარგავთ.**



ავი მუსაიფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სიმართლის თქმა რუსული ნარატივია?

**მკითხველ საზოგადოებას, ალბათ, კარგად მოეხსენება, რომ მწერლობა-პუბლიცისტიკაში არსებობს ე.წ. სუფთა ფურცლის წინაშე შიშის სინდრომი, განცდა, რომელიც მწერლობაზე ან პუბლიცისტობაზე მეტ-ნაკლები პრეტენზიის მქონეთა ხვედრია. არ ვიცი, მაქვს თუ არა თქვენს მონა-მორჩილს პუბლიცისტობაზე და მით უმეტეს მწერლობაზე პრეტენზიის უფლება, მაგრამ, რადგან ჩვენში ისეთებიც არსებობენ, რომელთა გამოქვეყნებულ სტატიებსაც, მათი გაზეთის გარდა, ვერსად იპოვით, მაგრამ მაინც პუბლიცისტობენ, გავკადნიერდები და პუბლიცისტობას დავიჩემებ...**

ნებისმიერ ფაქიზ თემაზე წერისას სუფთა ფურცლის პირველი სიტყვით „დასვრაა“ ძნელი, თორემ გაგრძელება უკვე მეტ-ნაკლებად იოლი საქმეა. წინამდებარე წერილზე მუშაობისას (ისე, როგორც არასდროს) სწორედ პირველი ასოების დაწერა გამიჭირდა.

ძნელია საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ბოლო პერიოდიდან უფრო ფაქიზი, მტკივნეული თემის გახსენება, ვიდრე დავითგარეჯაა, მაგრამ, სანამ უმთავრესს ვიტყოდე, მცირე ისტორიული ექსკურსს გავაკეთებ.

დავითგარეჯა საჯილდაო ქვად გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს იქცა, როდესაც ქართველმა საზოგადოებამ დავითგარეჯის უდაბნოში საბჭოთა კავშირის წითელი არმიის წვრთნების შეჩერება მოითხოვა იმ მოტივით, რომ საარტილერიო სროლების გრუხუნში ლავრის ფრესკები ზიანდებოდა.

ქართველი საზოგადოების ეს თხოვნა თუ მოთხოვნა დაშლის პირას მდგომმა წითელმა იმპერიამ, ბოლოს და ბოლოს, დააკმაყოფილა. სროლა შეწყდა და თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ე.წ. ეროვნული მოძრაობა სწორედ დავითგარეჯის გამო აგორებული მიტინგებით დაიწყო; მოძრაობით, რომელიც **ზვიად გამსახურდიას** ეროვნული ხელისუფლების გამარჯვებით დაგვირგვინდა.

საბოლოოდ რითაც დაგვირგვინდა ეს „დაგვირგვინება“, ყველამ ვიცით და ამიტომ მკითხველს თავს არ შევაწყენ და რეზიუმეს სახით დავძენ — **ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების სამხედრო პუტჩით დამხობის შემდეგ „დემოკრატიული“ საქართველო, ლამის 30 წელიწადია, „დამოუკიდებლობანას“ თამაშით ერთობა და ამ თამაშ-თამაშში დავკარგეთ ტერიტორიები, ქართველი ერი დემოგრაფიული კატასტროფის წინაშეა** (თუ უკვე ვართ ამ კატასტროფაში) **და, თუ ასე გაგრძელდება, ეროვნულ მენტალობას, დიდი ილიას ენით თუ ვიტყვით, ეროვნულ ვინაობასაც დავკარგავთ.**

თუ აქამდე ეროვნული ვინაობის დაკარგვაში, უწინარესად, საქართველოში ლგბტ-სექტის აღლუმის ჩატარების საფრთხეს ვგულისხმობდი, ახლა ამ თემას დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის დაკარგვის რეალური საფრთხეც დაემატა. მართლაც, აბა, რაღა ქართველები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ საიქიოს ჩვენს გმირ წინაპრებს, თუ მეორე იერუსალიმად წოდებულ დავითგარეჯის წმინდა ლავრას, სრულიად მართლმადიდებლური და კონკრეტულად ქართული სულიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას, დავკარგავთ 21-ე საუკუნეში?! დავითგარეჯას, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ალაჰის სახელით მრავალგზის აგვიოხრეს, მაგრამ წართმევით მაინც ვერ წაგვართვეს.

ქოც-ნაცების ფარჩაკი ხელისუფლების ხელში საფრთხე მართლაც რეალურია, რადგან აზერბაიჯანის არამეგობრული ქმედებების პასუხად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ორი ქვეყნის სტრატეგიულ კავშირზე, ქართველთა და აზერბაიჯანელთა საუკუნოვან ძმობა-მეგობრობაზე საუბრობს და დავითგარეჯის გარშემო დავის საქართველოსთვის სასარგებლოდ მოგვარების პირობას დებს. ასეთივე ტონალობაში საუბრობს ქართული ლიბერასტული მედია და, თუ ვინმე სიმართლის თქმას გაბედავს, კრემლის ნარატივის, საქართველოში პუტინის აგენტისა და, შესაბამისად, რუსეთის ინტერესების გამტარებლის იარლიყი განაღდებული აქვს.

სიმართლე კი მარტივია: მეგობრობა, კეთილმეზობლობა, ძმობა და ა.შ. ორმხრივი პროცესია და არა ის, რომ ამ კეთილშობილური ტერმინების კამუფლაჟით საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას ცდილობდნენ. დიახ, არ შემშლია, ოკუპაციას, რადგან ვერავითარ სხვაობას ვერ ვხედავ ყბადაღებულ რუსულ მავთულხლართებსა და აზერბაიჯანელი ჯარისკაცების მიერ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ბლოკირებას შორის.

„ობოლი ერი“ — სწორედ ეს ტერმინი გამოიყენა დიდმა მწერალმა და მოაზროვნე **ჭაბუა ამირეჯიბმა** ქართველი ერის მიმართ, როდესაც 9 აპრილს თბილისში საბჭოთა არმიის ტანკები იდგნენ და იქვე დასძინა: **„ჭკუით, ქართველებო!“**

ამქვეყნად მართლაც ყველა ერს ჰყავს მეტ-ნაკლებად მონათესავე ერი. მაგალითად, სლავებს — რუსები, ამერიკელებს — ანგლოსაქსები და ა.შ.

მხოლოდ ქართველ ერს არ ჰყავს სისხლისმიერი ნათესავი და, აქედან გამომდინარე, გულშემატკივარი, შემწე და მეტ-ნაკლებად ქომაგი ხალხი ამ ცის ქვეშეთში.

ასეთი უნიკალურობა იქნებ ჯანსაღი სიამაყის საფუძველიც არის, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ სუფრაზეა უხიფათო სიმღერა „რაც კარგები ვართ, ქართველები ვართ“...

გასულ 17 მაისს თქვენი მონა-მორჩილიც მივაბიჯებდი რუსთაველის პროსპექტზე ქართული ოჯახის სიწმინდის დაცვის აღსანიშნავ მსვლელობაში და დიდი ჭაბუას „ობოლი ერი“ ამეკვიატა... მავანს შეიძლება, ერთი შეხედვით, არაკორექტულად მოეჩვენოს ბოლო აბზაცი — სად ჭაბუას ფილოსოფიურ-ამაღლებული ნააზრევი „ობოლი ერი“ და სად 17 მაისი, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით — ქართველებს ქომაგი რომ გვყავდეს, მივიდოდით კი იმ აბსურდამდე, ვამტკიცებდეთ, ქალს ქალი უნდა ერქვას და კაცს — კაცი?

ანალოგიური განცდა დამეუფლა, როდესაც 1 ივნისს დავითგარეჯისკენ მიმავალ მრავალათასიან მსვლელობაში აღმოვჩნდი — რას ვიცავთ, რას ვამტკიცებთ, დავითგარეჯა რომ საქართველოა, ამას რა რუკები და საზღვრების დემარკაცია უნდა?! **შაჰ აბასის** ბრძანებით, 400 წლის წინათ დავითგარეჯაში აღდგომის ღამეს 6 ათას ბერ-მონაზონს თავი მოჰკვეთეს, ნაწილ-ნაწილ აკუწეს; იმ ღამეს დაღვრილი წმინდანთა „სისხლი ცას შესჩუხჩუხებს და მიწაზე სამართალს ითხოვს“ ჩვენგან და თუნდაც მხოლოდ ეს ფაქტი არ კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ დავითგარეჯა საქართველოა? ჩვენ რომ „ობოლი ერი“ არ ვიყოთ, ამ აბსურდის თეატრში აღმოვჩნდებოდით?




**მეგობრობა, კეთილმეზობლობა, ძმობა და ა.შ. ორმხრივი პროცესია და არა ის, რომ ამ კეთილშობილური ტერმინების კამუფლაჟით საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას ცდილობდნენ. დიახ, არ შემშლია, ოკუპაციას, რადგან ვერავითარ სხვაობას ვერ ვხედავ ყბადაღებულ რუსულ მავთულხლართებსა და აზერბაიჯანელი ჯარისკაცების მიერ დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის ბლოკირებას შორის**



**აზერბაიჯანელებთან კი არა, საერთოდ, მეგობრობა, კეთილმეზობლობა არავისგან გვესწავლება, მაგრამ რატომ არის ეს ყველაფერი, რომ იტყვიან, ცალ კარში თამაში? რატომ არის ფაქიზი თემა მხოლოდ ჩვენთვის, როდესაც ჩვენი სიფაქიზე სხვას ყველას, უკაცრავად და, ფეხებზე ჰკიდია? მხოლოდ დღეს ხდება ეს? დიდი ილიას «ქვათა ღაღადი» 100 წლის წინათ იმავეს არ ქადაგებდა?**

აზერბაიჯანელებთან კი არა, საერთოდ, მეგობრობა, კეთილმეზობლობა არავისგან გვესწავლება, მაგრამ რატომ არის ეს ყველაფერი, რომ იტყვიან, ცალ კარში თამაში? რატომ არის ფაქიზი თემა მხოლოდ ჩვენთვის, როდესაც ჩვენი სიფაქიზე სხვას ყველას, უკაცრავად და, ფეხებზე ჰკიდია? მხოლოდ დღეს ხდება ეს? დიდი ილიას „ქვათა ღაღადი“ 100 წლის წინათ იმავეს არ ქადაგებდა?

და რა, ხვალ იგივე არ გველის? ჩვენს „კეთილ მეზობლებს“ რომ დავუჯეროთ, ყველას ვალი ჩვენ გვაქვს და ხომ არ შევახსენოთ მათაც და ჩვენს დასავლელ „მეგობრებსაც“, რომ **დავითგარეჯა კი არა, საინგილო, იგივე ჰერეთი, გნებავთ ლორე და ტაშირი საქართველოს ძირძველი ტერიტორიებია?**

მაგრამ რა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სიმართლის თქმა რუსული ნარატივია და არა მხოლოდ ამ მიმართულებით...

ამას წინათ საქართველოს შს მინისტრმა **გიორგი გახარიამ** ლგბტ სექტის წარმომადგენლები გააფრთხილა: გეიაღლუმის ჩატარების შემთხვევაში უსაფრთხოების გარანტიებს ვერ მოგცემთო და ატყდა, მაგრამ რა ატყდა. სრულიად არასამთავრობო სექტორი ერთხმად აღნავლდა: გიორგი გახარიას ნათქვამიც რუსული ნარატივიაო. მისი არ მჯერა, მაგრამ, **თუ ასეა, გაუმარჯოს გიორგი გახარიასა და რუსულ ნარატივს!**

დასასრულ, ისევ „ობოლი ერი“ — რაც დიდმა ჭაბუამ ახლახან თქვა, ის 200 წლის წინათ იცოდა **მეფე ერეკლემ** და, რადგან ქართველი ერის სისხლისმიერი ნათესავი ვერსად იპოვა, სულიერ ნათესავს დაუწყო ძებნა და ერთმორწმუნე მართლმადიდებელი რუსეთის სახით იპოვა კიდეც.

არაერთხელ გვისაუბრია ერეკლეს შემდეგ რუს-ქართველთა ორსაუკუნოვანი ტკბილ-მწარე თანაცხოვრების შესახებ დიდი **ილიას, აკაკისა** და სხვა ქართველ მამულიშვილთა ციტატების თანხლებით და ამიტომ მათ სიტყვებს აღარ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ **რუსეთთან არათუ სტრატეგიული მოკავშირეობა, არამედ თუნდაც დიპლომატიური ურთიერთობა მაინც რომ გვქონოდა, დარწმუნებული ვარ, აზერბაიჯანი დავითგარეჯაში ვერაფერს გაგვიბედავდა და, თუ გაბედავდა, მაშინ ერთმორწმუნე რუსეთი დაგვეხმარებოდა ქრისტიანული სიწმინდის გამოხსნის საქმეში.**

ნათქვამია, ოცნებას კაცი არ მოუკლავსო, მაგრამ ამ საქმეში „ქართული ოცნების“ იმდენად ჩვენი მტერი იყოს, რადგან მათთვის, ქართველი საზოგადოებისგან განსხვავებით, როგორც ჩანს, წითელი ხაზები არ არსებობს. დიახ, ქართველი საზოგადოებისგან განსხვავებით, რომელიც 1 ივნისს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ თაოსნობით დავითგარეჯისკენ დაიძრა მრავალათასიანი მსვლელობითა და დევიზით „აზერბაიჯანი ჩემი მეზობელია, მაგრამ დავითგარეჯა საქართველოა!“.

**დავით მხეიძე**

ექსპლუატაცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შვედ მეცნიერს, ეკოლოგ როლფ ედბერგს კონკრეტული ციფრები მოჰყავს. მისი თქმით, ამერიკელი, შვედი ან, მაგალითად, შვეიცარიელი მოიხმარს დედამიწის 40-ჯერ მეტ რესურსს, ვიდრე სომალელი; ჭამს 75-ჯერ მეტ ხორცს, ვიდრე ინდოელი და ხარჯავს 150-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე ნიგერიელი. ამ სტატისტიკას შეიძლება დავუმატოთ ასეთი მონაცემიც: ინგლისში 1 კატა საშუალოდ 2-ჯერ მეტ ცილებს მოიხმარს, ვიდრე აფრიკის რიგითი მცხოვრები.**

# ვის ხარჯზე ყვავის დასავლური სამყარო?

## დასავლეთის კეთილდღეობის საიდუმლო

**ენერგიის მუდმივობის ლომონოსოვ-ლავუაზიეს კანონიდან ცნობილია, რომ ფიზიკურ სამყაროში არაფერი იკარგება და არსად ქრება. შესაბამისად, თუ ბრიტანელები ან, ვთქვათ, ამერიკელები სხვებზე უკეთესად ცხოვრობენ, ამ ცხოვრების საფასურს ვიღაც აუცილებლად იხდის. თუ აშშ ყოველწლიურად მოიხმარს მსოფლიოში გამოყენებული მინერალური ნედლეულის 25%-ს, ურანისა და ალუმინის დაახლოებით 50%-ს, მსოფლიოში მოპოვებული ნავთობის, აგრეთვე, სპილენძისა და რკინის მეოთხედს, სანაცვლოდ კი შესაბამისად არ გასცემს და ამ ეკვივალენტისას არ აწარმოებს, რესურსები მიედინება მხოლოდ ერთი მიმართულებით, დაბეჭდილი დოლარის ქაღალდი — მეორე მიმართულებით.**

კაპიტალიზმის თეორიის მიხედვით, დიდი ხანია, ცნობილია, რომ ასეთ სისტემაში ეკონომიკური განვითარების შედეგი ყოველთვის ერთია — თუ ერთ პოლუსზე ხდება სიმდიდრის დაგროვება, მაშინ მეორე პოლუსზე ჩნდება სიღარიბე და სიდუხჭირე.

თუ ათწლეულების განმავლობაში აშშ-ში შედის იმაზე მეტი საქონელი, რამდენიც გადის საექსპორტოდ, ამ სხვაობას ვიღაც ფარავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქვეყნები ყოველწლიურად ღარიბდებიან იმ რაოდენობის თანხით, რამდენითაც ამერიკელები მდიდრდებიან.

მაგალითად, ამერიკა მოიხმარს მსოფლიოში მოხმარებული ნავთობის 20-25%-ს, ამასთანავე, მსოფლიოში მთავარი მწარმოებელი ის კი არ არის, არამედ ჩინეთი. სახელდობრ, ჩინეთს სჭირდება ენერგია რეალური წარმოების ბაზრისთვის, მაგრამ მოიხმარს ნავთობპროდუქტების მხოლოდ 13%-ს, ამერიკელები კი — 25%-ს. ამასთანავე, აშშ-ის მოსახლეობა, რომელიც წვავს ამ კოლოსალური რაოდენობის ნავთობპროდუქტებს, პლანეტის მოსახლეობის მხოლოდ 4,3%-ს შეადგენს.

The Los Angeles Times-ში 2012 წელს გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, აშშ-ში ყოველწლიურად ნაგავში იყრება ნაყიდი საკვების თითქმის ნახევარი, ანუ ამერიკელები ნაგავში ყრიან 165 მლრდ დოლარის სურსათ-სანოვაგეს. საერთოდ კი, მოხმარებასა და შექმნას შორის შეუსაბამობა გამოიხატება იმაშიც, რომ ამერიკელი საშუალოდ 4-ჯერ მეტ, ასე ვთქვათ, კეთილდღეობას მოიხმარს, ვიდრე საშუალოდ პლანეტის ერთი მცხოვრები, 5-ჯერ მეტს ლათინური ამერიკის მცხოვრებზე, 10-ჯერ მეტს ჩინელზე და 30-ჯერ მეტს ინდოელზე, ამასთანავე, ყრის 2-ჯერ მეტ ნაგავს და სვამს 3-ჯერ მეტ წყალს.

შვედ მეცნიერს, ეკოლოგ როლფ ედბერგს კიდევ უფრო კონკრეტული ციფრები მოჰყავს. მისი თქმით, ამერიკელი, შვედი ან, მაგალითად, შვეიცარიელი მოიხმარს დედამიწის 40-ჯერ მეტ რესურსს, ვიდრე სომალელი; ჭამს 75-ჯერ მეტ ხორცს, ვიდრე ინდოელი და ხარჯავს 150-ჯერ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე ნიგერიელი. ამ სტატისტიკას შეიძლება დავუმატოთ ასეთი მონაცემიც: ინგლისში 1 კატა საშუალოდ 2-ჯერ მეტ ცილებს მოიხმარს, ვიდრე აფრიკის რიგითი მცხოვრები.

ამერიკელებს ძალიან უყვართ, ასწავლონ სხვებს, რომ დასავლეთის კეთილდღეობა დასავლელების შრომისა და „უნიკალური“ წყობის დამსახურებული შედეგია, მაგრამ სიმართლე არის ის, რომ ევროკავშირსა და აშშ-ს კაპიტალიზმის ამ ჩარჩოებში ცხოვრება შეუძლია იქამდე, სანამ სხვებზე პარაზიტობენ.

ევროპა და ამერიკა, რომელთა მოსახლეობა დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 20 პროცენტია, დედამიწაზე წარმოებული პროდუქციის 60%-ს მოიხმარენ, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ „მსოფლიოს საზოგადოებრიობა“ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ცდილობს, რუსეთის წიაღისეული სიმდიდრეები „საერთო“ საკუთრებად გამოაცხადოს.

თუკი ყველა ასე იცხოვრებს, მაშინ ვისღა უნდა გაუწიონ ექსპლუატაცია? ამიტომ ამ შემთხვევაში უპრიანი იქნება, დაისვას კითხვა — რამდენი პლანეტა დედამიწაა საჭირო იმისთვის, რომ ყველამ ამერიკელებივით იცხოვროს? პასუხი ამ კითხვაზე, დიდი ხანია, არსებობს — 4,1.

ანალიტიკურ ცენტრ Global Footprint Network-ის მიერ ჩატარებული ე.წ. ეკოლოგიური ანაბეჭდის კვლევის (ამ კვლევაში გამოითვლება რამდენი ბუნებრივი რესურსი, იხარჯება ენერგიის გამოსამუშავებლად, კვების პროდუქტებისა და სხვადასხვა საქონლის საწარმოებლად საშუალოდ ერთ ადამიანზე და ერთ ქვეყანაში) მიხედვით, გაირკვა, რომ, თუ 7 მლრდ ადამიანი მოიხმარდა იმდენს, რამდენსაც მოიხმარენ ამჟამად ამერიკელები, კაცობრიობას 4 პლანეტაზე მეტი დასჭირდებოდა.

ეს ნათლად აჩვენებს, რომ დასავლური ცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ სხვების ექსპლუატაციით, თუმცა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ ტერმინზე კარგა ხანს იცინოდნენ, როგორც „წითელი“ პროპაგანდის გადმონაშთზე.

ფასეულობები და „უნიკალური“ წყობილება კი არ არის დასავლეთის აყვავების მიზეზი, არამედ შულერობა, რომელიც შენიღბულია ეკონომიკური სასწაულის „რეცეპტით“. ევროპა, რომელსაც არ აქვს თავისი რესურსები, მათ საჭირო რაოდენობით და დაბალ ფასებში იღებს იქამდე, სანამ მისი კორპორაციები წყნარად და შეუმჩნევლად ამყოფებენ აფრიკას სილატაკეში.

ამ კონტინენტის რესურსები მინავლებული კონფლიქტების, რევოლუციებისა და ანარქიული წყობილების მხარდაჭერით გროშებად გაედინება ევროპაში. ანალოგიურად იქცევა ამერიკის შეერთებული შტატებიც, რომელიც ბევრი ტექნოლოგიის შემქმნელია. მას ჯერჯერობით აქვს ექსკლუზიური უფლება არაუზრუნველყოფილი საშუალებების ემისიისა, ამით 1970-იანი წლებიდან ფლობს ტვინების, ტალანტებისა და მოწინავე ტექნოლოგიების შესყიდვის კოლოსალურ ფინანსურ შესაძლებლობებს.




**The Los Angeles Times-ში 2012 წელს გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, აშშ-ში ყოველწლიურად ნაგავში იყრება ნაყიდი საკვების თითქმის ნახევარი, ანუ ამერიკელები ნაგავში ყრიან 165 მლრდ დოლარის სურსათ-სანოვაგეს. საერთოდ კი, მოხმარებასა და შექმნას შორის შეუსაბამობა გამოიხატება იმაშიც, რომ ამერიკელი საშუალოდ 4-ჯერ მეტ, ასე ვთქვათ, კეთილდღეობას მოიხმარს, ვიდრე საშუალოდ პლანეტის ერთი მცხოვრები, 5-ჯერ მეტს ლათინური ამერიკის მცხოვრებზე, 10-ჯერ მეტს ჩინელზე და 30-ჯერ მეტს ინდოელზე, ამასთანავე, ყრის 2-ჯერ მეტ ნაგავს და სვამს 3-ჯერ მეტ წყალს**

თუ განვიხილავთ დასავლეთის ქვეყნებს, რომლებიც დღეს მშპ-ს მიხედვით მსოფლიოს ლიდერთა შორის არიან, დავინახავთ შემდეგ სურათს — ამ სახელმწიფოებში წარმოების წილი გაცილებით ნაკლებია მოხმარების მასშტაბებზე. აშშ-ში, ექსპერტთა შეფასებით, ეს სხვაობა მერყეობს 20-დან 40-ის ფარგლებში, ანუ მსოფლიოს წარმოებაში (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით) აშშ-ის 20%-იანი წილით ამ ქვეყანაში მოხმარება მსოფლიოს მასშტაბით 40%-ს აღწევს.

კაპიტალიზმმა იმისთვის, რომ განვითარდეს ან ცხოვრების ამჟამინდელი დონე მაინც შეინარჩუნოს, ყოველთვის უნდა ამოიგოს, აინაზღაუროს დანახარჯი. ამ მხრივ კაპიტალისტური ქვეყანა არაფრით განსხვავდება ასეთივე კერძო კორპორაციისგან. კაპიტალისტურ სამყაროში წამყვანი კომპანიების მხრიდან დანახარჯების ანაზღაურება დაყვანილია ბაზრების მიტაცებაზე, კონკურენტების დაჩაგვრაზე, წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნის მიერ სხვა ქვეყნების სახელმწიფო აპარატების ხელში ჩაგდებაზე (პირდაპირ



თუ ირიბად), ეკონომიკების შთანთქმასა და ამ ქვეყნების განვითარების შეფერხებაზე. **სანამ ეს პროცესი შესაძლებელია, კაპიტალიზმი ვითარდება, ხოლო, როცა გასაძარცვი აღარავინ არის, კონკურენტები კი ძლიერდებიან, დასავლეთს ეწყება კლასიკური პრობლემები. ამ პრობლემების პიკის მომენტში ატომურ ეპოქამდე, ჩვეულებრივ, იწყებოდა მსოფლიო ომები, კონკურენტული ბაზრები განულდებოდა ხოლმე, ადრე დახურული ეკონომიკები კი კვლავ ილებოდა კერძო კაპიტალისთვის, XX საუკუნის შუა წლებიდან ვითარება შეიცვალა, მაგრამ კაპიტალიზმს სსრკ-ის დაშლა დაეხმარა.**

საბჭოთა კავშირის დაშლიდან 10 წლის განმავლობაში ამერიკელთა კეთილდღეობა განუხრელად იზრდებოდა, ამასთანავე, იზრდებოდა ისეთივე სისწრაფით, როგორითაც მიმდინარეობდა ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ძარცვა და მათი ბაზრების მიტაცება. **ბილ კლინტონის** პოსტიდან წასვლის მომენტში ყოფილ სოციალისტურ ბლოკზე პარაზიტობამ საბოლოოდ ამოწურა თავი, ტემპები შემცირდა, ხოლო ამერიკელთა კეთილდღეობის დონის გრაფიკი გასაოცრად დაემთხვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ძარცვის ტემპის დაცემას. 2000-იანი წლების დასაწყისიდან შემთხვევით არ გავრცელებულა თვალსაზრისი, რომ მილენიუმიდან მოყოლებული ამერიკელთა ყოველი ახალი თაობა მშობლებზე უფრო ცუდად იცხოვრებდა.

ამა თუ იმ რეგიონის ხელოვნურად „გადატვირთვითა და ბაზრების განულებით“ დასავლეთი ახანგრძლივებდა ჩვეული ცხოვრების დადებით დინამიკას, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა წინ აღუდგა ასეთ პოლიტიკას აზიასა და აფრიკაში, ხოლო რუსეთი — ახლო აღმოსავლეთში, შუა აზიაში, ცენტრალურ ამერიკასა და ზოგიერთ აფრიკულ ქვეყანაში, პარაზიტობა სულ უფრო რთული ხდებოდა და „განვითარებული ეკონომიკების“ დანახარჯების ამოგება, მიუხედავად ლაპარაკისა შეძლებულად ცხოვრებაზე, შემცირდა.

ადრე ომებით, რევოლუციებით, გადატრიალებებითა და ეკონომიკების ინფიცირებით ფინანსური ვირუსებით (საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და ა.შ. მეშვეობით) ხდებოდა კაპიტალის გადაქაჩვა დასავლეთის ქვეყნების დედაქალაქების ხაზინებში. ვიდრე დასავლეთი დემოკრატიას ამყარებდა ე.წ. მესამე სამყაროს ქვეყნებში, თავისი პრობლემები არაფრად უღირდა. **ლიბიისა და ერაყის, ჰაიტისა და ავღანეთის, სომალის, იემენისა და ა.შ. ხარჯზე ხდებოდა ნატოს არმიის შენახვა და დასავლური ცხოვრებაც სათანადო დონეზე იყო მხარდაჭერილი, მაგრამ, როგორც კი დაიწყო შეფერხება მოგებაში, ბევრი რამის საფასურის გადახდა თვითონ მოუწიათ. აი აქ გაირკვა, რამდენად არ შეესაბამებოდა დასავლეთის შესაძლებლობები მის მადას.**

მნიშვნელობა არ აქვს, რით არის მხარდაჭერილი დასავლეთის მიერ ამა თუ იმ ქვეყნის ექსპლუატაცია — ომის მუქარით, როგორც გერმანიისა და იაპონიის შემთხვევაში, თუ კრედიტებით დახრჩობით, როგორც უკრაინისა და საბერძნეთის შემთხვევაში. მთავარია, რომ ამჟამინდელ კაპიტალისტურ პარადიგმაში დასავლეთის კეთილდღეობის დონის შენარჩუნება სხვების გამუდმებული ძარცვის გარეშე შეუძლებელია.

**საინფორმაციო სააგენტო „რეგნუმის“ ვებგვერდზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**ანალოგიურად მოქმედებს თეთრი სახლიც: მიზანმიმართულად ანგრევს საერთაშორისო შეთანხმებებს ირანისა და მისი ბირთვული პროგრამის შესახებ; შეგნებულად ცდილობს, მოაწყოს პროვოკაცია სპარსეთის ყურეში — და ამ ყველაფერს მაღალი მოტივებითა და იდეალებით ნიღბავს, თუმცა უკვე არასპეციალისტებისთვისაც კი ნათელია, რომ ვაშინგტონის ჭეშმარიტი მიზნები არის სარგებელი, რომელიც ამერიკის ეკონომიკამ უნდა მიიღოს.**

ელიტების ბრძოლა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რატომ ამარცხებს ტრამპი თავის მოწინააღმდეგეებს აშშ-ში

**აშშ-ის ადმინისტრაციამ სახელმწიფო მდივან მაიკ პომპეოს სახით ისარგებლა საგანგებო უფლებით და არად ჩააგდო ამერიკის კონგრესის აზრი იორდანიისთვის, გაერთიანებული არაბული საამიროებისა და საუდის არაბეთისთვის 8,1 მლრდ დოლარის ღირებულების იარაღის მიყიდვის შესახებ. იარაღი გაიყიდება „ირანის აგრესიის შესაკავებლად და პარტნიორების თავდაცვის პოტენციალის გასაზრდელად“.**



როგორც წესი, იარაღის შესახებ გარიგება აშშ-ის კონგრესში უნდა შეთანხმდეს, მაგრამ კანონი აძლევს საშუალებას თეთრ სახლს, გვერდი აუაროს ამ მოთხოვნას. **დონალდ ტრამპს** ამ შემთხვევაში სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, რადგან კონგრესთან შეთანხმების შანსი ნულის ტოლია.

**ტრამპის მოწინააღმდეგეების რეაქცია ჩვეულებრივი იყო. პრეზიდენტი დაადანაშაულეს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების არასწორად განსაზღვრაში, უუნარობაში — დაიცვას ადამიანის უფლებები და „ავტორიტარული ქვეყნების დახმარებაში“. საერთო ჯამში, ეს სარის სტანდარტული პრაქტიკა მორალიზატორული რიტორიკის გამოყენებით სრულიად პრაგმატული მიზნების დასაფარავად.**

ანალოგიურად მოქმედებს თეთრი სახლიც: მიზანმიმართულად ანგრევს საერთაშორისო შეთანხმებებს ირანისა და მისი ბირთვული პროგრამის შესახებ; შეგნებულად ცდილობს, მოაწყოს პროვოკაცია სპარსეთის ყურეში და ამ ყველაფერს მაღალი მოტივებითა და იდეალებით ნიღბავს, თუმცა უკვე არასპეციალისტებისთვისაც კი ნათელია, რომ ვაშინგტონის ჭეშმარიტი მიზნები არის სარგებელი, რომელიც ამერიკის ეკონომიკამ უნდა მიიღოს.

საერთოდ კი, **ეს არის ამერიკული ფარისევლობა: მორალურ-ეთიკური და იდეოლოგიური არგუმენტების გამოყენება პრინციპისთვის: „ეს — მე, ესეც — მე, ეს — კვლავ მე“.**

თითქოს ახალი არაფერია.

მაგრამ ეს — ერთი შეხედვით.

საქმე ის არის, რომ თეთრი სახლისა და საშინაო არენაზე მისი პოლიტიკური ოპონენტების პოზიციებს შორის არის პრინციპული სხვაობა. შეგიძლიათ, რამდენჯერაც მოისურვებთ და აბსოლუტურად სამართლიანადაც, დაგმოთ ამერიკის პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია, მაგრამ თვალს ვერ დახუჭავთ იმაზე, რომ ისინი მოქმედებენ ამერიკის პოლიტიკის ტრადიციულ ჩარჩოებში და მათი პრიორიტეტი არის აშშ-ის ინტერესები და სარგებელი. **ტრამპი მზად არის, გამოიყენოს (ამას აკეთებს კიდეც) ნებისმიერი შესაძლებლობა, თუ ის სარგებელს მოუტანს ამერიკის შეერთებულ შტატებს. საკითხი — რით დასრულდება შეხლა-შემოხლა ირანის გარშემო და შეძლებს თუ არა ვაშინგტონი თავისი მიზნის მიღწევას — ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ახლოაღმოსავლური 8,1 მლრდ ნებისმიერ შემთხვევაში ზედმეტი არ იქნება ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისა და ნაციონალური ეკონომიკისთვის.**

ტრამპის მოწინააღმდეგეები კი ხელმძღვანელობენ იმ წუთიერი შიდაპოლიტიკური მოტივებით თვით საგარეო პოლიტიკურ საკითხებშიც კი. აშშ-სა და საუდის არაბეთს შორის მჭიდრო პარტნიორობა-მოკავშირეობის მრავალი ათეული წლის განმავლობაში კონგრესი არასოდეს შეშფოთებულა იმის გამო, რომ ეს სამეფო ძალიან შორს არის დასავლური დემოკრატიის სტანდარტებისგან.

ცხადია, რომ საუდის არაბეთის სახელმწიფო-პოლიტიკურ სისტემაში „არასწორი“ ხასიათის მოულოდნელი აღმოჩენით ამერიკელი პოლიტიკოსები ურტყამენ არა ერ-რიადს, არამედ არასასურველ პრეზიდენტს, რომელიც წარმატებით „ქაჩავს“ უამრავ ფულს „ავტორიტარული რეჟიმიდან“.

**აშშ-სა და საუდის არაბეთს შორის მჭიდრო პარტნიორობა-მოკავშირეობის მრავალი ათეული წლის განმავლობაში კონგრესი არასოდეს შეშფოთებულა, იმის გამო, რომ ეს სამეფო ძალიან შორს არის დასავლური დემოკრატიის სტანდარტებისგან. ცხადია, რომ საუდის არაბეთის სახელმწიფო-პოლიტიკურ სისტემაში „არასწორი“ ხასიათის მოულოდნელი აღმოჩენით ამერიკელი პოლიტიკოსები ურტყამენ არა ერ-რიადს, არამედ არასასურველ პრეზიდენტს, რომელიც წარმატებით „ქაჩავს“ უამრავ ფულს „ავტორიტარული რეჟიმიდან“. ამრიგად, ტრამპისთვის კვანტის დადების გამო ამერიკელი კანონმდებლები მიზანმიმართულად აზარალებენ ამერიკის ეკონომიკას, რომელსაც სახარბიელო პერიოდი არ უდგას**



ტრამპი იარაღს ყიდის კონგრესის გვერდის ავლით

ამრიგად, **ტრამპისთვის კვანტის დადების გამო ამერიკელი კანონმდებლები მიზანმიმართულად აზარალებენ ამერიკის ეკონომიკას, რომელსაც სახარბიელო პერიოდი არ უდგას.**

აშშ-ის პოლიტიკური სისტემის თავისებურებებს შორის რეგულარულად აღნიშნავენ იმას, რომ ამერიკელი ამომრჩევლები პრაგმატულად მოქმედებენ, როცა ხმას აძლევენ იმ პოლიტიკოსებს, რომელთა იმედიც აქვთ, რომ ისინი გააუმჯობესებენ მათ ცხოვრებას. **აქედან გამომდინარეობს ტრამპის საკმაოდ მაღალი რეიტინგი (მაისის დასაწყისში მიაღწია ისტორიულ მაქსიმუმს — 46 პროცენტს), რომელიც მისი მხრიდან ამერიკის ეკონომიკის მხარდაჭერის შედეგია.**

ამ ვითარებაში მოქმედი პრეზიდენტის ოპონენტების მხრიდან არაშორსმჭვრეტელური იქნება იმის იმედად ყოფნა, რომ ბევრ ამერიკელს არ ეცოდინება, რამდენია ორჯერ ორი და ვერ დაინახავს კონგრესის ინიციატივებს — ფორმალურად საუდის არაბეთის საწინააღმდეგოს, რეალურად კი — ანტიტრამპულს; ნაბიჯებს, რომლებიც აზარალებს ამერიკის ეკონომიკას და, საბოლოო ჯამში, მათ.

იმის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტის არჩევნებამდე წელიწად-ნახევარია დარჩენილი, ტრამპის მოწინააღმდეგეების ამგვარი მოქმედებები კი არ ვნებს, არამედ ხელს უწყობს მოქმედ პრეზიდენტს, მიაღწიოს სასურველ მიზანს, რომელსაც „მეორე ვადით პრეზიდენტობა“ ჰქვია.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით**

# ლეხ ვალენსა: ევროკავშირი უნდა დაიშალოს

**„გაცილებით მარტივია ევროკავშირის ლიკვიდაცია და ხელახლა შექმნა, ვიდრე მისი განვითარება ამჟამინდელი სახით, “ — მიაჩნია პოლონეთის ყოფილ პრეზიდენტ ლეხ ვალენსას. მისი აზრით, ევროკავშირს ხელს უშლის მასში შემავალი სახელმწიფოების განვითარების განსხვავებული გზები.**



„ევროკავშირი შეიქმნა სრულიად განსხვავებულ პირობებში, ვიდრე დღეს არის. მე კარგა ხნის წინათ ვაფრთხილებდი გერმანიასა და საფრანგეთს, რომ ვერ შეძლებდნენ ამ კავშირის გადარჩენას, თუ წევრი სახელმწიფოები ასე შორს წავიდოდნენ სხვადასხვა მიმართულებით“, — განაცხადა ვალენსამ შვედური გამოცემა Aftonblad-ისთვის მიცემულ ინტერვიუში. მისი აზრით, „ამჟამინდელ სიტუაციაში გაცილებით მარტივია ახლანდელი სახით ევროკავშირის ლიკვიდაცია და ყველაფრის ხელახლა დაწყება“.

იმ ვარიანტის მიხედვით, რომელსაც ვალენსა სთავაზობს ევროკავშირის ქვეყნებს, „ევროკავშირის ყველა სახელმწიფომ ხელახლა უნდა გააკეთოს განაცხადი თანამეგობრობის წევრობის შესახებ“. შემდეგ უნდა შედგეს 10 ვალდებულების სია, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს თითოეულმა სახელმწიფომ, აგრეთვე, ჩამოთვლილი უნდა იყოს 10 უფლება, რომლებიც მათთვის გარანტირებული იქნება“. ევროპარლამენტის არჩევნებზე საუბრისას ვალენსამ აღიარა, რომ ვერ ხედავდა ღირსეულ კანდიდატს, ამიტომ ხმა მისცა „ყველაზე ნაკლებად მავნე ვარიანტს“.

**იმ ვარიანტის მიხედვით, რომელსაც ვალენსა სთავაზობს ევროკავშირის ქვეყნებს, «ევროკავშირის ყველა სახელმწიფომ ხელახლა უნდა გააკეთოს განაცხადი თანამეგობრობის წევრობის შესახებ». შემდეგ უნდა შედგეს 10 ვალდებულების სია, რომელსაც ხელი უნდა მოაწეროს თითოეულმა სახელმწიფომ, აგრეთვე, ჩამოთვლილი უნდა იყოს 10 უფლება, რომლებიც მათთვის გარანტირებული იქნება»**

გვერდი მოამზადა ნიკა კორინთელმა

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ვერც კი მოვასწარი ქუდის მოხდა და საკიდზე მოთავსება, რომ დერეფნის სიღრმეში სტალინი მოვლანდე: თმაშევერცხლილი, ნაცრისფერ კიტელში გამოწყობილი ჩვენკენ მოემართებოდა. ტუჩ-ღაწვზე ღიმილი გადაფენოდა: შუა გზაზე ერთი წამით შედგა და უცნაური, მოალერსე და იმავე დროს გამჭოლი მზერა შემოგვტყორცნა, რომელმაც ჩემზე ელექტრონისებრ იმოქმედა და ტანში ჟრუანტელმა დამიარა. შორიდანვე თითოეულს ცალკ-ცალკე შეგვავლო თვალი, ძველ მეგობართა დანახვაზე, მაინც სხვაგვარი ალერსით გაუნათდა სახე. რომ მოგვიახლოვდა, თითოეულს ხელი ჩამოგვართვა და მისალმებისას სახელებით მოგვმართა“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №19, 2019 წ.

# გავიცნოთ და ვისწავლოთ სტალინი

## სტალინი — ქართველი მასპინძელი

**წინა წერილიში მკითხველს დავპირდი, მისთვის წარმედგინა დიდი ქართველი მსახიობის, აკაკი ვასაძის, თვალით დანახული სტალინი, მაგრამ მასალაზე მუშაობისას გამიჩნდა სურვილი, კიდევ ერთი ქართველის თვალით დანახული სტალინის პორტრეტი ეხილა მკითხველს განსასჯელად და შესადარებლად, რომელი ქართველის თვალია მიუკერძოებელი და რომლის — დასაბრმავებელი.**

„ჯერ მწარე ნახე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“, — დავუჯეროთ ჩვენს გენიოს პოეტ **დავით გურამიშვილს** და მწარეთი დავიწყოთ.

1933 წელს გერმანიაში მიყოლებით გამოვიდა **გრიგოლ რობაქიძის** სამი წიგნი: „ადოლფ ჰიტლერი უცხოელი მწერლის თვალით“, „მზით გაცისკროვნებული მუსოლინი“ და „ჩაკლული სული“. თუ პირველ ორ წიგნში ფაშიზმის მოციქულები — **ადოლფ ჰიტლერი** და **ბენიტო მუსოლინი** განდიდებული, გაღმერთებული და ცამდე არიან აყვანილნი, მესამე წიგნში ძალზე უარყოფითად და ზიზღით არის დახასიათებული **იოსებ სტალინი.** ნიშანდობლივია, რომ პირველი ორი წიგნი, **ადოლფ ჰიტლერის** განკარგულებით, იმჟამინდელი გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური (ნაცისტური) პარტიის ყველა წევრისთვის სავალდებულო, ე.წ. სამაგიდო წიგნად გამოაცხადეს, ხოლო სსრკ-ში, გასაგები მიზეზების გამო, დიდი ხნის განმავლობაში ტაბუ ჰქონდა დადებული „ჩაკლულ სულს“.

დიდი ქართველი მწერლის, **გრიგოლ რობაქიძის** (კარგად არც კი ვიცი, რატომ არის დიდი), ჩემთვის და, ალბათ, ბევრისთვისაც გაუგებარ რომან „ჩაკლულ სულში“ ერთი თავი ეძღვნება „სტალინის ჰოროსკოპს“. მას ამ „ბრძნულ“ ნაშრომში გამოყენებული აქვს ფრაზა:

„პრეისტორიული ხვლიკის გაქვავებული თავი“.

სტალინი — პრეისტორიული ხვლიკი, წარმოუდგენელი შედარებაა. სტალინის თანამედროვენი ყოველთვის აღნიშნავდნენ სტალინის სიდინჯეს, სამუშაო კაბინეტში მოზომილი ნაბიჯებით სიარულს, ხოლო საუბარი სტალინის, როგორც ხვლიკის, გაქვავებულ თავზე შიშის მომგვრელია. ნუთუ ასეთი უტიფარი შეფასებებითა და ეპითეტებით გამოცემულ წიგნებს უნდა ეცნობოდეს მკითხველი, განსაკუთრებით — ახალგაზრდობა? მწერალი განაგრძობს: **„იგი კითხულობს, უსმენს, დაძაბულად ფიქრობს, მტკიცედ, აუჩქარებლად** (წინა წინადადებაში იგი ხვლიკადაა წარმოდგენილი — გრ. ონიანი) **გასცემს განკარგულებებს, ხლართავს ინტრიგების ქსელს, აღამაღლებს თავის ერთგულ პირებს, თელავს ორგულებს. ყიდულობს, ყიდის ადამიანებს და მათ სულებს“.** აი, „დიდი“ ქართველის უჭკნობი ნიჭი და უცხოეთში „ჩაკლული სული“.

„სტალინის ჰოროკოპის“ ერთ-ერთ ფრაგმეტში რობაქიძე ასე აღწერს სტალინს: **„სისასტიკით აღსავსე სტალინი ძლევამოსილად აღმართულიყო, როგორც საბჭოეთის, ისე თითქმის მთელი მსოფლიოს ცივ და ბრმა ბედისწერად, მაგრამ, როდესაც გასაჭირი დაატყდებოდა თავს და შეშინებული გრძნობდა, როგორ ეცლებოდა ღონე, მაშინღა სტალინი მხოლოდ სოსო ჯუღაშვილი იყო, უბრალო ქართველი. მაშინ ახსენდებოდა შორეული საქართველო, რომლისგანაც ესღა შემოენახა — საცივისა და კახური ღვინის გემო, მრავალჟამიერის ჰანგი და ქართული გინება: „მაგათი დედა კი ვატირე“.**

ახლა კი „უცხოელი მწერლის თვალით“ დანახული მსოფლიოს ნომერი პირველი დამნაშავის ადოლფ ჰიტლერის შესახებ ფრაგმენტი უნდა წარმოგიდგინოთ: **„ყოველ ცალკეულ ადამიანში, იქნება იგი ამჟამად ცოცხალი, დიდი ხნის გარდაცვლილი თუ სულაც მყოფადში მომსვლელი, არის რაღაც წინასწარ მოცემული, რაიც მასში მორჩის სახით არის ჩაკირული და მარადჟამს ცოცხლობს. ეს რაღაც — ცოცხალი არსების რომელიღაც სახეობა (ჩემი აზრით, მხეცის, მტაცებლის — გრ. ონიანი) გაუხლეჩავი და ერთიანი, ენის მედიუმში მსოფლსახის ჭეშმარიტ ძალად გვევლინება. ხალხი თუ რამემ შეძრა, იქნება ეს დამარცხების ტკივილი თუ რაიმე აღმაფრთოვანებელი ექსტაზი, მაშინ თითოეულმა ადამიანმა თუნდაც ერთი წამის განმავლობაში, საკუთარ თავში ლამის პირველად უნდა შეიგრძნოს ის რაღაც, როგორც თავისი საკუთარი თაურუჯრედი. ფესვების ამგვარი შეგრძნება ზოგჯერ ისე შორს მიდის, რომ ვინმე კურთხეული პიროვნება საკუთარ თავს ხალხის იდენტურად აღიქვამს: მაშინ იგი თავგანწირვისთვის შინაგანი მზაობის წყალობით აღმოჩნდება ჩაზრდილი და შესაბამისად, ხალხიც მასში ხორცშესხმულ ხატს დაინახავს. ჰიტლერის ფენომენი აქ ძევს და სხვაგან არსად“...**

**ჭაბუა ამირეჯიბის** შესანიშნავ რომან „დათა თუთაშხიას“ ერთ-ერთ პერსონაჟ ნიკანდრო ქილიასი არ იყოს: „დედა, რა იყო ეს, ჰა?!“

„— ნიკანდრო ბატონო, ჯერ ნურაფერი გაგიკვირდება, სათქმელს ეხლა მოგახსენებთ: იგი შორეული სიღრმეებიდანაა ხესავით ამოზრდილი, დედამიწის ცეცხლით გავარვარებული, ნაყოფიერ სინათლის სხივად გარდაქნილი.

— ვერაფერი გავიგე, მუშნი ბატონო.

— ვერც მე გავიგე, მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას, ნიკანდრო ბატონო!“

**„იდუმალებითაა მოცული ის რაღაც, რომელიც ნებისმიერი ხალხის ხატის სახით ვლინდება. ესაა პირველმდგენი, სიცოცხლის მქნელი: ოღონდ არა მოდგმისა და ჯიშის შექმნის გაგებით. იგი ჩვენგანი არ არის, მაგრამ მაინც ყოველ ჩვენგანში ცოცხლობს, იგი ზებიოლოგიური ბუნებისაა და შინაგანი სულიერ-ხორციელი არსებობის შუაგულიდან მომდინარეობს. ეს ზესთა პიროვნული ინდივიდუალობაა, მაგრამ მითურ ადამიანს იგი კონკრეტული პიროვნების სახით შეიძლება გამოეცხადოს. ეს ადოლფ ჰიტლერია“.** რობაქიძის ეს ნაბოდვარი თავის დროზე სტალინმაც წაიკითხა და იქვე მჯდომ **მოლოტოვს** გადაულაპარაკა: **„ეს დაწერილია ბიუროკრატიული ენით, ხალხის მტრებს ხალხთან ხალხის ენაზე ლაპარაკი დაავიწყდათ. თუ მათ ხალხთან ხალხის ენაზე ლაპარაკი დაავიწყდათ, მე ეს არ დამვიწყებია“.**

ახლა ჩვენი საყვარელი მსახიობის, **აკაკი ვასაძის,** თვალით დანახულ სტალინის პორტრეტს გაგაცნობთ:



„სოჭი. ოქტომბერი... ვერც კი მოვასწარი ქუდის მოხდა და საკიდზე მოთავსება, რომ დერეფნის სიღრმეში სტალინი მოვლანდე: თმაშევერცხლილი, ნაცრისფერ კიტელში გამოწყობილი ჩვენკენ მოემართებოდა. ტუჩ-ღაწვზე ღიმილი გადაჰფენოდა: შუა გზაზე ერთი წამით შედგა და უცნაური, მოალერსე და იმავე დროს გამჭოლი მზერა შემოგვტყორცნა, რომელმაც ჩემზე ელექტრონისებრ იმოქმედა და ტანში ჟრუანტელმა დამიარა. შორიდანვე თითოეულს ცალ-ცალკე შეგვავლო თვალი, ძველ მეგობართა დანახვაზე, მაინც სხვაგვარი ალერსით გაუნათდა სახე. რომ მოგვიახლოვდა, თითოეულს ხელი ჩამოგვართვა და მისალმებისას სახელებით მოგვმართა, რამაც ძალზე გამაოცა: ასე უმალ როგორ შეიცნო, ერთი მხრივ, ის სიყრმის მეგობრები, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში არ ენახა, მეორე მხრივ, ჩემისთანა პიროვნება, ცხოვრებაში სულ ორიოდეჯერ რომ ჰყავდა ნანახი? მისალმებას რომ მორჩა, ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. კეთილი იყოს თქვენი მობრძანე-

**«თეირანში ყოფნისას, — განაგრძო სტალინმა, — «გიორგი სააკაძის» ორივე სერია პრეზიდენტ რუზველტს, ჩერჩილსა და ირანის თავკაცებს ჩვენს საელჩოში ვუჩვენე, დიდად მოეწონათ სურათი, საერთოდ, სააკაძეც, ლუარსაბიც, შაჰ-აბაზიც... მაგრამ ირანელები შაჰ-აბაზით იყვნენ მოხიბლულნი. აი, შაჰიც ეგეთი უნდაო, მოგვეცი ეგ შაჰი ჩვენაო. გურულო, რამე რომ იყოს, არ წახვიდოდი შაჰად ირანში? — გაეხუმრა სტალინი»**

სტალინი სიჭაბუკის წლებში



ბაო, — თქვა თამაშა სიმკვირცხლით. ასეთივე რაღაც უცნაური სიმკვირცხლით შეტრიალდა და ხელით გვანიშნა, მომყევითო.

— როგორაა ქვეყნის საქმე, ვასო? — უცებ მიმართა სტალინმა **ვასო ეგნატაშვილს.**

— ომი იქნება?

— ომი არ იქნება, — მოკლედ უპასუხა ვასო ეგნატაშვილმა.

— რატომაო?

— იმიტომ, რომ თქვენ რამდენჯერმე ასე ბრძანეთ გამოსვლებში.

— ეს რა გამოვიდა? ომი იმიტომ კი არ იქნება, რომ მე ვთქვი, არამედ იმიტომ, რომ, ძალიანაც რომ უნდოდეთ, მათი ჯარისკაცი ომში არ წავა, აი რატომ არ იქნება ომი და არა იმიტომ, რომ მე ვთქვი.

▶

„იდუმალებითაა მოცული ის რაღაც, რომელიც ნებისმიერი ხალხის ხატის სახით ვლინდება. ესაა პირველმდგენი, სიცოცხლის მძნელი: ოღონდ არა მოდგმისა და ჯიშის შექმნის გაგებით. იგი ჩვენგანი არ არის, მაგრამ მაინც ყოველ ჩვენგანში ცოცხლობს, იგი ზებიოლოგიური ბუნებისაა და შინაგანი სულიერ - ხორციელი არსებობის შუაგულიდან მომდინარეობს. ეს ზესთა პიროვნული ინდივიდუალობაა, მაგრამ მითურ ადამიანს იგი კონკრეტული პიროვნების სახით შეიძლება გამოეცხადოს. ეს ადოლფ ჰიტლერია.“ გრიგოლ რობაქიძის ეს ნაბოდვარი თავის დროზე სტალინმაც წაიკითა და იქვე მჯდომ მოლოტოვს გადაულაპარაკა:
„ეს დაწერილია ბიუროკრატიული ენით, ხალხის მტრებს ხალხთან ხალხის ენაზე ლაპარაკი დაავიწყდათ. თუ მათ ხალხთან ხალხის ენაზე ლაპარაკი დაავიწყდათ, მე ეს არ დამავიწყებია“.

გრიგოლ ოსიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **პეტრე (პეტა) კაპანაძემ** თავისი შვილის დაკარგვა შესჩივლა ომს.

— ეეეჰ, ჩემო პეტა, შენ შვილი დაკარგე ამ ომში, მეც მაგ დღეში ვარ და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი... მხოლოდ ჯარისკაცი შვიდი მილიონი შეეწირა ომს, შვი-დი მი-ლი-ონი, — დამარცვლა კი არა, თითქოს ხანჯლით დააპო ეს ბოლო სიტყვა და შვილის გახსენებაზე ჩამდგარი ნაღველი უეცარი განრისხების ფოსფორისებურმა ნათებამ შეცვალა.

პეტრე კაპანაძემ მოინდომა შვილებზე სიტყვების გაგრძელება. სტალინისათვის იაკობის ამბის დაწვრილებით გამოკითხვა. მაგრამ სტალინმა ხელის მტევანი ჩაიქნია და ფართო ვერანდიდან ზღისპირეთს გახედა. მიხეილ ტიტვინიძეს უნებურად წამოცდა:

— როგორ გამოცვლილხარ, სოსო.

სტალინი მკვირცხლად შემოტრიალდა და გაუღიმა.

მიხეილი ჯერ შეცბა, მერე ჩაიცინა და თავისი გულუბრყვილო თქმა წახუმრებით გააბათილა:

— კინაღამ ვერ გიცანი, აი....

— დავიჯერო, გაზეთშიც არ გინახივარ?

— როგორ გითხრა, არც ერთი სურათი არ გვაქვს, ჩემმა მზემ! — ისევ ისე ხუმრობით თქვა და ხელები გაასავსავა.

— ეგ ჩვენს მხატვრებს შესჩივლე, — მიუგო სტალინმა და ისევ გავმხიარულდით.

— აბა, ახლა პური ვჭამოთ, მობრძანდით! — და მიგვიპატიჟა ოთახში. მან თავისი ხელით დაასხა ღვინოები, რომლებიც, როგორ შემდეგ მივხვდი, საგანგებოდ შეარჩია იმის მიხედვით, რომელი კუთხიდან ვიყავით წარმოშობით. მეგრელს უთხრა, — ოჯალეშიო; პეტრე კაპანაძეს უთხრა, — შენ ხიდისთაური და ატენურიო; მე მითხრა, — შენა ჩხავერიო, გურულო; და ასე, სად რომელი ღვინო იდგა, იმის მიხედვით გაგვინაწილა.

ჯერ წესიერად დამსხდარი არ ვიყავით, რომ ჩვენი დამხვდური გენერალ-მაიორი შემოვიდა და მოახსენა:

— ამხანაგი პოსკრებიშევი პატიებას ითხოვს, რომ რადიკულიტს მკურნალობს და საექიმო პროცედურების გამო ვერ გეახლებათ ქართველი ამხანაგების პატისაცემ სუფრასთან.

— კარგი, გასაგებია... თქვენი ნებართვით ხომ შეიძლება პურის ჭამას შევუდგეთ? — ხუმრობით თქვა სტალინმა.

— მიირთვით და ჯანმრთელად ბრძანდებოდეთ, ღიმილით თავი დაუკრა გენერალმაიორმა, მხედრულად შეტრიალდა და გავიდა.

— მაშ, შევუდგეთ! — ხელი ხელს დაჰკრა სტალინმა და თვითონ თამადის გვერდით მოთავსდა. სტალინს წინ ვერცხლის სირჩა ედგა, ჩვენ კი — კარგა მუცელგამობერილი ბუხულა ფუჟერები. სტალინმა თავისი ვერცხლის სირჩა ასწია:

— აბა, დავილოცოთ. ეს ჩვენ შეხვედრას გაუმარჯოს და აწი თქვენ და თამადამ იცით, — თქვა და შესვა. რა ესხა ამ სათითეში ღმერთმა უწყის. სადღეგრძელოები ქართული სუფრის წესის მიხედვით შეისმებოდა. ამიტომაც სუფრის წევრთაგან რიგის მიხედვით პირველად პეტრე კაპანაძის სადღეგრძელო შევსვით.

— მე მგონია, ქართულ ღვინოებს ნომრები არ სჭირდება. ყოველი ჯიშის თავისებურებას ქართველი მევენახეები და მეღვინეები თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდნენ, თორემ, მხოლოდ რაოდენობას თუ მივყვებით, ვენახი გადაგვარდება, ღვინის კულტურა, ტრადიციით მიღებული, დაგვეკარგება. რატომ? როცა საქართველომ ამ საქმეში საფრანგეთსაც შეიძლება აჯობოს?! მონდომებაა საჭირო. საჭიროა განვითარებაც მიღებული ტრადიციებისა, მიღებული ჯიშებისა, ახალი ჯიშების გამოყვანა შეჯვარების გზით.

— ქართული ღვინის მადლი სიფხიზლეშიც შეგეწიოთ, ამდენ საზრუნავ საქმეში ჩვენი ვენახიც რომ გახსოვთ, — თქვა პეტრე კაპანაძემ და მრავალჟამიერი წამოიწყო. სტალინი პირველით აჰყვა მრავალჟამიერს, დანარჩენებმა ბანი ვუთხარით. სტალინმა პეტრეს მეორე ხმა ჩამოართვა და პეტრემ მანიშნა, — პირველი შენ უთხარიო. მე ჩემებურად დავახვიე პირველი, კარგად გამოგვივიდა.

— აი აგაშენოთ! დღეს, როგორც ვატყობ, პურის ჭამა გამოგვივა! სიმღერა ქართული სუფრის მადლი და ეშხია, უსიმღეროდ ქართული სუფრა სუფრა აღარ არის, — თქვა სტალინმა და ყველანი გაგვათბო მისი თვალების გამოხედვამ.

სტალინის სადღეგრძელომ მოაწია. როგორც კი ავდექი სადღეგრძელოს სათქმელად, ადრე მოძებნილი სიტყვები უმალ გამიქრა, და „თქვენი თავი დიდხანს მიცოცხლოს“ მეტი თითქმის არაფერი მითქვამს.

როცა **სპარტაკ ბაღაშვილი** ადგა სტალინის სადღეგრძელებლად და თავისი სიტყვა ბატონობით დაიწყო, სტალინმა წამსვე შეაჩერა სიცილით:

— შე კაიკაცო, 50 წელიწადს ბატონებს იმიტომ ვებრძოდი და ვებრძვი, რომ ახლა ბატონი მე დამიძახო? ის დამიძახე, რისთვისაც ვიბრძოდი.

სპარტაკმა მოკრძალებით შეხედა.

— ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ქართველი კაცი „ბატონოს“ რა მნიშვნელობითაც ხმარობს. ჩვენში ხომ კაცი გლახაკსაც ბატონობით მიმართავს თავაზიანობის ნიშნად, და რა ვქნა, თუ, ჩემი აზრით, ეს ქართული ზრდილობის სიტყვა არ მეჩვენება ურიგოდ? ეს ხომ უკვე ჩვენი ენისა და ჩვენი ხალხის სულის თავისებურებაა, ჩემო ბატონო, — დარბაისლური ქართულითა და ხავერდოვანი ხმით მიუგო სპარტაკ ბაღაშვილმა და შესანიშნავი სადღეგრძელოც მიაყოლა, ისე, რომ სტალინს აღარ გაუჩერებია იგი და არც ერთ მის ბატონზე აღარაფერი უთქვამს.

სტალინის სადღეგრძელოს „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“ ვუძღვენით. რომ დავამთავრეთ, უცებ თვითონ წამოიწყო „გაფრინდი, შავო მერცხალო“ და ჩვენც მისებრ ღუღუნს ავყევით ჩუმის ხმით.

გაჩაღდა ლხინი. სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვებოდა, სიმღერას — სიმღერა, უცებ, მე მომიბრუნდა სტალინი და მითხრა: — ერთი გურული „ხელხვავი“ წამოიწყე, გურულო!

— ახლავე, მაგრამ მოძახილს ვინ მეტყვის? — შევეკითხე გაოცებულმა და შეწუხებულმა, რადგან **აკაკი ხორავა** და მით უმეტეს სხვები ამ საქმეში ვერ გამომადგებოდნენ.

**«ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, ქართველი კაცი «ბატონოს» რა მნიშვნელობითაც ხმარობს. ჩვენში ხომ კაცი გლახაკსაც ბატონობით მიმართავს თავაზიანობის ნიშნად, და რა ვქნა, თუ, ჩემი აზრით, ეს ქართული ზრდილობის სიტყვა არ მეჩვენება ურიგოდ? ეს ხომ უკვე ჩვენი ენისა და ჩვენი ხალხის სულის თავისებურებაა, ჩემო ბატონო, — დარბაისლური ქართულითა და ხავერდოვანი ხმით მიუგო სპარტაკ ბაღაშვილმა და შესანიშნავი სადღეგრძელოც მიაყოლა, ისე, რომ სტალინს აღარ გაუჩერებია იგი და არც ერთ მის ბატონზე აღარაფერი უთქვამს. სტალინის სადღეგრძელოს «გუშინ შვიდნი გურჯანელნი» უძღვენით. რომ დავამთავრეთ, უცებ თვითონ წამოიწყო «გაფრინდი, შავო მერცხალო» და ჩვენც მისებრ ღუღუნს ავყევით ჩუმის ხმით»**



აკაკი ვასაძე შაჰ-აბასის როლში



აკაკი ვასაძე



სპარტაკ ბაღაშვილი, კადრი ფილმიდან „გიორგი სააკაძე“

— შენ დაიწყე და მოძახილის ნუ გეშინია, — თავმომწონედ ჩაიღიმა სტალინმა.

მეც წამოვიწყე ისე, როგორც ეს სიმღერა სიმონიშვილისგან მქონდა ნასწავლი. გავათავე თუ არა პირველი მუხლი, სტალინმა შემაჩერა და მითხრა:

— არ არის მაგ სწორი... მე მგონი, პირველი მუხლი ასე უნდა იწყებოდეს, — და თვითონ წამოიწყო. როდესაც პირველი მუხლის ორი ტაქტი პირმოკუმულმა კრინით ჩაათავა, დროულად გამახსენდა, ვინც ასრულებდა გურულ „ხელხვავს“ ამგვარად და წამოვიძახე:

— ეგ ხომ ჩავლეიშვილის ვარიანტია და თქვენ საიდან... საიდან გქონდათ ამის დრო, „ხელხვავი“ და „ხასანბეგურა“ შეგესწავლათ?!

— ციხეში, გურულო, ციხეში! — 905-ში ქუთაისის ციხეში ვიჯექი, ბლომად იყვნენ იმერლები, მეგრელები და გურულებიც. დრო, ღვთის მოცემული, საკმაოდ გვქონდა და ციხეში რას არ ისწავლის, რას არ გაიგონებს კაცი, თორემ სიმღერა რაა... თამადამ საქართველოს სადღეგრძელოდ ასწია სასმისი, დალოცა ჩვენი მამულის მადლი და ბარაქა და მისი განსაკუთრებულად დღეგრძელობის უფლებამოსილება იმით დაადასტურა, რომ საქართველომ კაცობრიობას სტალინი მისცა.

— მოიცა, მოიცა! — შეაჩერა სტალინმა, — მაშ, ის ქვეყნები, რომლებსაც კაცობრიობისთვის სტალინი არ მიუციათ, დღეგრძელობის ღირსი აღარაა? მერედა, მხოლოდ მე რომ მახსენებ საქართველოს შვილად, **დავით აღმაშენებელს** რაღას ეუბნები ან სხვები რად დაივიწყე? გაუმარჯოს საქართველოს, მის ხალხსა და ბუნებას, მის წარსულსა და მომავალს, მის ბარაქასა და სილამაზეს, მართლაც, ამ ძალზე უცნაურ მხარეს დედამიწის ზურგზე, განა აუცილებლად სხვაზე უკეთესს ან უფრო ლამაზს? არა, თავისთავად კარგსა და თავისებურად განუმეორებელს, — თქვა და ვერცხლის სირჩა გამოსცალა.

სტალინი ბატკნის ხორცს აქნიდა, როდესაც თქვა:

— ისე არავინ მომწონს ჩვენს კინოში მსახიობთაგან, როგორც ეს კაცი და კიდე აი ესა, — ხელი ჯერ აკაკი ხორავასკენ გაიშვირა და მერე სპარტაკ ბაღაშვილისაკენ. ისე მოულოდნელად და უბრალოდ განაცხადა ეს, რომ სავსებით გასაგები იყო ჩემთვის აკაკის დაბნევა და ისიც, რომ თვალზე ცრემლი მოადგა და ძლივს მოახერხა ორიოდე სიტყვის თქმა სამადლობელად. სამაგიეროდ სპარტაკმა, ცოტა პათეთიკურად, მაგრამ გულწრფელად და ლამაზად მიმართა:

— ჩვენ რა, ბატონო იოსებ, ჩვენი ქვეყნის ფესვი თქვენა ბრძანდებით, ჩვენ კი კენწეროები ვართ და იმიტომ ვყელყელაობთ და მაღლა-მაღლა ვჩანვართ.

— აი, კიდევ ბატონოს მეძახის, — ჩაიცინა სტალინმა. ამ დროს პეტრე კაპანაძემ ჩენზე ანიშნა სტალინს, ისიც მოტრიალდა და ბატკნის ნაჭრებით სავსე სინით გამოემართა.

— მაგ როგორ დამავიწყდება, ჩემო პეტა, მაგას ნახევარ ბატკანს მივართმევთ... აჰა, აწი ამას შენ მოუარე და დაჭრაში მომეხმარე, — და ჯერ დაუჭრელი ბატკანი წინ დამიდო.

— ნუ სწუხდებით, ამდენს რა შემაჭმევს, ერთი ციცქნაც მეყოფა.

— ერთი ციცქნა რა! რამდენ ბატკანს ჭამდა საქართველოს უკანასკნელი მეფე, თუ იცი?

— როგორც ამბობენ, თუ ერთ ჯერზე ზაქსა ყლაპავდა, ბატკანს, ალბათ, ორს-სამს დასჯერდებოდა, — ვუპასუხე.

— კაციც ისა ყოფილა! როგორც ვატყობ, არც შენ უნდა იყო ურიგო მჭამელი ჰა, — მომმართა ხუმრობით. პეტრე ქავთარაძესა და ეგნატაშვილს, რომლებთანაც არაერთხელ ვყოფილვარ პურმარილზე, სიცილი წასკდათ.

— თეირანში ყოფნისას, — განაგრძო სტალინმა, — „გიორგი სააკაძის“ ორივე სერია პრეზიდენტ **რუზველტს, ჩერჩილსა** და ირანის თავკაცებს ჩვენს საელჩოში ვუჩვენე, დიდად მოეწონათ სურათი, საერთოდ, სააკაძეც, ლუარსაბიც, შაჰ-აბაზიც... მაგრამ ირანელები შაჰ-აბაზით იყვნენ მოხიბლულნი. აი, შაჰიც ეგეთი უნდაო, მოგვეცი ეგ შაჰი ჩვენაო. გურულო, რამე რომ იყოს, არ წახვიდოდი შაჰად ირანში? — გამეხუმრა სტალინი.

— არა, ამხანაგო სტალინ! რა მინდა ირანში, როცა საკუთარ სახლში შაჰიც ვარ და შაჰინშაჰიც!

— მეც ეგრე ვუთხარი: ვასაძე თქვენს შაჰობას არ დათანხმდება-მეთქი, — თვალი ჩამიკრა და გულიანად გამიცინა.

— ახლა, თამადავ, პატარა შევისვენოთ და ახალ სუფრას მივაკითხოთ გვერდითა ოთახში, — თქვა და მსუბუქად, მხარგაშლილი გაემართა მეორე ოთახისკენ.

ჩვენც წამოვიშალეთ.

— რა მშვენივრად არის, პირდაპირ კვერცხივით არის ჩამოსხმული, — გადამილაპარაკა პეტამ.

— ღმერთმა ასე გვიმყოფოს ათას წელიწადს. რომ არც იღლება? ნახე რა მსუბუქად წავიდა.

— რამდენიმე ხნით ზოგი ვერანდაზე გავედით, ზოგი ბილიარდს მიუდგა და ხელფეხი გაშალა, გაინძრა-გამოინძრა. ხუმრობა საქმე იყო, ოთხი-ხუთი საათის განმავლობაში ვისხედით უკვე სუფრასთან და თანაც სტალინის სუფრასთან.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

უახლესი ისტორია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აგრარულ რუსეთში, მრავალმილიონიან ქვეყანაში, სულ 150 ტრაქტორი იყო. ტექნიკის დიდ წილს საზღვარგარეთ ყიდულობდნენ, მაგრამ ეს ამოცანა დროთა განმავლობაში ინდუსტრიალიზაციამ გადაჭრა. 1940 წელს საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო მუხლუხიანი ტრაქტორების გამოშვების მხრივ — სსრკ-ის წილი მსოფლიოში 40%-ს შეადგენდა.**

# სსრკ-ის ხელმძღვანელობის 5 გადაწყვეტილება, რომლებმაც ქვეყანა გადაარჩინა

**„მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს ჩვენ 50-100 წლით ჩამოვრჩებით. ეს ჩამორჩენა 10 წელიწადში უნდა დავძლიოთ. ან გავაკეთებთ ამას, ან გადაგვთელავენ“, — ეს ფრაზა, რომელიც სტალინმა 1931 წლის 4 თებერვალს წარმოთქვა, წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. 10 წლის შემდეგ დაიწყო ყველაზე საშინელი ომი კაცობრიობის ისტორიაში. ქვემოთ მოგვყავს სსრკ-ის ხელმძღვანელობის 5 გადაწყვეტილება, რომელთა წყალობითაც 1941 წლის ზაფხულში ფაშისტთა ურდოებს წინ აღუდგნენ არა „ბუდიონის ცხენოსნები“, არამედ თანამედროვე სამხედრო შენაერთები 1000 ერთეული სამხედრო ტექნიკით.**



## გადაწყვეტილება №1: ელექტროფიკაცია

ბოლშევიკების აზრით, კომუნიზმის აშენება შეუძლებელია მძლავრი მრეწველობის გარეშე. მძლავრი მრეწველობის შესაქმნელად კი აუცილებელია ენერგეტიკული რესურსები.

„კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“, — ამბობდა ვლადიმერ ლენინი.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ბოლშევიკებმა შეიმუშავეს რუსეთის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის ელექტროფიკაციის გეგმა. ეს გეგმა შეიმუშავა რუსეთის ელექროფიკაციის სახელმწიფო კომიტეტმა ლენინის ხელმძღვანელობით.



## გადაწყვეტილება №3: კოლექტივიზაცია

XX საუკუნის დასაწყისში საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 80%-ს გლეხები შეადგენდნენ. საჭირო იყო მათთვის არა მხოლოდ განათლების მიცემა, არამედ „მიწიდან მოწყვეტაც“, რათა შემდეგ გამოთავისუფლებული მასები გაეგზავნათ ინდუსტრიულ მშენებლობებზე. ეს ამოცანა წარმატებით გადაჭრა კოლექტივიზაციამ. შესაძლებელი შეიქნა, სახელმწიფოს გამოკვება ნაკლები ადამიანური რესურსით. მილიონობით გამოთავისუფლებული გლეხი წავიდა ქალაქში ქარხნების ასაშენებლად და შემდეგ — სამუშაოდ. მათი შვილები სკოლაში მერხებს უსხდნენ, სწავლობდნენ და არ მუშაობდნენ სოფლის მინდვრებში. ასე მზადდებოდა ახალი კვალიფიციური კადრები.



## გადაწყვეტილება №5: ინდუსტრიალიზაცია

ინდუსტრიალიზაციისკენ სვლა ოქტომბრის რევოლუციის დასრულებისთანავე დაიწყო. XX საუკუნის 40-იან წლების წინ აგრარული ქვეყანა ინდუსტრიულ ქვეყნად იქცა. დასრულდა ე.წ. სამრეწველო ნახტომი. კოლმეურნეებს შეეძლოთ, შეეძინათ ტექნიკა. მიწის ეფექტიანად დამუშავების შედეგად 1939 წელს სოფლის მეურნეობით დაკავებული მოსახლეობის წილი 80-დან 67%-მდე შემცირდა. ქალაქის მოსახლეობის წილმა 2-ჯერ მოიმატა, ქალაქებში გადასული მილიონობით მუშა დაკავებული იყო დიდი ინდუსტრიული ქარხნების მშენებლობით და ამ ქარხნებში თანამედროვე სამხედრო ტექნიკის გამოშვებით, რომელთა შექმნაზეც მუშაობდნენ საუკეთესო საინჟინრო ტვინები.




## გადაწყვეტილება №2: განათლების რეფორმა

მხოლოდ ენერგეტიკული რესურსები საკმარისი არ არის თანამედროვე მრეწველობის შესაქმნელად. საჭიროა ადამიანური რესურსებიც, საჭირო არიან მუშები, რომლებიც ამით იქნებიან დაკავებულნი.

ეს მუშახელი უნდა იყოს განათლებული, ამიტომ ბოლშევიკებმა დაიწყეს გაუნათლებლობის საწინააღმდეგო კამპანია: ქვეყანაში სწავლა უფასო გახდა. აშენდა სკოლები, ბიბლიოთეკები. ამ ზომების გატარების წყალობით 1939 წელს განათლებული მოსახლეობის წილი 87% იყო.

შესადარებლად: 1920 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, 9-49 წლის განათლებული ადამიანების წილი მხოლოდ 44% იყო.



## გადაწყვეტილება №4. ტრაქტორთმშენებლობა

სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ასამაღლებლად საჭირო იყო ცხენისა და გუთნის შეცვლა ტრაქტორით. საკუთარი წარმოების ტრაქტორების გამოსაშვებად ლენინმა 1918 წელს კონსტრუქტორები გაგზავნა უცხოეთში სატრაქტორო ქარხნების ასაშენებლად საჭირო მოწყობილობების შესაძენად.

აგრარულ რუსეთში, მრავალმილიონიან ქვეყანაში, სულ 150 ტრაქტორი იყო. ტექნიკის დიდ წილს საზღვარგარეთ ყიდულობდნენ, მაგრამ ეს ამოცანა დროთა განმავლობაში ინდუსტრიალიზაციამ გადაჭრა.

1940 წელს საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო მუხლუხიანი ტრაქტორების გამოშვების მხრივ — სსრკ-ის წილი მსოფლიოში 40%-ს შეადგენდა.



## დასკვნა

საბჭოთა ხელმძღვანელობის ყველა ამ გადაწყვეტილებამ შესაძლებლობა მისცა ქვეყანას, გაეძლო დიდი სამამულო ომის წლებში. ეს გადაწყვეტილებები დაკავშირებულია ერთმანეთთან. ერთი რომელიმეს გარეშე არ იქნებოდა დანარჩენი.

იმხანად მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ შეეძლო, წინააღმდეგობა გაეწია ყველაზე მოწინავე და საუკეთესოდ აღჭურვილი ფაშისტური გერმანიის არმიისთვის, რომლის დროშითაც სსრკ-ის წინააღმდეგ იბრძოდა თითქმის მთელი ევროპა. საბჭოთა კავშირმა შეძლო, ხერხემალში გადაემტვრია საზიზღარი ფაშიზმი; შეძლო, გაენადგურებინა იდეოლოგია, რომელიც სრულიად მსოფლიოს ემუქრებოდა. და ეს მოახერხა მხოლოდ თანამედროვე სამხედრო გადაწყვეტილებების წყალობით. მსოფლიო გადარჩა.

აქვე უნდა დავამატოთ მეცნიერების, კულტურის არნახული განვითარება და ნაციონალური საკითხების გადაწყვეტა, ხოლო მთლიანობაში, — როგორც საბჭოთა ხელისუფლების მთავარი შედეგი, — შექმნა ახალი ადამიანისა, რომელიც იცავდა პრინციპებს: „ადამიანი ადამიანისთვის არის მეგობარი, ამხანაგი და ძმა“, „მოკვდი და მეგობარი გადაარჩინე“, „ჯერ სამშობლოზე იფიქრე, შემდეგ — საკუთარ თავზე“. ეს არ არის ნოსტალგიური ხუშტური, უბრალოდ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მცხოვრები ბევრი ადამიანისთვის სხვაგვარად ცხოვრება მიუღებელი იყო. აი წავედით სხვა გზით და ადამიანები გადაგვარდნენ, ქვეყნები დანგრევის პირას არის და ის ავტორიტეტი, რომელიც საბჭოთა კავშირს ჰქონდა, დაიკარგა. საბჭოელების ცხოვრებას კერძო კაფეები, საპარიკმახეროები, ტაქსები და სხვა რამ რომ დამატებოდა, ყველაზე უკეთ ვიცხოვრებდით, მაგრამ არა, თავი შევყავით დასავლეთის ე.წ. თავისუფლების ხაფანგში, რაც დიადი ქვეყნისა და მისი ხალხების ტოტალური ძარცვითა და განადგურებით დასრულდა.

**საბჭოთა კავშირმა შეძლო, ხერხემალში გადაემტვრია საზიზღარი ფაშიზმი; შეძლო, გაენადგურებინა იდეოლოგია, რომელიც სრულიად მსოფლიოს ემუქრებოდა. და ეს მოახერხა მხოლოდ თანამედროვე სამხედრო გადაწყვეტილებების წყალობით. მსოფლიო გადარჩა. აქვე უნდა დავამატოთ მეცნიერების, კულტურის არნახული განვითარება და ნაციონალური საკითხების გადაწყვეტა. ხოლო მთლიანობაში, — როგორც საბჭოთა ხელისუფლების მთავარი შედეგი, — შექმნა ახალი ადამიანისა, რომელიც იცავდა პრინციპებს — «ადამიანი ადამიანისთვის არის მეგობარი, ამხანაგი და ძმა», «მოკვდი და მეგობარი გადაარჩინე», «ჯერ სამშობლოზე იფიქრე, შემდეგ — საკუთარ თავზე»**

ინტერნეტში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**„ჩვენ ვაღიარებთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, მაგრამ დღეს პრობლემა არის ის, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი უშვებს შეცდომას. და, თუ ყველა მართლმადიდებელი ეკლესია მის გარეშე გამართავს კრებას და მიიღებს გადაწყვეტილებას კონსტანტინოპოლის წინამძღვრის დამხობის შესახებ, ეს შესაძლებელია“.**

ფაქტები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პატრიარქი ბართლომეოსი შეიძლება უკრაინის საკითხის გამო გადააყენონ

**ანტიოქიის საპატრიარქოში არ გამორიცხეს სრულიად მართლმადიდებელთა კრების მოწვევა კონსტანტინოპოლის პატრიარქის მონაწილეობის გარეშე.**



„ჩვენ ვაღიარებთ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, მაგრამ დღეს პრობლემა არის ის, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქი უშვებს შეცდომას. და, თუ ყველა მართლმადიდებელი ეკლესია მის გარეშე გამართავს კრებას და მიიღებს გადაწყვეტილებას კონსტანტინოპოლის წინამძღვრის დამხობის შესახებ, ეს შესაძლებელია“, — განაცხადა ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის პატრიარქის ვიკარიუსმა, ერზურუმის ეპისკოპოსმა კაისმა.

ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ, ჩვეულებრივ, როცა მართლმადიდებელ სამყაროში ჩნდება სურვილი ყველა ეკლესიის კრების ჩატარებისა, „მაშინ თითოეული ეკლესია ჯერ თავის შიგნით უნდა გაერკვეს და მიაღწიოს შეთანხმებას ამ საკითხზე“, შემდეგ კი „გაგზავნოს თხოვნა კონსტანტინოპოლის პატრიარქის კრების მოწვევის თაობაზე“.

„თუმცა ეს არ არის ხელშეუხებელი უფლება. არის სხვა შესაძლებლობებიც: **ნებისმიერ მართლმადიდებელ ეკლესიას შეუძლია მიაღწიოს შეთანხმებას სხვა ეკლესიებთან და მოიწვიოს კრება“**, — აღნიშნა ვიკარიუსმა და ხაზი გაუსვა, რომ ანტიოქიის ეკლესიაში არ სურთ რადიკალური გადაწყვეტილების მიღება და გამოდის მოწოდებით, რომ **„ეკლესიებში იყოს მშვიდობა, რათა კონსტანტინოპოლის პატრიარქმა გადახედოს გადაწყვეტილებას და ეკლესიური კრიზისი უკრაინაში მშვიდობიანი გზით მოგვარდეს, რათა „რასკოლნიკები“ დაუბრუნდნენ კანონიკურ ეკლესიას“.**

გასულ კვირაში ერზურუმის ეპისკოპოსი კაისი მონაწილეობდა მოსკოვში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც უკრაინაში მორწმუნეთა უფლებების დაცვას მიეძღვნა. მან შეხვედრები გამართა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან.

# ბრიტანეთში მკვეთრად მოიმატა კონფლიქტების რაოდენობამ რასობრივ ნიადაგზე





**ბავშვთა დაცვის საქველმოქმედო ორგანიზაცია NSPCC-ის წარმომადგენელთა განცხადებით, ხშირად იღებენ ინფორმაციას, რომ შავგვრემანი და შავკანიანი ბავშვები ცდილობენ, კანი გაითეთრონ, რათა ისე არ გამოიყურებოდნენ, როგორც „ჭუჭყიანი“; აზიელი ბავშვები კი იყენებენ ტუშს, რათა მათი თვალები ევროპელთა თვალებს დაემგვანოს. ეს ყველაფერი ხდება იმიტომ, რომ სკოლებში დასცინიან მათ ეროვნების გამო, — იუწყება ტელეარხი „ბანქის სახლი: ევროპა“.**

„ბოლო ორი წლის განმავლობაში დიდ ბრიტანეთში ბავშვების მიმართ რეგისტრირებული იყო 10 571 დანაშაული რასობრივ ნიადაგზე, საშუალოდ 29 დანაშაული დღეში“, — განაცხადეს NSPCC-ის წარმომადგენლებმა, ბრიტანეთის პოლიციის მონაცემებზე დაყრდნობით.

**„ეს სულისშემძვრელი მოვლენაა, როცა ბავშვი გეუბნებათ, რომ სურს, სხვანაირად გამოიყურებოდეს. ამ ბავშვებს აიძულებენ, თავი დამნაშავედ იგრძნონ (ეროვნების გამო) და ზოგჯერ მალავენ ამას მშობლებისგან, რადგან არ სურთ მათი შეწუხება ან განაწყენება“**, — განაცხადა ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა.

# გერმანიაში მიგრანტები აჯანყდნენ



**ბავარიაში, ლტოლვილების განთავსების ცენტრში რამდენიმე ათეული მიგრანტი აჯანყდა, — იუწყება გერმანული გამოცემა Frankfurter Allgemaine Zeitung-ი.**

გამოცემის ინფორმაციით, 31 მაისს დაახლოებით 30-მა ლტოლვილმა დაიწყო ცენტრის თანამშრომელთა შეურაცხყოფა და შევიწროება, ამის გამო ხელმძღვანელობამ პოლიცია გამოიძახა. ადგილზე მისულმა სამართალდამცველებმა დააკავეს ამბოხების სავარაუდო ორგანიზატორი, მაგრამ ამან უფრო გააბრაზა ამბოხებულები: ზოგმა პოლიციელებს მუშტი-კრივი გაუმართა, ზოგმა კი ველოსიპედები ესროლა. პოლიციელებმა ცრემლმდენი აირი გამოიყენეს. გამოცემის ინფორმაციით, საქმე იქამდე მივიდა, რომ ამბოხებულებმა ააგეს ბარიკადები, რათა სამართალდამცველებს უკან დახევა არ შეძლებოდათ. ვითარება განმუხტა პოლიციელთა დამხმარე ძალის გამოჩენამ. შეტაკების შედეგად დაშავდა 4 პოლიციელი, 6 ნიგერიელი კი დააკავეს.

2018 წლის ნოემბერში გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა აღიარა მთავრობის შეცდომა რეგიონულ პოლიტიკაში. შესაბამისი განცხადება მან გააკეთა ქალაქ კემნიცში, სადაც იმავე წლის აგვისტოში მასობრივი საპროტესტო აქციები გაიმართა მიგრანტების მიერ ადგილობრივი მცხოვრების მკვლელობის გამო.





# ვირჯინიაში 12 ადამიანი მოკლეს

**აშშ-ში, ქალაქ ვირჯინია ბიჩში ყოფილმა სახელმწიფო მოსამსახურემ 12 ადამიანი მოკლა და 6 დაჭრა. პირი, რომელმაც ცეცხლი გახსნა, სამართალდამცველებმა მოკლეს, — იუწყება „ბი-ბი-სი“ .**

შეიარაღებულმა პირმა ქალაქის ერთ-ერთ მუნიციპალურ კომპლექსში სროლა ატეხა ადგილობრივი დროით, დაახლოებით, 16 საათზე. ეს შენობა მერიასა და სასამართლოსთან ახლოს არის. იქ განთავსებულია კომუნალური სამსახურების ოფისები. როგორც ირკვევა, დამნაშავე წლების განმავლობაში ქალაქის კომუნალურ სფეროში მუშაობდა და ცოტა ხნის წინათ სამსახურიდან დაითხოვეს.

ვირჯინია ბიჩის პოლიციის უფროს ჯიმ სერვერას განცხადებით, დამნაშავე მარტო მოქმედებდა. უკმაყოფილო სახელმწიფო მოსამსახურემ შენობაში შესვლისთანავე დაიწყო სროლა ყველა მიმართულებით. პოლიციასთან ორმხრივი სროლისას დაიღუპა დამნაშავეც. მსუბუქად დაჭრილია ერთი პოლიციელი, რომელიც ჯავშანჟილეტმა გადაარჩინა. ადგილზე იპოვეს პისტოლეტი და შაშხანა.



# ბანკებმა და მიკროსაფინანსოებმა 170,7 მლნ ლარის ქონება დაისაკუთრეს

**კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსოების მიერ დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონების მოცულობა 170 749 652 ლარს შეადგენს. დასაკუთრებული ქონებიდან 95% კომერციულ ბანკებზე მოდის.**

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, 2019 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, საქართველოში მოქმედმა კომერციულმა ბანკებმა 161 707 653 ლარის ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება დაისაკუთრეს.

რაც შეეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, 2019 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, მათ მიერ დასაკუთრებული ქონების მოცულობამ 9 041 999 ლარი შეადგინა, რაც 7,6 მლნ ლარით ნაკლებია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით. 2018 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, მიკროსაფინანსოების მიერ დასაკუთრებული ქონების მოცულობამ 16 677 553 ლარი შეადგინა.

**2019 წლის მონაცემებით, ბაზარზე 15 კომერციული ბანკი და 61 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ოპერირებს.**

**გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძე**

ურთიერთობები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყაზახები საქართველოში ბიზნესს ეწევიან, ისევე, როგორც ქართველები ყაზახეთში; იზრდება გაცვლა ამ მიმართულებით, ამიტომ ზოგიერთი შრომითი ასპექტი სინქრონიზებას საჭიროებს. ამ პრობლემის გადასაწყვეტად შეთანხმება გააფორმეს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებმა. ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ ეკონომიკის სამინისტროებს. მიღწეულია შეთანხმება საქონლის ჩამონათვალის თაობაზე, რომლითაც ყაზახეთი მოამარაგებს საქართველოს, საქართველო კი — ყაზახეთს.**

# შეხვედრა ყაზახეთის ელჩთან

**მიმდინარე წლის 31 მაისს სასტუმრო „HOLIDEY INN ივერიაში“ საქართველოში ყაზახეთის ელჩის — ბაურჟან მუხამეჯანოვის ინიციატივით გაიმართა ბრიფინგი-მრგვალი მაგიდა, რომელსაც ესწრებოდნენ საზოგადოების წარმომადგენლები, საქართველოს პარლამენტის რამდენიმე დეპუტატი, ჟურნალისტები.**


ბაურჟან მუხამეჯანოვი

ბრიფინგზე ბატონმა ელჩმა მიმოიხილა თავისი ერთი წლის საქმიანობის შედეგები საქართველოში. აღნიშნა, რომ ელჩად დანიშვნის დღიდან აქცენტი ორმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებაზე გააკეთა. ხაზი გაუსვა, რომ ამ მიმართულებით მიმდინარეობს სახელმწიფო სტრუქტურების აქტივაცია, ძალიან ნაყოფიერად მუშაობს საქართველოსა და ყაზახეთის მთავრობათაშორისი კომისია. ახლახან კი გაიმართა მისი მეათე შეკრება ასტანაში. მაისში საქართველოს პრემიერმინისტრი, ბატონი **ბახტაძე** ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ყაზახეთში. ყაზახეთის მხარის შეფასებით, ასტანაში მან ნაყოფიერი შეხვედრები გამართა თავის კოლეგა **ასკარ მამინთან**, ყაზახეთის პრეზიდენტ **ყასიმ-ჟომარტ ტოკაევთან** და პარლამენტის სენატის თავმჯდომარე **დარიგა ნაზარბაევასთან.** ამ შეხვედრებზე ხაზი გაესვა ჩვენს სანიმუშო ურთიერთობას ყველა დონეზე, მაგრამ ითქვა ისიც, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული საქონელბრუნვის დონე არ პასუხობს იმ პოტენციალს, რომელიც არსებობს.

მიუხედავად ამისა, **ერთ წელიწადში (2017-2018) ყაზახეთსა და საქართველოს შორის საქონელბრუნვამ 32 პროცენტით მოიმატა — იყო 67 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის, ამჟამად 90 მილიონ აშშ დოლარზე მეტია. საქართველოს სტატისტიკა ცოტა განსხვავებულია და 150 მილიონ დოლარს აჩვენებს, რადგან ყაზახეთისა და საქართველოს სტატისტიკის ორგანოებს შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები აქვთ (ერთ-ერთი დამსწრე დეპუტატის განმარტებით, ეს იმიტომ, რომ საქართველო რეექსპორტსაც თვლის, ყაზახეთი – არა).**

შედგა მოლაპარაკება საქონელბრუნვის გაორმაგებასა და გასამმაგებაზე. 300 მილიონი დოლარის ზღვარის მიღწევა რამდენიმე წელიწადში რეალურია.

მთავრობათა შორის მოლაპარაკების დროს ხელი მოაწერეს დოკუმენტებს, რომლებიც მიმართულია როგორც საქართველოს, ასევე ყაზახეთის სატრანზიტო პოტენციალის, სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის შესაძლებლობების ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად. ხელი მოეწერა ასევე დოკუმენტს სოფლის მეურნეობის სამინისტროების ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

ელჩმა აღნიშნა, რომ ყაზახეთს დაგეგმილი აქვს მთელი რიგი პროექტებისა ყაზახეთსა და საქართველოში, ამიტომ საქართველოს ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის უწყებებს შორის შეთანხმებულ თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ყაზახები საქართველოში ბიზნესს ეწევიან, ისევე, როგორც ქართველები ყაზახეთში; იზრდება გაცვლა ამ მიმართულებით, ამიტომ ზოგიერთი შრომითი ასპექტი სინქრონიზებას საჭიროებს. ამ პრობლემის გადასაწყვეტად შეთანხმება გააფორმეს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებმა.

ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ ეკონომიკის სამინისტროებს. მიღწეულია შეთანხმება საქონლის ჩამონათვალის თაობაზე, რომლითაც ყაზახეთი მოამარაგებს საქართველოს, საქართველო კი — ყაზახეთს.

**დიდი ყურადღება დაუთმეს სატრანზიტო დერეფნის ტრანსკასპიური საერთაშორისო გზის — გამოყენებას, რომელიც იწყება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, გადის ჩინეთზე, ყაზახეთზე, აზერბაიჯანზე, საქართველოზე, თურქეთზე და ამ ქვეყნების პორტების გამოყენებას ითვალისწინებს.**

საინტერესო საუბარი გაიმართა ყაზახეთის ხორბლის საქართველოს ბაზარზე შემოტანის საკითხზე. უწინ ყაზახეთს საქართველოში შემოჰქონდა 500 ათასამდე ტონა მარცვლეული, შემდეგ იმის გამო, რომ ფასები შეიცვალა, სარკინიგზო გადაზიდვების ტარიფები კი გაიზარდა, ყაზახეთის ხორბლის კონკურენტუნარიანობამ საქართველოს ბაზარზე დაიკლო, შემოტანილი მარცვლეულის რაოდენობა შემცირდა. მინისტრებმა, შემდეგ კი პრემიერმინისტრებმა მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ პრობლემის გადასაწყვეტად ყაზახეთის რკინიგზა სუბსიდირებით ხელს შეუწყობს საქართველოსთვის განკუთვნილი ხორბლის გადაზიდვას თავის ტერიტორიაზე. ამჟამად შესაბამისი სამინისტროს ხელმძღვანელი ამუშავებს იმ წინაღობათა გადასალახავ წინადადებებს, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ამ უაღრესად მნიშვნელოვანი შეთანხმების განხორციელების გზაზე.

ამ საკითხის ოპერატიულად გადასაწყვეტად ივლისის დასაწყისში ყაზახეთის ეკონომიკის მინისტრი, ბატონი **სკლიარი** ეწვევა საქართველოს და კოლეგებთან ერთად განიხილავს ყველა დეტალს.

„ახლახან ველაპარაკე მინისტრ სკლიარს და ვთხოვე, რომ რაც შეიძლება მალე გადაწყვიტოს ყაზახეთმა ტარიფების მოწესრიგების საკითხი, — როგორ აპირებენ იმ მარცვლეულის გადაზიდვის დაფინანსებას, რომელიც საქართველოსთვის იქნება განკუთვნილი.

თავისთავად ცხადია, რომ ორ ქვეყანას შორის გრძელდება ტრადიციული კავშირები შემოქმედების, მეცნიერების სფეროებში. შევხვდი თქვენი მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, მოვილაპარაკეთ, რომ ყაზახი მეცნიერები ჩამოვლენ საქართველოში, თქვენები — ყაზახეთში, რათა უფრო აქტიური გახდეს შემოქმედებითი ინტელიგენციის თანამშრომლობა.

ძალიან გვაინტერესებს თქვენი პოლიციის საქმიანობა. პოლიციას საქართველოში აქვს მოსახლეობის 87%-იანი ნდობა. ეს ძალიან დიდი მაჩვენებელია. თქვენს შინაგან საქმეთა მინისტრთან შევთანხმდით და ახლო მომავალში ყაზახეთის შს სამინისტროს დელეგაცია ჩამოვა საქმიანობის პრაქტიკული ასპექტების შესასწავლად.

თქვენ იცით, რომ ყაზახეთში ამჟამად მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესები — ყაზახეთის პირველი პრეზიდენტი **ნურსულთან ნაზარბაევი** გადადგა, ხოლო მისი ადგილი კონსტიტუციის თანახმად დაიკავა სენატის თავმჯდომარემ, ბატონმა **ტოკაევმა**, რომელიც დღეს ყაზახეთის პრეზიდენტია. ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, უნდა დაინიშნოს და დაინიშნა კიდეც რიგგარეშე არჩევნები, რომელიც 9 ივნისს გაიმართება. სამმა პარტიამ და ოთხმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ წამოაყენეს თავიანთი კანდიდატები. პრეზიდენტმა ტოკაევმა განაცხადა, რომ ეს არჩევნები იქნება აბსოლუტურად გამჭვირვალე და დემოკრატიული. დამკვირვებლებად ათასზე მეტი უცხოელი ჩამოდის, მათ შორის საქართველოს პარლამენტის დეპუტატებიც იქნებიან, ასევე, ათობით საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ევროპის, ევრაზიის სტრუქტურების მიერ მოვლინებული პროფესიონალები და ა.შ. იმ ყაზახებისთვის, რომლებიც თქვენს ქვეყანაში მუშაობენ, ასევე, ტურისტებისთვის, რომელთა რაოდენობა სულ უფრო იზრდება, ჩვენს საელჩოში გახსნილია საარჩევნო უბანი №277.

**ვსარგებლობ შემთხვევით და საქართველოს მედიით მივმართავ ყაზახეთის მოქალაქეებს, რომ ხმის მიცემა გაიმართება 9 ივნისს, საარჩევნო უბანი გაიხსნება დილის 7 საათზე და დაიხურება საღამოს 20 საათზე.**

აი, მოკლედ ის ინფორმაცია, რომლის გაზიარებაც მსურდა მოწვეული სტუმრებისთვის“, — შეაჯამა თავისი სათქმელი ბატონმა ელჩმა.

შემდეგ ბატონმა მუხამეჯანოვმა დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხა.

ყაზახეთის საელჩოს თანამშრომლებმა და პირადად ბატონმა ელჩმა ორმხრივ ურთიერთობებში კარგად ჩახედული და ფრიად კეთილგანწყობილი და პოზიტიური ადამიანების შთაბეჭდილება დატოვეს.

**წარმატებებს ვუსურვებთ მათ საქართველოსთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაღმავებაში!**

მოამზადა
**გიორგი გავაშელმა**

**ერთ წელიწადში (2017-2018) ყაზახეთსა და საქართველოს შორის საქონელბრუნვამ 32 პროცენტით მოიმატა — იყო 67 მილიონი აშშ დოლარის ოდენობის, ამჟამად 90 მილიონ აშშ დოლარზე მეტია. საქართველოს სტატისტიკა ცოტა განსხვავებულია და 150 მილიონ დოლარს აჩვენებს, რადგან ყაზახეთისა და საქართველოს სტატისტიკის ორგანოებს შეფასების განსხვავებული კრიტერიუმები აქვთ**





**ყაზახეთის საელჩოს თანამშრომლებმა და პირადად ბატონმა ელჩმა ორმხრივ ურთიერთობებში კარგად ჩახედული და ფრიად კეთილგანწყობილი და პოზიტიური ადამიანების შთაბეჭდილება დატოვეს. წარმატებებს ვუსურვებთ მათ საქართველოსთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გაღმავებაში!**

„ასეთი შესანიშნავი საღამო ნიუ-იორკში ჯერ არ მახსოვს... არაჩვეულებრივი იყო რუსიკო თავისი სილაღით, იუმორითა და ბრწყინვალე პოეზიით; გადავსებული დარბაზი, აღფრთოვანებული, თვალზე ცრემლმომდგარი, ერთ სულ და ერთ ხორცად გაერთიანებული მსმენელები სახეებზე აღბეჭდილი ღიმილით, სიხარულით, სიყვარულით. სამწუხაროდ, ასეთი საღამოები, არათუ ნიუ-იორკისთვის, თბილისისთვისაც უკვე იშვიათობაა. არადა, როგორ გვჭირდება... შემდეგი გაჩერება — თბილისი“.



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჩვენი გაზეთის ამ წლის მე-19 ნომერში გამოქვეყნებული ერთი ნოველის („ჰანა“) ნაწყვეტით („აქ, ჩვენთან, ბრაიტონში“) ქართველმა მკითხველმა, შეიძლება ითქვას, დააჭაშნიკა აშშ-ში მოღვაწე ჩვენი თანამემამულის — რუსუდან ჭუბაბრიას შემოქმედება.**

# «ნუღარ ჩაქრები, ილიცლიცე ცადაჭრილ სვეტად»




და აი, 27 მაისს ნიუ-იორკის ქართული კულტურის ცენტრში გაიმართა მისი წიგნების პრეზენტაცია, რომელიც, მხატვრული ლიტერატურის მოყვარული და დამფასებელი ქართული დიასპორის წარმომადგენელთა აზრით, ჭეშმარიტი პოეზიისა და პროზის დემონსტრაცია იყო.

სიტყვით გამოსულებმა აღნიშნეს ქალბატონ რუსუდანის ლირიკული პოეზიის დახვეწილობა და სიკისკასე, ბუნებრიობა და თავისთავადობა. განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო მისმა თარგმანებმა ბრწყინვალე რუსი პოეტების: **ანა ახმატოვას, ნიკოლაი გუმილიოვის, ბელა ახმადულინასა** და სხვების გადმოქართულებულმა შედევრებმა, რომლებიც თარგმანის სანიმუშო მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს.

ნიუ-იორკში მოღვაწე მხატვარმა და მოქანდაკემ **ელისო წიკლაურმა** აღნიშნა: „ასეთი შესანიშნავი საღამო ნიუ-იორკში ჯერ არ მახსოვს... არაჩვეულებრივი იყო რუსიკო თავისი სილაღით, იუმორითა და ბრწყინვალე პოეზიით; გადავსებული დარბაზი, აღფრთოვანებული, თვალზე ცრემლმომდგარი, ერთ სულ და ერთ ხორცად გაერთიანებული მსმენელები სახეებზე აღბეჭდილი ღიმილით, სიხარულით, სიყვარულით.

სამწუხაროდ, ასეთი საღამოები, არათუ ნიუ-იორკისთვის, თბილისისთვისაც უკვე იშვიათობაა. არადა, როგორ გვჭირდება... შემდეგი გაჩერება — თბილისი“.

თბილისში კი რუსუდანის მშობლებმა მილოცვები მიიღეს.

„ცრემლი ვერ შევიკავე, სიხარულის ცრემლი. როგორ იგრძნობა, რომ რუსიკო იქაურებს ძალიან უყვართ. ტექსტიდან პირდაპირ იღვრება თითქოს ეს სიყვარული“, — წერს **მანანა გიგინეიშვილი.**

**შუქია აფრიდონიძე** კი აღნიშნავს: „რა არაჩვეულებრივი საჩუქარი იყო ჩემთვის ამ პრეზენტაციის ჩატარების ამბისა და შემდეგ გამოძახილის გაცნობა. ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანი და თან მრავალფეროვანი წიგნებია. რუსიკო თვითონ არის ნამდვილი ბედის საჩუქარი...“



პრეზენტაციის მონაწილენი, ცენტრში — რუსუდან ჭუბაბრია

**„ჩემი მეგობრები მიგზავნიდნენ სათარგმნად ლექსებს, მიწონებდნენ და მისწორებდნენ, მუხტს მაძლევდნენ, ელოდნენ და, ფაქტობრივად, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ ჩემი მოთხრობებისა თუ ლექსების წერის პროცესში. მათ მიერ ნათქვამ სიტყვას თუ მონათხრობს ზოგჯერ საოცრად შთამბეჭდავი ძალა ჰქონდა და ჩემი გული ტვინთან ერთად დაუყოვნებლივ იწყებდა დუღილს“**

თავად რუსუდანი კი საკუთარ წარმატებას მეგობრებს უმადლის. ერთ-ერთი წიგნის („ლექსებად წაკითხული კარდიოგრამა და გულიდან ამოცვენილი თარგმანები“) შესავალში წერს: „ჩემი მეგობრები მიგზავნიდნენ სათარგმნად ლექსებს, მიწონებდნენ და მისწორებდნენ, მუხტს მაძლევდნენ, ელოდნენ და, ფაქტობრივად, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩემთან ერთად მონაწილეობდნენ ჩემი მოთხრობებისა თუ ლექსების წერის პროცესში. მათ მიერ ნათქვამ სიტყვას თუ მონათხრობს ზოგჯერ საოცრად შთამბეჭდავი ძალა ჰქონდა და ჩემი გული ტვინთან ერთად დაუყოვნებლივ იწყებდა დუღილს“.

ეს მეგობრობაა, რომ აძლებინებს გადახვეწილ ადამიანს უცხოობაში.

ერთ-ერთ ლექსში რუსუდან ჭუბაბრია დუმილის ენაზე საუბრობს:

**ო, რა მსუყეა დუმილის ენა,**
**ენა, რომელიც საფეთქლებს გიმტვრევს,**
**ზიხარ სიჩუმის ქვადქცეულ სვეტში,**
**მალული მზერით დაჰყურებ ციფრებს.**
**ო, რა მკაცრია დუმილის ენა —**
**ტყვიის მარწუხი შუბლზე ძარღვს ხეთქავს,**
**აზრი, სიმივით ბასრი და ცივი,**
**დაჩირქებული თითივით ფეთქავს.**
**ნუთუ გაამტვრევს სულის კარიბჭეს,**
**ნუთუ აქამდე არნათქვამს იტყვის...**
**არა! ავჭედე ყველა სარკმელი!**
**არ მაქვს უფლება არც ერთი სიტყვის!**

და მაინც: თავისი კრებულებით მან თქვა „აქამდე არნათქვამი სიტყვა“.

ბარაქალა მას!

„ნუღარ ჩაქრები, ილიცლიცე!“

**არმაზ სანებლიძე**

# «თალიბანის» ლიდერი: უცხო ქვეყნების ჯარები დამარცხებისთვის არიან განწირულნი



**„თალიბანის“ ლიდერმა ჰაიბატულა ახუნძადამ უარყო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია. ამის თაობაზე წერს Al Jazeera.**

თალიბანის ლიდერი ირწმუნება, რომ უცხო ქვეყნების ჯარები „განწირული არიან დამარცხებისთვის“.

„არავის უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ წყალს გადავასხამთ და ჩავაქრობთ ჯიჰადის ფრონტებზე აგიზგიზებულ ცეცხლს ან დავივიწყებთ ჩვენ მიერ 40 წლის განმავლობაში გაღებულ მსხვერპლს, სანამ მიზანს არ მივაღწევთ. „თალიბანის“ ბრძოლა ოკუპაციის წინააღმდეგ წარმატების ეტაპს უახლოვდება“, — ნათქვამია ახუნძადას განცხადებაში.

„თალიბანი“ ავღანეთის ტერიტორიის დიდ ნაწილს 1996-2001 წლებში მართავდა.

დაჯგუფების მმართველობა ავღანეთში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დასრულდა, მაშინ, როდესაც აშშ-მა ძალისხმევა ავღანეთისკენ მიმართა.

# კიბოს საწინააღმდეგო პირველი ანტიბიოტიკი

**მეცნიერებმა გამოიგონეს ახალი ანტიბიოტიკი კედარციდინი, რომელსაც ბაქტერიისა და კიბოს უჯრედების დნმ-ის განადგურება შეუძლია. აღნიშნული ანტიბიოტიკი ბრიტანეთის ლინკოლნისა და ტოკიოს უნივერსიტეტების მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა გამოიგონა. მასალა 30 წლის წინათ ბუნებრივი გზით აღმოაჩინეს ინდოეთში.**

ნიადაგიდან ამოღებულმა კედარციდინის პროტოტიპმა ნივთიერებამ კვლევისას კიბოს საწინააღმდეგო და ანტიბაქტერიული თვისებები გამოავლინა. მას აქვს რთული მოლეკულური სტრუქტურა. ის ახლახან გააანალიზეს და მიღებული მონაცემების საფუძველზე მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კიბოს საწინააღმდეგო ანტიბიოტიკის შემუშავებას შეძლებდნენ.

კედარციდინს აქვს მაღალი ბიოლოგიური აქტივობა, რაც კიბოს უჯრედების დნმ-ის დაშლის, მათი შემდგომი ზრდისა და განვითარების შეწყვეტის საშუალებას იძლევა.

კედარციდინის გამოჩენით, შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ახალი თაობის ანტიბიოტიკების ხანა იწყება.



# ესტონეთი 2014 წლის შემდეგ პირველად მონაწილეობს პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმში

**ესტონეთი მონაწილეობას მიიღებს პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში, ქვეყანას წარადგენს ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ტაავი აასი. ამის თაობაზე წერს გაზეთი Postimees-ი.**

წერილში ნათქვამია, რომ ესტონეთის ეკონომიკის მინისტრის წინადადება პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში მონაწილეობის თაობაზე რუსეთმა თებერვალში მიიღო, როცა ამ პოსტს ყოფილი მთავრობის წევრი **კადრი სიმსონი** იკავებდა. ადრე აასმა მოითხოვა, პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ჩარჩოებში შეხვედროდა რუსეთის ტრანსპორტის მინისტრ **ევგენი დიტრიხს.** აასმა წამოაყენა რკინიგზის საკითხებში თანამშრომლობის წინადადება, აგრეთვე, დამატებითი სატრანზიტო ტვირთნაკადების მოზიდვის თაობაზე.

აასისა და დიტრიხის შეხვედრა 6 ივნისს გაიმართება.



აღსანიშნავია, რომ ესტონელი მინისტრი ბოლოს 2013 წელს ესწრებოდა პეტერბურგის ეკონომიკურ ფორუმს, 2014 წლიდან კი ესტონელმა ბიზნესმენებმა და პოლიტიკოსებმა ფორუმს ბოიკოტი გამოუცხადეს.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ლიბერალურ ღირებულებათა საქართველოში შემოტანა და დამკვიდრება მნიშვნელოვანწილად ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელებთანაა დაკავშირებული. მათი ძალისხმევა ქართული აზროვნებისა და პოლიტიკური კულტურის ევროპეიზაციისაკენ იყო მიმართული. თერგდალეულები გზას უკაფავდნენ დასავლურ მოწინავე შეხედულებებს, ცდილობდნენ, შეემზადებინათ მათთვის ქართული ნიადაგი და ქართველი ერი თვითიზოლაციიდან პროგრესის ფართო ასპარეზზე გაეყვანათ.

# ილია: ძნელი საქმეა, როცა კაცი ლიბერალობს და არ იცის-კი ცნობა აზრისა, თუ ქვეშ არ უწერია, ეს აზრი ამა და ამ ფერისააო

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

**თერგდალეულებს არ შეუქმნიათ თეორიული ტრაქტატები, მათ ცალკე კონკრეტული წერილიც კი არ მიუძღვნიათ ლიბერალიზმის იდეოლოგიისადმი, მაგრამ ისინი კარგად გაერკვნენ ამ იდეოლოგიის არსში, ჩასწვდნენ მის სულს და ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპები საქართველოს სპეციფიკას მიუსადაგეს.**

ეროვნული იდეოლოგიის პარალელურად, ისინი საქართველოში ლიბერალიზმის იმ პრინციპებს ამკვიდრებდნენ, რომლებიც, მათი აზრით, ხელს შეუწყობდა ერის წინსვლას.

როდესაც ამ საკითხზე ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ ვაჟა-ფშაველას „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი". „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია", — წერდა ვაჟა-ფშაველა და დასძენდა: „ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს, ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო".

„ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა", ხაზს უსვამდა ვაჟა-ფშაველა.

ლიბერალურ ღირებულებათა საქართველოში შემოტანა და დამკვიდრება მნიშვნელოვანწილად ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ნიკო ნიკოლაძის სახელებთანაა დაკავშირებული. მათი ძალისხმევა ქართული აზროვნებისა და პოლიტიკური კულტურის ევროპეიზაციისაკენ იყო მიმართული. თერგდალეულები გზას უკაფავდნენ დასავლურ მოწინავე შეხედულებებს, ცდილობდნენ, შეემზადებინათ მათთვის ქართული ნიადაგი და ქართველი ერი თვითიზოლაციიდან პროგრესის ფართო ასპარეზზე გაეყვანათ.

საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, ანუ, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა, „საკუთარი თავის მოიმედობა" — აი რა გვაკლია დღეს ჩვენ.


ძეგლი „თერგდალეულები" მეგობრობის გზაზე

## «საკუთარი თავის მოიმედობა» — აი რა გვაკლია დღეს ჩვენ

ნიკო ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ევროპული პრაგმატიზმისა და საქმიანობის, ევროპული პოლიტიკური რეალიზმის, ევროპული განათლების, ტექნიკისა და კულტურის საქართველოში დანერგვა ჯერ კიდევ 1870-იან წლებში დაიწყო. ილია ჭავჭავაძეს კი შესანიშნავად ესმოდა, რომ თავისუფლება, როგორც ეროვნული ბედნიერების წინაპირობა, მსხვერპლის გარეშე წარმოუდგენელია („თავისუფლების მშოვნელი ამქვეყნად მხოლოდ თოფია"), მაგრამ იმასაც ითვალისწინებდა, რომ გამუდმებული აჯანყებები ერს ღონეს აცლიდა და მის მომავალს უნუგეშოს ხდიდა. ამიტომაც ილიამ და თერგდალეულებმა გეზი მშვიდობიანი ბრძოლაზე აიღეს, რომლის იარაღად ცოდნა და განათლება დაიგულეს. „ომი უბედურებაა, ომი დამთქმელია ადამიანის სიცოცხლისა, ადამიანის ღვაწლისა, მონაგარისა" და რომ „მორიგებით, მშვიდობიანობით საქმის გათავება, რასაკვირველია, ყოველთვის კარგია"(ილია ჭავჭავაძე).

ამდენად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თერგდალეულთა მშვიდობიანი ბრძოლის ტაქტიკა სრულად პასუხობს ლიბერალიზმის თეორიულ პოსტულატებს და მის კონცეფციაში თავსდება.

ლიბერალურ აზროვნებას შეესაბამება ასევე წოდებათა შერიგებისა და თანხმობის, ყველა საზოგადოებრივ ძალთა გაერთიანების ილია ჭავჭავაძისეული შეხედულება, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაში „საერთო ნიადაგის" თეორიის სახელწოდებითაა ცნობილი. აზრი იმის შესახებ, რომ „საერთო ნიადაგის" თეორია არსობრივად „ლიბერალ-რადიკალურია", ჯერ კიდევ არჩილ ჯორჯაძემ გამოთქვა 1901 წელს ჟურნალ „მოამბეში" გამოქვეყნებულ სტატიაში „პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე". „საერთო ნიადაგის" თეორია კონსერვატიულ-ტრადიციონალისტურ საფუძველზე დგას, შენობა კი მთლიანად ლიბერალურია".

თერგდალეულებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ადამიანის უფლებები. მათი აზრით, ადამიანის უფლებები საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან მუდმივი ზრუნვისა და დაცვის საგანი უნდა იყოს. ილია ჭავჭავაძე ამ საკითხს სულაც კაცობრიობის პროგრესს უკავშირებდა: **„რა არის მთელი პროგრესი კაცობრიობისა, თუ არა ის, რომ ადამიანის პიროვნება, ადამიანის სინდისი, ყოფა-ცხოვრება, — უსაბუთოდ, უსაფუძვლოდ არავისაგან ხელშეხებული არ იყოს, არავისაგან შემწიკვლულ, შეგინებულ, შევიწროებულ".** კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო, ნათქვამია. ხელშეუხებლობაში ილია რომ ათასგვარი გარყვნილებისა და ცხოვრებისეული ანომალიის დამკვიდრებისთვის ხელის არშეშლას არ გულისხმობდა, ცხადია. ის ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რომ დადგებოდა დრო და მის სამშობლოში თავს წამოყოფდნენ ლგბტ თემის წარმომადგენლები, რომლებიც თავიანთი გაუკუღმართებული ცხოვრების წესის ნორმად გამოცხადებას მოითხოვდნენ და იმდენად გათავხედდებოდნენ, რომ ქალის ქალზე და კაცის კაცზე დაქორწინების წინააღმდეგ გამოსვლას ადამიანის უფლებების შელახვად გამოაცხადებდნენ და მთელ „ლიბერალურ" მსოფლიოს მოგვისევდნენ დასამუნათებლად: აი რა ბნელი ხალხია საქართველოში, უფლებებს გვიზღუდავენო...

სწორედ აქ უნდა გავუსვათ ხაზი ადამიანის ღირსების საკითხს, რომელიც თერგდალეულთა ნააზრევში განსაკუთრებითაა გამოკვეთილი, და რომელიც „ჭეშმარიტ ლიბერალობას ... დიდი ასოებითაა აქვს დაწერილი თავის დროშაზედ" (ილია). ილია „კაცებურის ღირსების გრძნობას" „ღვთაებრივ გრძნობას", „ადამიანთათვის მომადლებულ საუნჯეს" უწოდებდა, მასვე ადამიანის ღირსება „ზნეობით კუთვნილებად" მიაჩნდა და მოითხოვდა, რომ იგი „ღრმად პატივცემული" ყოფილიყო. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ თერგდალეულები ადამიანის უფლებებს ყოველთვის მოვალეობასთან კავშირში განიხილავდნენ, ამ კუთხით ილია ჭავჭავაძის აზრი ასეთია: **„მოვალეობის გარეშე უფლება არ არსებობს, ხოლო მოვალეობა ისაა, რომ პატივი სცე, დაიცვა კიდეც სხვისი უფლება და არ დაარღვიო იგი".**

ლიბერალურ თეორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ინდივიდუალიზმს, რომელიც პიროვნების პირად დამოუკიდებლობას, თვითდამკვიდრებას გულისხმობს და ნებისმიერი სოციალური ჯგუფის ან კოლექტივის წინაშე მის უზენაესობას აღიარებს. ინდივიდუალიზმი ადამიანთა საყოველთაო თანასწორობას ემყარება, ხოლო პიროვნული თავისუფლება ადამიანური ღირსების გარანტიაა.

ილია ჭავჭავაძეს თანასწორობა იმ საჯარო უფლებად მიაჩნდა, რომელიც ყველას კუთვნილი და ყველასათვის ერთნაირად ძვირფასია. **„თანასწორობა ...სულია და გული ყოველის წყობისა"**, — წერდა იგი. ძმობას, ერთობასა და თანასწორობას შეტრფოდა აკაკი წერეთელი,ც ასევე, თანასწორობის უფლებას იცავდა ნიკო ნიკოლაძეც, რომელიც ბევრს წერდა და ქადაგებდა „ლიბერალურ პრინციპთა ფარგლებში" (ჯორჯაძე).

თერგდალეულთა სხვა ნააზრევიდან, რომელიც ასევე „ლიბერალიზმის საკვებით საზრდოობს", ერთ-ერთი საკუთარი შესაძლებლობების რწმენაა, ანუ, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა: „საკუთარი თავის მოიმედობა". ამ უაღრესად საგულისხმო პრინციპს თერგდალეულები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, რომ პირად ინიციატივას, საკუთარი უნარის, ნიჭისა და თვითმოქმედების გამოვლენას ქვეყნის წინსვლა-განვითარების პირობად სახავდნენ და არა ცალკეულ პიროვნებებს, არამედ მთელ ერს მოქალაქეობრივი აქტივობისაკენ მოუწოდებდნენ. **„ჩვენი ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ", „ჩვენს გარეშე ჩვენი ხსნა სიზმარია"** — მოძღვრავდა ქართველ ერს ილია ჭავჭავაძე. **„ხალხი უნდა გამოფხიზლდეს, წელში გამაგრდეს, გონებრივად და ქონებრივად მოღონიერდეს და თვითონ გახდეს თავის ბატონ-პატრონი"**, — ასეთი იყო აკაკის შეხედულება.

ნიკო ნიკოლაძეს თავისუფლება ადამიანის უზენაეს ბედნიერებად მიაჩნდა; მისთვის თავშეწირვა, სიცოცხლის დათმობა, უკომპრომისო ბრძოლა კაცობრიობის ისტორიის ანბანად ესახებოდა. ამ თავისუფლების მოპოვებისთვის მან პირველი დემოკრატიული საქართველოს დასამკვიდრებლად 1918-21 წლებში ბევრი რამ გააკეთა და ეკონომიკური პროგრამის შემქმნელადაც მოგვევლინა.

მრავალი ათეული წლის წინათ დაწერილი ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა დიდი ინტერესით იკითხება დღესაც, რადგან პრობლემები არ დაძველებულა, მისი დასკვნები კი ეხმიანება დღევანდელობას. მის სიტყვას ჟანგი არ მოსდებია...

ნიკო ნიკოლაძეს უპირველეს იდეოლოგიურ ამოცანად მიაჩნდა იმის გარკვევა, თუ რა გზა და მიმართულება უნდა აირჩიოს ერმა სამომავლო ცხოვრებისა და სახელმწიფოებრიობის მოსაწყობად: **„როგორც ჭკვიანი ირჩევს ტანსაცმელს, მას რა მოერგება და მოუხდება საკუთარი სხეულის, აღნაგობის გათვალისწინებით, ასევე უნდა მოიქცეს ერი ამა თუ იმ მოძღვრების არჩევისას. ჯერ ერთი, თუ შეუძლია, ის მოძღვრება, რაც მას სჭირდება, მან თვითონვე უნდა შექმნას. მეორეც, თუ ამისათვის ჭკუა-გონება არ ყოფნის და აუცილებლად სხვას უნდა დაესესხოს, მაშინ ის უნდა აიღოს, რაც მას უეჭველად გამოადგება, თუმცა ამასაც დიდი გონიერება სჭირდება".**

ნიკო ნიკოლაძე მაინც განვითარების ეროვნული მოდელის შექმნას უჭერდა მხარს, უცხოური დადებითი გამოცდილების გამოყენების გათვალისწინებით, და თვლიდა, რომ ეს მოდელი ჩვენვე უნდა შეგვემუშავებინა ▶

**„გასაგებია ისეთი საზოგადოების მავნებლობა, — წერდა ნიკო ნიკოლაძე, – სადაც თქვენს აზრებს ბრმად იმეორებენ და სადაც კრიტიკული დამოკიდებულების ნაცვლად ხოტბას გასხამენ. ასეთ ვითარებაში ადამიანის გონებას ეუფლება ძილი და იგი სულ უფრო ნაკლებს მუშაობს საკუთარ თავზე“.**

საკითხავი აი ეს არის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«პოლიტიკა ახალმოდური შლიაპკა კი არ არის, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება»**

და არა უცხოელს — ქართული სპეციფიკის და რეალობის არმცოდნეს, რომელსაც შეუძლებელია ჩვენი ქვეყნისთვის ზუსტად მისადაგებული განვითარების რეცეპტი მოენახა: **„ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისთვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ, დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისინიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებენ და არა ადამიანისას? უცხოელი ძიძა, რაგინდ სალი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს“.**

ნიკო ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ „ქართველობის მიზნები მარტო ზომიერების გზით მიიღწევნება“ და რომ გადაჭარბებული რადიკალიზმი დამღუპველი იყო და იქნება ქვეყნისთვის. როგორც ჩანს, ნიკო ნიკოლაძეს ჯერ კიდევ ერთი საუკუნის უკან ჰქონდა სწორი პასუხი იმ კითხვაზე, თუ რომელი საქმეების მოგვარებაა ქვეყნისათვის პირველ რიგში პრიორიტეტული – შინაგანი თუ გარეგანი საქმეების: **„მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება, — წერდა იგი, — უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ უშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენ შინაგან წესებს არ ავიყვანთ საგარეო დიდების სიმაღლეზე, თუკი ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნილებებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას, შევუქმნით ჩვენს თავს მრავალ ხელოვნურ სიძნელეს, მაშინ ეს გარემოება ადრე თუ გვიან სამხედრო წარმატებებზეც კი უდაოდ დამასუსტებელ გავლენას იქონიებს“.**

აანალიზებდა რა ჩვენი ქვეყნის რთულ და მძიმე ისტორიულ წარსულს და თანამედროვეობას, ნ. ნიკოლაძე მიიჩნევდა, რომ „უცხოეთლების შემოსევის გარდა ჩვენი ხალხი მისმა შინაგანმა განწყობილებამ და მდგომარეობამ დაასუსტა, დააუძლურა“ – ერთმანეთის მტრობამ და გაუტანლობამ, წინდაუხედაობამ, სახელმწიფოებრიობის დაკარგვამ და სხვათა ბრმა წაბაძვამ; ქართული ზნეობისა და ცხოვრების წესის უკუგდება, ყოველივე უცხოურის უკრიტიკოდ და უნიადაგოდ მიღების ხარჯზე მას დაუშვებლად მიაჩნდა.

საქართველომ რომ დამოუკიდებლობა მოიპოვოს, აუცილებელია, ის ჯერ ეკონომიკურად აღორძინდეს. აღორძინების უმთავრეს პირობად კი ნიკო ნიკოლაძეს თავაულებელი შრომა, სწავლა და თვითგანვითარება მიაჩნია. იგი თვლიდა, რომ **„სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება“.**

ქვეყნის ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი აღორძინების პროცესში ნიკო ნიკოლაძეს ასევე აუცილებლად მიაჩნდა სხვისი მოიმედეობის, იოლი გამდიდრების სურვილის დაძლევა, რომელიც მაშინაც გამეფებული იყო ქვეყანაში და ახლაც ასეა. „ჩვენს საზოგადოებაში, — წერდა იგი, — ყველა დარწმუნებულია, რომ შველა ჩვენ ერთს მშვენიერს დილას ჩამოგვიფრინდება ისე, რომ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის“. ამიტომ ნიკო ნიკოლაძე საკუთარი რესურსებითა და შრომით ქვეყნის განვითარების აუცილებლობაზე საუბრობდა და არა მხოლოდ უცხოელთა ფინანსურ და ეკონომიკურ დახმარებაზე, რომელსაც ყოველთვის თან ახლავს ანგარება: **„ჯერ არსად, არც ერთს ქვეყანაში მაგალითი არ უნახავს კაცს, რომ რომელიმე ხალხი, ან საზოგადოება ამაღლებულიყოს სხვისი დახმარებით, თუ არა საკუთარი შრომით და ჯანით. ადვილად შენაძენი, ნაპოვნი, ნაჩუქარი არც კერძო კაცს დააყრის ხეირს, არც მთელს საზოგადოებას, კაცისათვის და ქვეყნისათვის მარტო ის არის გამოსადეგი და ძვირფასი, რაც იმას თავისი საკუთარი შრომით, ოფლისღვრით და ბრძოლით შეუძენია? ნაპოვნი და ნაწყალობევი კი, თითქმის ყოველთვის, ისევ ისე ადვილად იკარგება, როგორც ადვილად ნაშოვნი იყო“.**

დასკვნა კი ასეთია: **„ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისთვის ვიზრუნოთ მარტო თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიმუშაოთ, მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც“**, ხოლო, თუ კვლავ სხვისი დახმარების მოიმედე ვიქნებით და ხელს და ჭკუას არ გავანძრევთ, მაშინ პერსპექტივა ძალზე არასახარბიელო იქნება: „ევროპის სახელმწიფოები საქართველოს ან ალჟირივით დაიმონებენ, ანდა ინდოჩინეთივით ძარცვას დაუწყებენ“.

თერგდალეულებს მიაჩნდათ, რომ ყოველი ქვეყნის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წეს-წყობილება ეროვნული ტრადიციების, ეროვნული ფსიქიკის, ზნე-ხასიათისა და გეოგრაფიული მდებარეობის შესატყვისად უნდა მოწყობილიყო. ნიკოლაძე წერდა: „ყველა ხალხს საკუთარი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს, რომ რუსს ვერავინ გაანემეცებს, ქართველს ვერაკაცი გაარუსებს. შესაძლებელია ქართველს ჩოხის მაგიერ ზიპუნი ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ შაპკა დაახურო, ქალამნის მაგიერ — წაღა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც ქართველის დარჩება და როცა ამ ბუნებას ძალას დაატან, როცა მოინდომებ, რომ რუსმა ფრანცუზსავით იხტუნოს, ან ნემეცსავით იშრომოს, ან ქართველმა რუსსავით გეყმოს, მაშინ ხიფათს შეეყრები, საქმეს წაიხდენ, ქვეყანას ავნებ“.

„მე დამივლია მთელი ევროპა, — წერდა ნ. ნიკოლაძე – და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა“.

ნიკო ნიკოლაძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკურ ლიდერთა ტიპებს და მოგვცა კიდეც მათი კლასიფიკაცია. „იქ, სადაც ყველაფერი მარტო ერთ კაცზე ტრიალებს და არა დაწესებულებაზე, — წერდა იგი, — ის კაციც ნელ-ნელა იმ შეხედულებას იღებს, რომ მე ვარ, სხვა არავინაო, ყველა მე უნდა მემსახუროს და არა ქვეყანასაო. ქვეყნის, ერის იდეალის სხენება თანდათან ქრება დიდში და პატარაში. დესპოტის სამსახური და ქვეყნის და იდეალის სამსახური, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“.

ნიკო ნიკოლაძე მიუთითებს, რომ „ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთავარ როლს ჩვეულებრივ ორი ტიპის მოღვაწენი ასრულებენ ხოლმე: ფანატიკოსები და მოანგარეები? რას ვხედავთ ამ მხრივ ჩვენში? საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მომზადებული ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობისათვის საჭირო ცოდნითა და ნიჭით იყვნენ აღჭურვილნი, ჩვენში ძლიერ ცოტაა. კიდევ უფრო ნაკლებად გვყვანან ფანატიკოსები, რომლებიც იკისრებდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა რკინის ბორკილების ტარებას? უფრო მეტი რაოდენობით გვაყვანან სავსებით მოუმზადებელნი პირნი, რომლებსაც ბრწყინვალე საზოგადოებრივი მდგომარეობის უზომო მადა აქვთ, მაგრამ სრულიადაც არ გააჩნიათ არც მშვიდი ანგარიშიანობა, არც გამძლეობა, არც უნარი, რომ საკუთარი ძალ-ღონით და მეტნაკლებად რიგიანი საზოგადო საშუალებებით მიაღწიონ თავიანთ მიზანს და რაკი სხვა ტიპის საზოგადო მოღვაწენი ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ ბურთი და მოედანი რჩება ხოლმე ამ ორ ტიპს — სათნო აზიზ-მაზიზებს, ერთი მხრივ, და არაკეთილსინდისიერ ინტრიგანებსა და მოანგარეებს — მეორეს მხრივ“.

თითქოს დღევანდელობის სარკეა ნიკოლაძის სიტყვები: **„მოდიოდნენ ჩვენში მეთავურად ვიღაც სრულიად უცნობი და უზრდელი კინტოები. არავინ იცოდა, თუ ვინ იყვნენ, საიდან მოსული, რა რჯულის ან რა აზრის, სახელი რა ერქვათ, გვარი მათი რა იყო, როგორი წარსული ჰქონდათ: „ამბოხება დავიწყოთო!“ — დაიძახებდნენ და ყველა მათ გაჰყვებოდა, თითქოს თხას — ცხვრის ფარა. ჭკუაში არავის მოსვლია, მოეთხოვა მათგან ახსნა ან ცოდნა, ან სიმტკიცე. იფარფაშებდნენ, სანამ გასაჭირი არ მოახლოვდებოდა, და მაშინ კი მოქუსლავდნენ და გაჰქრებოდნენ: გინახავთ სადმე სხვა ერი, ასე მჩატედ რომ გაჰყოლოდეს პროვოკატორს?“**

ასეთი „ლიდერებისა“ და „მოღვაწეების“ ჩამოყალიბებაში ნეგატიურ როლს ჩვენი საზოგადოებაც ასრულებდა პირმოთნეობითა და მლიქვნელობით. „გასაგებია ისეთი საზოგადოების მავნებლობა, — წერდა ნიკო ნიკოლაძე, — სადაც თქვენს აზრებს ბრმად იმეორებენ და სადაც კრიტიკული დამოკიდებულების ნაცვლად ხოტბას გასხამენ. ასეთ ვითარებაში ადამიანის გონებას ეუფლება ძილი და იგი სულ უფრო ნაკლებს მუშაობს საკუთარ თავზე“. „პოლიტიკა ახალმოდური შლიაპკა კი არ არის, რომლის ცვლა ჩვენს ქეიფზე ჰკიდია, ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, სარწმუნოება“.

**«ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისთვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ, დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ. ისინიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებენ და არა ადამიანისას. უცხოელი ძიძა, რაგინდ სალი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს»**

როგორი ადამიანი სჭირდება ახალ დროს? ვინ უნდა აღზარდოს საზოგადოებამ?

„დროა შეიგნონ, რომ პატრიოსნება, გულწრფელობა, გატაცება, ერთგულება, მაგრამ არა ოქროსადმი, არამედ კაცობრიობის მაღალი იდეალებისადმი დანაშაული კი არა, არამედ აუცილებელი ძალაა სახელმწიფოსათვის, სასარგებლო საქმეა ხალხის განვითარებისათვის. დამიჯერეთ, რომ ის, ვინც ყველაზე მაღლა ამ ქვეყნად საკუთარი ჯიბის ინტერესებს აყენებს, თუ დასჭირდა, თქვენს საკუთარ ინტერესებზე მაღლა დააყენებს მას? ანგარებიანი ადამიანები იმითაც არიან მავნებლობის მომტანი, რომ ისინი უსარგებლონი არიან“(ნიკოლაძე).

საზოგადოება უნდა განათლდეს, აღიზარდოს! მაგრამ, როგორც ნ. ნიკოლაძე „კალმის კაპრიზებში“ აღნიშნავს, **დრომ საზოგადოებაში ისეთი ტიპები წარმოშვა, რომლებმაც საქმე არ იცოდნენ, მაგრამ უფროსის ხელის ლოკვით მუდამ მყარად გრძნობდნენ თავს; „**მისი აღმაშფოთებელი უმეცრება ყველას თვალში ხვდებოდა, მალე ცხადი შეიქნა, რომ მან იმ საქმის ანა-ბანაც კი არ იცოდა, რომელსაც ხელი მოჰკიდა, როგორც შემოსავლიან ხელობას“. სახელმწიფო სამსახურში მყოფ ასეთ ადამიანთან „ვერც ერთი პატიოსანი ადამიანი ვერ ჩერდებოდა. იგი თავის გარშემო თავს უყრიდა ფავორიტებს, რომლებიც პირში ეფერებოდნენ, მის მდგომარეობას იყენებდნენ და ყაჩაღურად იქცეოდნენ“.

რა ნაცნობი სურათია, არა?

მაგრამ პირდაღებული არ შეიძლება შეაჩერდე მომავალს. საკუთარი ძალის იმედით მომავლისთვის ბრძოლა, საკუთარი შრომით, ოფლისღვრით ხვალინდელი დღის გათენება, მიღწეულით დაუკმაყოფილებლობა! — აი რა გვმართებს, რადგან „ნაპოვნი და ნაწყალობები კი, თითქმის ყოველთვის, ისევ ისე ადვილად იკარგება, როგორც ადვილად ნაპოვნი იყო“. „თუ ჩვენ დოყლაპიასავით პირდაღებული სხვის შემწეობას შევაჩერდებით, მაშინ ამ მონიჭებულსაც ჩვენ სხვა ვინმე მეზობელი, ჩვენზე უფრო ჭკვიანი და მოხერხებული, ხელიდან გამოგვტაცებს და თავისთვის მოიხმარს“, — ამაზე უკეთ და მარტივად ამ ჭეშმარიტების პირში თქმა შეუძლებელია. უსმინეთ დიდ ნიკოს!

კიდევ ერთი სენი ჩვენში, რომელზეც ნიკო ნიკოლაძე დიდი გულისტკივილით საუბრობს, უსინდისობაა, არაპროფესიონალიზმი. „ყასბობას არ იკისრებს მავანი, — წერდა ნიკო ნიკოლაძე, — გაწრთვნილი არ ვარ, შეიძლება ტყავი დავაზიანო და დრო დაგაკარგვინოთო, მაგრამ იგი მზადაა, იკისროს მსაჯულის, ბანკირის, ქალაქის მმართველის, მოკლედ, ხელმძღვანელის როლი, რასაც ასჯერ მეტი ცოდნა-გამოცდილება სჭირდება, **საკვირველი ისაა, — გულნატკენი გვამცნობს პუბლიცისტი, — რომ კაცი არ გამოჩენილა ჩვენში, რომელსაც სინდისი გაღვიძებოდეს ამგვარი თანამდებობის ძიების დროს და ეთქვას: რადგან მე სრულიად არაფერი მისწავლია ამ თანამდებობისა, მე მისი აღსრულება არ შემიძლიან და სჯობს მასზე უარი ვთქვაო“.**

**არც დღეს არ ჩანან მსგავსი კაცები, სინდისის კარნახით უარს რომ ამბობენ შეთავაზებულ თანამდებობაზე...**

ილიას სიტყვებს მოვიშველიებ იმ განცდის გადმოსაცემად, რომელიც, შეიძლება კი არა, აუცილებლად გაუჩნდება ჩემს მკითხველს: „რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოჰ, როდემდის, როდემდის?... ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!“

**ადამიანის ღირსების საკითხი «ჭეშმარიტ ლიბერალობას დიდი ასოებითაა აქვს დაწერილი თავის დროშაზედ»... ილია «კაცებურის ღირსების გრძნობას» «ღვთაებრივ გრძნობას», «ადამიანთათვის მომადლებულ საუნჯეს» უწოდებდა, მასვე ადამიანის ღირსება «ზნეობით კუთვნილებად» მიაჩნდა და მოითხოვდა, რომ იგი «ღრმად პატივცემული» ყოფილიყო**

ეს უნდა ვიცოდეთ

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ᲐᲦᲕᲡᲘᲚᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲗ, ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲗ, ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲐᲕᲘᲗ, ᲡᲐᲕᲡᲔᲜᲘ ᲨᲣᲠᲘᲗ, ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲨᲣᲦᲚᲘᲗ, ᲕᲔᲠᲐᲒᲝᲑᲘᲗ, ᲣᲖᲜᲔᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲑᲔᲖᲦᲐᲠᲝᲑᲘᲗ. ᲪᲘᲚᲘᲡᲛᲬᲐᲛᲔᲑᲔᲚᲜᲘ, ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲫᲣᲚᲔᲜᲘ, ᲨᲔᲣᲠᲐᲪᲮᲛᲧᲝᲤᲔᲚᲜᲘ, ᲐᲛᲞᲐᲠᲢᲐᲕᲐᲜᲜᲘ, ᲛᲙᲕᲔᲮᲐᲠᲜᲘ, ᲑᲝᲠᲝᲢᲒᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲜᲘ, ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲩᲜᲘ.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ასზე მეტი ამერიკელი მღვდელი ბავშვების მიმართ ძალადობაშია ეჭვმიტანილი

**ნიუ-იორკის რომაულ-კათოლიკურმა ეპარქიამ თავის საიტზე გამოაქვეყნა 120-ზე მეტი ღვთისმსახურის სია, რომლებიც, სავარაუდოდ, არასრულწლოვნებზე სექსუალურად ძალადობდნენ, ასევე, ინახავდნენ ბავშვთა პორნოგრაფიას. შერიგებისა და კომპენსაციის დამოუკიდებელ პროგრამას უკვე წარუდგინეს პრეტენზიები ეპისკოპოსების, მღვდლებისა და დიაკვნების წინააღმდეგ, მაგრამ მათი ბრალეულობა ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის.**

სიაში მხოლოდ არქიეპარქიის წევრების სახელებია შეტანილი. ჩამონათვალში არ შეუტანიათ იმ ღვთისმსახურების სახელები, რომლებიც სხვა ორდენების ან რელიგიური ინსტიტუტების წევრები არიან. ამასთანავე, ეჭვმიტანილებს ან უკვე ჩამოერთვათ წოდება, ან აეკრძალათ მსახურება. ზოგიერთი გარდაცვლილია.

მარტის ბოლოს ასეთივე ეჭვი გაუჩნდათ ილინოისის შტატის 400 ღვთისმსახურის მიმართ. მოხსენება გვარების ჩამოთვლით გამოაქვეყნა იურიდიულმა ფირმა „ჯეფ ანდერსონმა და ასოციაციამ“. ვატიკანში კი ეჭვი მიიტანეს კარდინალზე. ბავშვებზე ძალადობის ბრალდებით იგი თანამდებობიდან მოხსნეს.

## პარალიზებულ კაცს ევთანაზიის ნება დართეს მშობლების ნების საწინააღმდეგოდ

**საფრანგეთის ქალაქ რეიმსში დაიწყო ვენსან ლამბერის ევთანაზიის პროცესი, რომელიც ავტოკატასტროფის შემდეგ ათი წლის განმავლობაში ვეგეტატიურ მდგომარეობაში იმყოფება.**



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლამბერს შეუწყვეტენ კვებას, არ დაალევინებენ წყალს. პალიატიური დახმარების ექიმის აზრით, პაციენტი თანდათან გარდაიცვლება.

„სიკვდილის უფლების“ კანონის თანახმად, რომელიც საფრანგეთში მოქმედებს, ლამბერის ცოლმა და რამდენიმე ნათესავმა გადაწყვიტეს, შეეწყვიტათ მისი სიცოცხლის ხელოვნურად გახანგრძლივების პროცესი. ეს გადაწყვეტილება მოიწონა ქვეყნის სახელმწიფო საბჭომ, მაგრამ ავადმყოფის მშობლები არ დაეთანხმნენ და თავიანთი პოზიცია რელიგიური მიზეზებით დაასაბუთეს.

კამათმა ლამბერის ნათესავები ევროპულ სასამართლომდე მიიყვანა, რომელმაც 2015 წელს მხარი დაუჭირა საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებას. აპელაციებმა შედეგი ვერ გამოიღო.

2018 წლის 20 თებერვალს ბელგიაში ექიმებმა პირველად განახორციელეს ევთანაზია ავადმყოფის თხოვნის გარეშე, ანუ მოკლეს იგი. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც ექიმმა **ვილემ დისტელმანსმა** თავისი ღია წერილი გამოაქვეყნა. მისი თქმით, პაციენტი პარკინსონის დაავადებით იტანჯებოდა, პრაქტიკულად გათიშული იყო, ვერ აცნობიერებდა, რა ხდებოდა მის გარშემო. ევთანაზია ნათესავებმა მოითხოვეს, ექიმებმა კი მხარი დაუჭირეს.



# ნეოლიბერალური ზნეობა

## ამერიკელები განგაშს ტეხენ

### 40 ფაქტი, რომლებიც ამტკიცებს, რომ ამერიკის მორალური კრახი კონტროლს აღარ ექვემდებარება



1. ამერიკაში მოკლეს 60 მილიონი ბავშვი მას შემდეგ, რაც 1973 წელს მიიღეს გადაწყვეტილება საქმეზე **როუ უეიდის** წინააღმდეგ. ფედერალური მთავრობა მხარს უჭერს ამ საქმიანობას ქვეყანაში აბორტის ინდუსტრიის მნიშვნელოვანი დაფინანსებით. აბორტმახერები და მათთან გარიგებული მაფია გარდაცვლილი ბავშვების ორგანოებით ვაჭრობენ. პარალელურად მსჯელობენ ამოკვეთილი ორგანოების გამოყენების პრობლემაზე.

2. Quinnipiac Unicersity-ის გამოკვლევის თანახმად, რომელიც შარშან ჩატარდა, ამერიკელების 63 პროცენტს სურს, რომ აბორტებთან დაკავშირებული ვითარება ქვეყანაში უცვლელად დარჩეს.

3. ამერიკა მსოფლიოში ლიდერობს სექსუალური გარყვნილების კუთხით.

4. ამერიკელები ამჟამად ოპიოდების გადამეტებული დოზის მიღებით უფრო ხშირად იღუპებიან, ვიდრე ავტოავარიების შედეგად.

5. ქალაქ ბალტიმორში ყოველი მეოთხე ბავშვი ოპიოიდ ნარკომანად იბადება.

6. ნარკოტიკების გადამეტებული დოზით მიღება 50 წლამდელი ამერიკელების გარდაცვალების ძირითადი მიზეზი გახდა.

7. მაკდონალდსი მსოფლიოში ერთ დღეში 70 მილიონამდე ადამიანს კვებავს. ქვეყნის წამყვან პორნოსაიტში 78 მილიონზე მეტჯერ შედიან.

8. მოზარდთა მიერ მშობიარობის დონე აშშ-ში გაცილებით მაღალია, ვიდრე ნებისმიერ სხვა განვითარებულ ქვეყანაში.

9. CDC-ის მონაცემებით, დაახლოებით 110 მილიონი ამერიკელი ამჟამად ვენერიული სნეულებით არის დაავადებული.

10. CDC იუწყება აგრეთვე, რომ აშშ-ში ყოველწლიურად ვენერიული დაავადებით 20 მილიონამდე ადამიანი სნეულდება.

11. აშშ-ში დაქორწინებული წყვილების რაოდენობამ, რომლებსაც შვილები ჰყავთ, ესესაა მიაღწია 56-წლიან მინიმუმს.

12. გაეროს ხალხთა დასახლების ფონდის მონაცემებით, აშშ-ში ქორწინების გარეშე მშობიარობის რაოდენობა 40 პროცენტს უდრის. 1970 წელს ეს რიცხვი მხოლოდ 10 პროცენტი იყო.

13. დღეს აშშ-ში ყოველი მესამე ახალშობილი ცხოვრობს უმამოდ.

14. მთელი მსოფლიოს „ციხეების მოსახლეობის“ დაახლოებით ერთი მეოთხედი ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება.

15. იმ დროისთვის, როცა ამერიკელ ბავშვს 18 წელი უსრულდება, მას ტელევიზიით დაახლოებით 40 000 მკვლელობა აქვს ნანახი.

16. მაიოს კლინიკის გამოკვლევით, ამერიკელების თითქმის 70 პროცენტი ერთ რეცეპტულ პრეპარატს მაინც იღებს. გამაოგნებელია, რომ ამერიკელების 20 პროცენტი სულ ცოტა რეცეპტული პრეპარატით მკურნალობს.

17. დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრის მონაცემებით, აშშ-ში ყოველწლიურად მოქალაქეებს ანტიდეპრესანტების 250 მლნ-ზე მეტ რეცეპტს უწერენ.

18. აშშ-ში ამჟამად რამდენიმე მილიონი უსახლკაროა, მაგრამ ბევრ ქალაქში სულ უფრო მეტ კანონს იღებენ, რომლებიც მათ კვებას კრძალავს.

19. ერთ-ერთი უახლესი გამოკვლევით, ერთი საშუალო ამერიკელი თვეში 86 საათს მობილურ ტელეფონს არის მიჯაჭვული.

20. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ამერიკელი მოზარდების ერთ მესამედს ბოლო წელიწადის განმავლობაში არც ერთი წიგნი არ წაუკითხავს.

21. ამერიკელები მატერიალური მომხვეჭელობით არიან შეპყრობილი და მზად არიან, ვალის უღელი დაიდონ იმის მისაღებად, რისი სურვილიც გაუჩნდებათ. ამ დროისთვის ამ ქვეყანაში ამოქმედებულია 480 მილიონი საკრედიტო ბარათი, რაც 2015 წლის მონაცემზე 13 პროცენტით მეტია.

22. ამჟამად 37 მილიონი საკრედიტო ბარათის ანგარიშები აშშ-ში ვადაგასულია.

23. დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკის ცენტრების მონაცემებით, 15-დან 24 წლამდე ყველა ამერიკელი ორალური სექსით ერთობა.

24. აშშ-ში ყოველი მეოთხე მოზარდი გოგონა დაავადებულია მინიმუმ ერთი სენით, რომელიც სქესობრივი გზით გადადის.

25. გამოთვალეს, რომ ყველა ინტერნეტტრაფიკის 30 პროცენტი ამჟამად მოზრდილთა საიტებს ხმარდება.

26. პენტაგონის მონაცემებით, ახალგაზრდების 71 პროცენტს არმიაში სამსახურისთვის არ იღებენ ან იმის გამო, რომ ძალიან ტლუა, ან ძალიან მსუქანია, ან კრიმინალური წარსული აქვს.

27. ქალაქმა სან-ფრანცისკომ 2018 წელს 5,8 მილიონი შპრიცი უფასოდ დაურიგა ნარკომანებს.

28. შარშანდელი შვიდდღიანი უქმეების შემდეგ სან-ფრანცისკოში შეიტანეს 16000 ოფიციალური საჩივარი ადამიანის უამრავი ფეკალიის გასატანად, რომლებიც ქუჩებში იყო დაგროვებული.

29. გადაუხდელი ვალდებულებების ჩათვლით აშშ-ის სახელმწიფო ვალი 222 ტრილიონი დოლარია.

30. აშშ-ში თვითმკვლელობების დონე 2000 წელთან შედარებით ამჟამად 34 პროცენტითაა გაზრდილი.

31. თვითმკვლელობები ამჟამად 15-დან 24 წლამდე ამერიკელების გარდაცვალების მეორე მნიშვნელოვანი მიზეზია.

32. აშშ პირდაპირი გაგებით ანადგურებს ჩვენს პლანეტას. ვარაუდობენ, რომ პლასტმასის საერთო ოდენობა მსოფლიო ოკეანეებში 2050 წლისთვის ყველა თევზის ოდენობას გადაწონის.

33. დღეისთვის აშშ-ში აღრიცხულია 85000-ზე მეტი სქესობრივი დამნაშავე.

34. ყოველწლიურად დასაბადებელთა რაოდენობა, რომლებსაც აბორტების შედეგად კლავენ, დაახლოებით იმდენივეა, რაც აშშ-ის მიერ წარმოებულ ყველა ომში დახოცილი ამერიკელი ჯარისკაცების რაოდენობა.

35. ამერიკელი ქალების დაახლოებით ერთმა მესამედმა აბორტი 45 წლამდე გაიკეთა.

36. დაახლოებით 3000 ამერიკელი დაიღუპა მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე განხორციელებული ტერაქტის შედეგად 11 სექტემბერს. ყოველდღიურად 3000-ზე მეტი ბავშვი იღუპება აბორტების შედეგად (ყველა ფორმატის აბორტის ჩათვლით).

37. ერთი ფრიად გამაოგნებელი გამოკვლევით დადგინდა, რომ ყველა აბორტის 86 პროცენტი კომფორტისთვის კეთდება.

38. აშშ-ში ყოველ კვირაში საშუალოდ 100-ზე მეტი ეკლესია იხურება.

39. საშუალო ასაკის ამერიკელების მხოლოდ 37 პროცენტი რეგულარულად დადის ეკლესიაში.

40. „რელიგიური“ ამერიკელების რაოდენობა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში 266 პროცენტით შემცირდა.

# ერთადერთი გზა, რომელიც გადაგვარჩენს, ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ქვეყნებისკენ მიდის, რომლებიც უცხო სახელმწიფოების გავლენის ქვეშ არ იმყოფებიან.

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «ამას ველოდი, მოვესწარ»



**დიდი აკაკის ეს ცნობილი სიტყვები გავიხსენე, როცა ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, საქართველოში „პატრიოტთა ალიანსის“სახით პირველად გამოჩნდა საპარლამენტო ძალა, რომელიც ნატოში გაერთიანების სანაცვლოდ მოგვიწოდებს, მივბაძოთ შვედეთს, შვეიცარიას, ფინეთს და გავხდეთ სამხედრო ბლოკების მიუმხრობელი ქვეყანა.**

ეს ინიციატივა ჭეშმარიტად მისასალმებელი და მხარდასაჭერია. მჯერა, რომ ახლო მომავალში მის პრაქტიკულ რეალიზებას ვიხილავთ, რადგან ის საქართველოს გეოგრაფიული სივრცის კანონზომიერებაა; რატომ? — იმიტომ, რომ საქართველო სამხრეთ კავკასიაში მდებარეობს ნატოსადმი დაპირისპირებული ქვეყნების — რუსეთის, სომხეთის, აზერბაიჯან-ირანის სამეზობლოში და არა ბისკაის ყურეში, როგორც გზააბნეულ ხელისუფალთ და ვაიევროპელ ქართველებს ჰგონიათ.

ნატოში გაერთიანება საქართველოსთვის შეუთავსებელი რომ არის, ამის შესახებ მე, 90-ე წელიწადში გადაბიჯებული პოლიტოლოგი, დიდი ხანია, ვწერ (იხილეთ, „ჩემი რჩევები პრეზიდენტ მ. სააკაშვილს“ — გაზ. „პრეზიდენტი“ №2, 7 იანვარი, 2005 წ. „ხალხისა და ხელისუფალთა გასაგონად, ანუ ნატო და საქართველო“ — გაზ. „ასავალ-დასავალი“ №8, 25 თებერვალი 2008 წ. „ხელისუფალნო, მიბაძეთ ფინეთს!“ — გაზ. „საქართველო და მსოფლიო“, №2, 18 იანვარი, 2012 წ. „ნატოზე უარი ღიად უნდა ვთქვათ“ — გაზ. „საქართველო და მსოფლიო“ №45, 4 დეკემბერი 2012 წ. და სხვ.).

დრო აღარ ითმენს, პატრიოტთა ალიანსს აქვს ისტორიული შანსი, მოიგოს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები. „ქართულ ოცნებას“ პედერასტ-ლესბოსელთა თარეში შეიწირავს, ხოლო ნაციონალები და მათი ნასხლეტები 10-12 პროცენტს ვერ გასცდებიან.

წარმატებას რომ მიაღწიოს, პატრიოტთა ალიანსმა უნდა იმოქმედოს მოწოდებებით: „ნატოში გაერთიანების ნაცვლად — სამხედრო ნეიტრალიტეტის ფინური ვარიანტი“. „დიპლომატური ურთიერთობის აღდგენა და კეთილმეზობლობა რუსეთთან საქართველოს ტერიტორიული გამთლიანების ერთადერთი გზაა“, „მშვიდობა და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობა ყველა ქვეყანას“.

გვერდზე გადავდოთ ურთიერთქიშპი, ამბიციები, გავერთიანდეთ მესამე მძლავრ ძალად და გავიმარჯვებთ. მაშ, ვიმოქმედოთ!

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი**
**ქუთაისი**

## საქართველოს ტრაგედია მინიატურებში

**ბრძენს უთქვამს: გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო, და მეც შევეცდები, ვრცლად სათქმელი მინიატურებში გამოვხატო.**

***

ოჰ, ეს საოცნებო ნატო! მას ხელისუფალნი და გზააბნეული ქართველები ისეთი თავგამოდებით ეტრფიან, რომ, ალბათ, მზეთუნახავი ქალწული ჰგონიათ, სახელად ნატო. ბატონებო, გირჩევთ, ბრიუსელს ეახლოთ და იქ ნატოს ბინის ფანჯრებთან სერენადები იმღეროთ, იქნებ მოხიბლოთ და საოცნებო ნატომ ჩაგიხუტოთ კიდეც.

* * *

დღეს საქართველოს ვაშინგტონი, ბრიუსელი, სტრასბურგი, ვენეციის კომისია და ა.შ. ისე აგუნდავებენ ხელიდან ხელში, ვითარცა დიასახლისი მჭადის ცომს კეცზე დაკვრის წინ.

* * *

არავითარი დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო არ არსებობს, რადგან მისი მბრძანებელ-კანონმდებელი ხელისუფალნი ვაშინგტონში, ბრიუსელში, სტრასბურგში, ვენეციის კომისიაში სხედან, ხოლო მათი ნების მონა-მორჩილი აღმასრულებლები — თბილისში.

* * *



აფხაზეთი და ცხინვალის მხარე 1988-89 წლებში დავკარგეთ, როცა ქართველმა დისიდენტებმა აამოქმედეს რუსოფობიით, ანუ რუსეთისადმი ზიზღითა და სიძულვილით გაჟღენთილი ლოზუნგები: „რუსო ოკუპანტო“, „რუსო, წაეთრიე“, „რუსო ბროდიაგა“ და მისთანები, სანაცვლოდ რუსულმა საზოგადოებამ ჩვენ, ქართველები, ავადმყოფ ერად შეგვირაცხა, მაშინ ეს დიდ შეურაცხყოფად ჩავთვალე, დღევანდელი გადასახედიდან კი...

* * *

ასე გამოიყურება დღეს ტერიტორიებდაკარგული საქართველოს რუკა — ქართველთა 30-წლიანი რუსოფობიის — ზიზღის, სიძულვილის, უწყვეტი მტრობის უშუალო ნაყოფი; შემზარავია ამ სურათის ხილვა. ქართველთა რუსოფობიას აშშ-დასავლეთი ვერაგული პოლიტტექნოლოგიების მოშველიებით მიზანმიმართულად აღვივებს, ეს მათ ინტერესებს შესანიშნავად რგებს.

**გივი გურეშიძე,**
**ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი**
**ქუთაისი**

## გზა, რომელსაც დღეს ადგას საქართველო, სიკეთის მომტანია მთავრობის როლის შემსრულებლებისთვის, ქართველი ერისთვის კი — დამღუპველი



**იმისათვის, რომ დასავლური სიონისტური იდეოლოგია მისაღები გახდეს და მყარად დამკვიდრდეს მოსახლეობის აზროვნებაში, საქართველოს მთავრობის როლის შემსრულებლები გულუხვად აფინანსებენ პრესას, რადიოსა და ტელევიზიას. მათგან ტელევიზიის ღვაწლი განუსაზღვრელია სიცრუის სიმართლედ გასაღების, ბოროტების სიკეთედ წარმოსახვისა და გარყვნილების პოპულარიზაციის საქმეში.**

ქართული სიტყვა „თავისუფალი“ საკუთარი თავის ღმერთსა და ღვთის მორჩილებაში ყოფნას ნიშნავს. როგორ შეიძლება, თავისუფალი ეწოდოს პრესას, რადიოსა და ტელევიზიას, რომლებიც სიცრუეს, ბოროტებასა და გარყვნილებას უწევენ პროპაგანდას?! გამონაკლისია გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, რომელიც სიმართლეს აწვდის მკითხველს.

ქართველი, რომელსაც თავისი ერი და სამშობლო უყვარს, არ იკადრებს ქვეყნის ისეთი მთავრობის წევრი გახდეს, რომელიც უცხო ძალების მონა-მორჩილი და ერთგული მსახურია.

პრეზიდენტი, პრემიერმინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე, თავიანთი თანმხლები პირებით, ვოიაჟებს აწყობენ საზღვარგარეთის ქვეყნებში, იხარჯება მილიონები, გვემატება ვალები. იმისათვის, რომ უცხო ქვეყნების მთავრობებმა რუსეთს „ოკუპანტი“ უწოდონ, საქართველოს ტერიტორიების ნაწილი „ოკუპირებულად“ ცნონ და **მოჩვენებითი თანაგრძნობა** გამოთქვან. სამაგიეროდ, მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილი მცირეწლოვანი შვილებისა და მოხუცი მშობლების გამოსაკვებად და სამკურნალოდ მონურ შრომას ეწევა უცხოეთში.

გაცილებით უკეთესი პირობები აქვთ რუსეთში დასაქმებულ ქართველებს, მაგრამ საქართველოს ე.წ. მთავრობა არც კი ფიქრობს, კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყაროს მასთან. ამას არც რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენები ცდილობენ.

* დღითიდღე ძვირდება სამედიცინო მომსახურება. სამკურნალო პრეპარატების გაძვირებასთან ერთად ხდება მათი ფალსიფიცირება. იმატა ავადმყოფთა რაოდენობამ და მოკვდავობამ.

* ძნელი დასაჯერებელია, რომ ლუგარის ლაბორატორიისა და მისი ფილიალების განთავსება საქართველოში მოსახლეობის საკეთილდღეოდ იყოს გამიზნული.

* სწავლა-აღზრდის საქმე აუტანელი გახადეს. მასწავლებლებს ავალდებულებენ, მოსწავლეები მომსახურე უინტელექტო პერსონებად აღზარდონ, სამაგიეროდ, ხელფასების მომატების პირობას აძლევენ.

დასავლეთიდან შემოგდებული დევიზი: „მეტი ქალი პოლიტიკაში“ წარმატებით მიმდინარეობს. იმატა ქალთა რაოდენობამ პარლამენტსა და მთავრობაში მაღალ პოსტებზე, რომლებიც გულმოდგინედ ემსახურებიან უცხო ძალებს და ცდილობენ, დაკანონდეს **ჰომოსექსუალთა შორის ქორწინება** და **სკოლებში „სექსუალური განათლების“** მიღება.

1991 წლის 9 აპრილიდან საქართველო მოექცა კაცობრიობის მტერი სახელმწიფოების ზეგავლენის ქვეშ, რითაც ყოფნა-არყოფნის ზღვარზე ვართ დამდგარი. საქართველოს ისტორიულ მტრად რუსეთის წარმოსაჩენად მიმდინარეობს აღვირახსნილი პროპაგანდა, თხზავენ უამრავ მითს.

ისტორიული სინამდვილეა, რომ მესხეთ-ჯავახეთის საქართველოსთან შემოსაერთებლად წარმოებულ ომში ათასობით რუსი ჯარისკაცი დაიღუპა. ანალოგიური რამ ითქმის სხვა რეგიონებზეც.

ძნელია ჩამოთვლა და შეფასება იმ სიკეთეებისა, რომლებიც კავკასიის მთავარმართებელ **ვორონცოვს** მიუძღვის ქართველი ერის წინაშე:

თბილისს დედაქალაქის სტატუსი აღუდგინა და კავკასიის ცენტრალურ ქალაქადაც გამოაცხადა, დაარსა ქართული ეროვნული თეატრი, გახსნა ეროვნული სახელმწიფო სკოლები, ქართველ ახალგაზრდობას შესაძლებლობა მიეცა, რუსეთისა და ევროპის პრესტიჟულ სასწავლებლებში მიეღოთ სწავლა-განათლება, შექმნა „ქართული ისტორიოგრაფია“, აკრძალა **ლეკიანობა** და **„ანაკლიის ბაზრობა“**, რითაც ის ქართველი თავადები, რომლებიც მონაწილეობდნენ ქართველი გოგონებისა და ბიჭუნების საზღვარგარეთ „გაყვანა-გაყიდვის“ საქმიანობაში, დიდად გაანაწყენა.

1903 წელს, ქუთაისის გუბერნატორ **სტაროსელსკის** ინიციატივით, ქვემო იმერეთში დარგეს ფილოქსერაგამძლე საძირე ვაზი, რამაც გადაარჩინა მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში.

მეურნეობამ **„ვაზისუბნის სტაროსელსკის სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის“** სახელწოდებით დაასრულა თავისი არსებობა. ამჟამად მისი ფართობი ტყითა და ეკალ-ბარდით არის დაფარული.

ამჟამად საქართველოში მძვინვარებს „პლუტოკრატია“. პლუტოკრატია ბერძნული სიტყვაა, რომელიც სიმდიდრის ძალაუფლებას ნიშნავს. ეს ისეთი პოლიტიკური წყობილებაა, რომლის დროსაც სახელმწიფოს მართავს დემოკრატიის ნიღბიანი გაბატონებული კლასის ყველაზე მდიდარ წარმომადგენელთა მცირერიცხვოვანი ხროვა.

გზა, რომელსაც დღეს ადგას საქართველო, სიკეთის მომტანია მთავრობის როლის შემსრულებლებისთვის, ქართველი ერისთვის კი — დამღუპველი.

ერთადერთი გზა, რომელიც გადაგვარჩენს, ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ქვეყნებისკენ მიდის, რომლებიც უცხო სახელმწიფოების გავლენის ქვეშ არ იმყოფებიან.

საჭიროა, **შეიქმნას „ეროვნული ხსნის სათათბირო“, რომლის შემადგენლობაში შევლენ: გრიგოლ ონიანი, ვალერი კვარაცხელია, გულბაათ რცხილაძე, ჰამლეტ ჭიპაშვილი, თამარ კიკნაძე, ადა მარშანია, დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, დავით მხეიძე და სხვები, რომლებიც გრძნობენ და განიცდიან იმ უბედურებას, რომელიც დღითიდღე გვიახლოვდება.**

**ისმაილ ახალაძე,**
**სამტრედია**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს ლეგენდარული იარაღი, პირველი საბჭოთა პისტოლეტი, შექმნა კონსტრუქტორმა ტოკარევმა 1930-იანი წლების დასაწყისში. პისტოლეტმა TT-მ საბჭოთა არმიასთან ერთად გამოიარა დიდი სამამულო ომი. გამოყენებული იყო ომის შემდგომი პერიოდის ყველა კონფლიქტში. დღესაც პოპულარულია რუსეთში. ეს არის უბრალო და საიმედო იარაღი, რომელიც ისვრის 7,62X25 მმ-ის მძლავრ ვაზნებს და შეუძლია ჯავშანჟილეტი გახვრიტოს.**

# 8 ყველაზე პოპულარული, საიმედო და ეფექტიანი პისტოლეტი

პისტოლეტი — ყველაზე გავრცელებული სახეობაა საბრძოლო ცეცხლსასროლი იარაღისა, რომელსაც იყენებენ არა მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეები და სპეცსამსახურების თანამშრომლები, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქეები თავდაცვის დროს და სპორტულ შეჯიბრებებში. პისტოლეტი — ეს არის მოკლელულიანი იარაღი, რომლის ეფექტიანი სროლის სიშორე 25-30 მ-ს შეადგენს. კლასიკური პისტოლეტის მჭიდის ტევადობა განისაზღვრება 8-9 ვაზნით, თუმცა ბოლო პერიოდში ხშირად გვხვდება მოდელები, რომელთა მჭიდში 20-მდე ვაზნაა. ამ იარაღის პირველი ნიმუშები XV საუკუნეში გაჩნდა, მაგრამ ის ერთვაზნიანი, მძიმე და ძნელად დასამუხტი იარაღი იყო. XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან პისტოლეტები რევოლვერებმა განდევნეს. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ კი დაიწყო მრავალმუხტიანი პისტოლეტების ეპოქა, რომელიც დღემდე გრძელდება. გთავაზობთ ჩამონათვალს, რომელშიც შევიდა სხვადასხვა ქვეყნისა და პერიოდის საუკეთესო პისტოლეტები. შერჩევის კრიტერიუმი იყო არა მხოლოდ პისტოლეტის ტექნიკური მახასიათებლები, არამედ მათი კონსტრუქციების რევოლუციურობა, აგრეთვე, პოპულარობა პროფესიონალებსა და იარაღის მოყვარულთა შორის.



## 8. სტეჩკინის ავტომატური პისტოლეტი

ეს პისტოლეტი, რომელიც 1940-იანი წლების ბოლოს შექმნეს საბჭოთა კავშირში, ისვრის 9X18 მმ ვაზნებს. ძალიან პოპულარულია რუსეთსა და სსრკ-ის სხვა ყოფილ რესპუბლიკებში. სტეჩკინის პისტოლეტის განსაკუთრებული თავისებურება არის ის, რომ მისგან შეიძლება ავტომატური სროლა, რაც უჩვეულოა ამ სახეობის იარაღისთვის. პისტოლეტის ბუდე შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც კონდახი. იარაღის სტანდარტული მჭიდის ტევადობა 20 ვაზნაა. სტეჩკინის პისტოლეტი დამზადდა ოფიცრების, მძღოლი-მექანიკოსებისა და მფრინავებისთვის, მაგრამ ის სწრაფად მოხსნეს შეიარაღებიდან. პისტოლეტის ნაკლოვანებებია: მძიმე წონა და ზომების სიდიდე. მიუხედავად ამისა, მას იყენებდნენ ცივი ომის პერიოდის ათეულობით კოლნფლიქტში — ყოფილი სსრკ-ის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ.



## 7. ვალტერი PP/PPK

ერთ-ერთი პოპულარული და წარმატებული პისტოლეტია. ამის მტკიცებულებაა მისგან აღებული უამრავი ასლი და კლონი. Walter PP დაამზადეს 1929 წელს, როგორც პოლიციელის პისტოლეტი, მაგრამ მოგვიანებით ფართოდ იყენებდნენ ტანკისტები, მფრინავები და მეზღვაურები. გასული საუკუნის 60-იან წლებში განახლდა ამ გერმანული იარაღის სერიული წარმოება, რაც დღესაც გრძელდება. ამას გარდა, პისტოლეტს ლიცენზიით ამზადებენ აშშ-შიც. სულ გამოშვებულია ამ იარაღის მილიონზე მეტი ეგზემპლარი.



## 6. TT (ტოკარევის ტულის)

ეს ლეგენდარული იარაღი, პირველი საბჭოთა პისტოლეტი, შექმნა კონსტრუქტორმა ტოკარევმა 1930-იანი წლების დასაწყისში. პისტოლეტმა TT-მ საბჭოთა არმიასთან ერთად გამოიარა დიდი სამამულო ომი. გამოყენებული იყო ომის შემდგომი პერიოდის ყველა კონფლიქტში. დღესაც პოპულარულია რუსეთში. ეს არის უბრალო და საიმედო იარაღი, რომელიც ისვრის 7,62X25 მმ-ის მძლავრ ვაზნებს და შეუძლია ჯავშანჟილეტი გახვრიტოს.

TT შედარებით მცირე ზომისაა, შეიძლება მისი ფარულად ტარება, თუმცა აქვს ერგონომიკური ხარვეზები.



## 5. CZ75

ჩეხოსლოვაკიური პისტოლეტი 1975 წელს დაამზადეს ძმებმა კოუცკებმა, რომლებსაც ამ მოდელის შექმნისკენ უბიძგა Browning Hi-Power-მა. ჩეხოსლოვაკიური მოდელი გათვლილია 9 მმ-ის ვაზნების სროლაზე. მჭიდის ტევადობა 16 ვაზნაა. ეს არის ძალიან ზუსტი, მოხერხებული და ეფექტიანი იარაღი.



## 4. ბერეტა M92

ბერეტა ყველაზე პოპულარული პისტოლეტია მსოფლიოში. იტალიური ლეგენდა 1972 წელს შეიქმნა. მიუხედავად სოლიდური წლოვანებისა, მაინც აწარმოებენ. ყოველწლიურად ამზადებენ ამ მარკის 100 ათას პისტოლეტს, 1985 წელს დაიკავა მოკლელულიანი იარაღის ძირითადი ადგილი აშშ-ის არმიაში. აქტიურად შეისყიდიდნენ 1995 წლამდე.





## 3. ჰეკლერი და კოხი USP

შედარებით ახალგაზრდა გერმანული პისტოლეტია, რომელიც დაამზადეს 1989 წელს. ისვრის 9 მმ-ის ვაზნებს. იყენებს გფრ-ს არმია. მჭიდის ტევადობა 15 ვაზნაა, იარაღის მასა — 770 გრ. ბოლო ორი ათეული წელია, პისტოლეტმა მოიპოვა ფართო აღიარება და მისი პოპულარობა მატულობს. ამჟამად პისტოლეტს შეისყიდის ათეულობით ქვეყნის სამხედრო ნაწილები, პოლიცია და სპეცსამსახურები.



## 2. გლოკ 17

ეს ავსტრიული პისტოლეტი პოპულარობით არ ჩამორჩება ბერეტას. იარაღი ძალიან მარტივი კონსტრუქციისაა, აქედან გამომდინარე — საიმედო და გამოსაყენებლად მარტივი. ბოლო წლებში გლოკის პისტოლეტების საწარმოო ხაზი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. გაჩნდა პისტოლეტის ვარიანტი 45 ACP კალიბრის. ასეთ პისტოლეტებს შეისყიდის აშშ-ის არმია, ამას გარდა, ამ პისტოლეტის ათეულობით მოდელით შეიარაღებულია 30-ზე მეტი ქვეყნის სპეცსამსახური, პოლიცია და არმია.



## 1. კოლტი M1911A1

პისტოლეტების ბაზრის ვეტერანი იარაღი შექმნა კონსტრუქტორმა **ჯონ მოზეს ბრაუნინგმა** 1908 წელს. პისტოლეტმა არაერთხელ განიცადა მოდერნიზაცია. ეს იარაღი შესანიშნავი აღმოჩნდა საბრძოლო ვითარებაში — მეომრების ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ დღესაც იყენებენ აშშ-ის არმიაში. გამოიარა ორი მსოფლიო ომი, ათეულობით კონფლიქტი და აშშ-ის სამხედრო კამპანიები ახლო აღმოსავლეთში.



მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1935 წლის 25 მაისს ჯესი ოუენსმა შექმნა სპორტული საოცრება, რომელსაც, ალბათ, ვერავინ გაიმეორებს, და რომელმაც აღაფრთოვანა მსოფლიო. აშშ-ის ნაკრებში მოსახვედრად ჩიკაგოში გამართულ მძლეოსანთა შესარჩევ თამაშებზე ჯესი ოუენსმა 45 წუთში 5 მსოფლიოს რეკორდი დაამყარა სხვადასხვა სპრინტერულ დისტანციაზე, აგრეთვე, სიგრძეზე ხტომაში, თანაც ბოლო რეკორდი — 8 მეტრი და 13 სმ — მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ვერავინ მოხსნა.**

# მორბენალი, რომელმაც ჰიტლერს საშინაო ოლიმპიადა ჩაუშალა

**XX საუკუნეში სპორტი არცთუ იშვიათად პირდაპირ იყო დაკავშირებული პოლიტიკასთან. ბერლინში XI ოლიმპიური თამაშების ჩატარების გადაწყვეტილება საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა 1932 წელს მიიღო — ერთი წლით ადრე, სანამ გერმანიის ხელისუფლების სათავეში ნაცისტები მოვიდოდნენ, მაგრამ ამ თამაშებისთვის მზადება ჰიტლერის მმართველობის პერიოდში დაიწყო. 1936 წელს ყველა ხვდებოდა, რომ ნაცისტები შეეცდებოდნენ, ოლიმპიური თამაშები გამოეყენებინათ თავიანთი რასობრივი თეორიების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მსოფლიოსთვის. ამ თამაშებში უნდა გაემარჯვათ მხოლოდ არიული წარმოშობის „ზეადამიანებს“, რომლებიც დანარჩენი ერების წარმომადგენლებს აღემატებოდნენ ყველაფერში, მათ შორის, სპორტშიც.**





ლუტც ლონგი და ჯესი ოუენსი

ნაცისტებს სურდათ, თავიანთი გამარჯვება საჩვენებელი ყოფილიყო და ამიტომ შეეცადნენ, ბერლინში ოლიმპიადაზე მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა ჩასულიყო. უცხო ქვეყნებიდან ტურისტების მოსაზიდად საზღვარგარეთ გაგზავნეს პროპაგანდისტული დელეგაციები. ამასთანავე, ოლიმპიურ თამაშებს, რომლებიც 1-16 აგვისტოს უნდა ჩატარებულიყო, სპეციალურად დაამთხვიეს რამდენიმე საერთაშორისო კონგრესი. ბერლინში სასპარეზოდ ჩავიდა 49 ქვეყნის 4 ათასზე მეტი სპორტსმენი — 4-ჯერ მეტი, ვიდრე წინა ოლიმპიადაზე ლოს-ანჯელესში. ყველაზე მრავარიცხოვანი იყო გერმანიის გუნდი — 406 სპორტსმენი. ბერლინში სპორტსმენები სვასტიკიან დროშებს უფრო ხშირად ხედავდნენ, ვიდრე დროშებს 5 ოლიმპიური რგოლით. ქალაქი სავსე იყო საიდუმლო პოლიციის წარმომადგენლებით, რომლებსაც დაწვრილებით ჰქონდათ შესწავლილი ოლიმპიურ სოფელში ჩასული ყველა სპორტსმენის დოსიე, თუმცა გარეგნულად ყველაფერი საზეიმოდ გამოიყურებოდა. XI ოლიმპიადა 1936 წლის 1 აგვისტოს გახსნა **ადოლფ ჰიტლერმა,** მას მშვიდობის ზეთისხილის რტო გადასცა პირველმა თანამედროვე ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ბერძენმა მარათონელმა **სპიროს ლუისმა,** რომელმაც თავისი ოქროს მედალი 1896 წლის ოლიმპიადაზე მოიპოვა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ბერლინში ბევრი რამ პირველად მოხდა და შემდეგ ტრადიციად იქცა: ოლიმპიური ცეცხლის ასანთებად ჩირაღდანი ესტაფეტით პირველად ჩაიტანეს საბერძნეთიდან ბერლინში. პირველად განხორციელდა სპორტული შეჯიბრების ტელეტრანსლაცია. ოლიმპიურ სახეობებად პირველად აღიარეს კალათბურთი და ხელბურთი... როგორც მოსალოდნელი იყო, ოლიმპიადაზე გაიმარჯვა გერმანიის გუნდმა, რომელმაც 33 ოქროს, 26 ვერცხლისა და 30 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მაგრამ არიელი „ზეადამიანის“ ზეიმი ვერ მოხერხდა — აშშ-ის შავკანიანმა მძლეოსნებმა თავიანთ სახეობებში 6 პირველი, 3 მეორე და 2 მესამე ადგილი დაიკავეს. XI ოლიმპიადის საუკეთესო სპორტსმენად კი შავკანიანი მძლეოსანი **ჯესი ოუენსი** (1913-1980) აღიარეს.

ბერლინში მან 4 ოქროს მედალი მოიგო და 4 ოლიმპიური და 1 მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ოუენსის გამარჯვებებმა განარისხა ტრიბუნაზე მყოფი ადოლფ ჰიტლერი. ოუენსს ბევრი მიიჩნევს ყველა დროის საუკეთესო ათლეტად. საინტერესოა, მის მიერ ნაჩვენები შედეგების შედარება თანამედროვე სპორტსმენების შედეგებთან.

1936 წელს ოუენსის სარეკორდო მაჩვენებელი 100 მ-ზე სირბილში იყო 10,2 წმ. მსოფლიოს ამჟამინდელი რეკორდი კი ამ დისტანციაზე, რომელიც იამაიკელმა სპორტსმენმა **უსეინ ბოლტმა** 2009 წელს დაამყარა, 9,58 წმ-ის ტოლია. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლტი სტარტს იღებდა რთული კონსტრუქციის თანამედროვე სასტარტო მოწყობილობით, გარბოდა სინთეტიკურ ბილიკზე, გარბენის დროს კი ელექტრონული მოწყობილობა აღრიცხავდა.

ოუენსი დარბოდა წიდიან ბილიკზე, დროს კი ხელის წამმზომით აღრიცხავდნენ. სხვაობა კი შედეგებში, რომლებსაც 73 წელი აშორებს, მხოლოდ 0,62 წამია. ჩნდება კითხვა — როგორი იქნებოდა ჯესი ოუენსის შედეგი 100 მეტრზე სირბილში, ჩვენს ეპოქაში რომ ეცხოვრა? თუმცა თავისი შედეგით, 10,2 წმ-ით, ის დღეს მსოფლიოს ყველაზე სწრაფი მორბენლების სიაში მაინც იქნებოდა.

ოუენსი ფენომენური მონაცემებით დააჯილდოვა ბუნებამ. მან შეძლო ამ მონაცემების განვითარება და გამოყენება, არადა, შეიძლებოდა ასე არ მომხდარიყო — ჯესი მეათე შვილი იყო შავკანიანი ფერმერის ოჯახში, რომელიც ალაბამის შტატში ცხოვრობდა. ჯესის ბაბუა მონა იყო და პლანტაციებში მუშაობდა.

სკოლა, რომელშიც ჯესი დადიოდა, მამის ფერმიდან დაახლოებით 10 კმ-ით იყო დაშორებული და ჯესი მიეჩვია, ეს მანძილი სირბილით დაეფარა. ასე იქცა ალაბამის ბორცვები მის პირველ სტადიონად.

ჯესი 9 წლის იყო, როდესაც ოჯახი ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში გადავიდა საცხოვრებლად. სხვათა შორის, სწორედ კლივლენდის სკოლაში დაუძახეს მას ჯესი, თუმცა ნამდვილი სახელი ჯეიმსი იყო. ოუენსის პირველი მასწავლებელი იყო ფიზკულტურის მასწავლებელი, ირლანდიელი **ჩარლზ რაილი.** მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ ვარჯიშებს ოუნსი ასე იგონებს:

**„პირველი, რაც გვასწავლა, იყო სირბილი ბილიკზე, ისე, თითქოს ამ ბილიკს ცეცხლი ეკიდა. ანუ, ერთი მხრივ, უნდა გვეცადა, რაც შეიძლება ნაკლებად შევხებოდით მიწას, მეორე მხრივ, რაც შეიძლება სწრაფად მისულიყავით ფინიშამდე, მას ხშირად დავყავდით იპოდრომზე და გვაიძულებდა, ყურადღებით გვეცქირა დოლში მონაწილე ცხენებისთვის, როგორ ამოძრავებდნენ ისინი ფეხებს, როგორ იყურებოდნენ მხოლოდ წინ. რაილი გვასწავლიდა, რომ არ დავლოდებოდით სწრაფ შედეგებს. „თქვენი ამოცანაა არა შედეგი, არამედ გაუმჯობესება“. „რამდენ ხანს უნდა ველოდოთ?“ — ვეკითხებოდით ჩვენ. „ოთხ წელიწადს, — გვიპასუხებდა ხოლმე ყოველთვის, — შემდეგი პარასკევიდან “.**

ჯესი ოუენსთან პროფესიონალი მწვრთნელები მუშაობდნენ, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში რეილი მის გვერდით იყო.

15 წლის ჯესი 100 მეტრს 10,8 წამში გარბოდა და 7 მ-ის სიგრძეზე ხდებოდა. 20 წლის ოუენსმა პირველად გაიმეორა მსოფლიოს რეკორდი 100 იარდზე (91,44 მ) სირბილში, გადახტა 7 მ-სა და 65 სმ-ზე. ეს ბრწყინვალე შედეგები დაეხმარა შავკანიან ახალგაზრდას, ჩაებარებინა ოჰაიოს უნივერსიტეტში, რომლის მძლეოსანთა გუნდს წვრთნიდა ლარი სნაიდერი. სწორედ მასთან ერთად დაიწყო ჯესიმ ოლიმპიური გამარჯვებებისკენ სვლა.

1935 წლის 25 მაისს ჯესი ოუენსმა შექმნა სპორტული საოცრება, რომელსაც, ალბათ, ვერავინ გაიმეორებს, და რომელმაც აღაფრთოვანა მსოფლიო. აშშ-ის ნაკრებში მოსახვედრად ჩიკაგოში გამართულ მძლეოსანთა შესარჩევ თამაშებზე ჯესი ოუენსმა **45 წუთში 5 მსოფლიოს რეკორდი დაამყარა** სხვადასხვა სპრინტერულ დისტანციაზე, აგრეთვე, სიგრძეზე ხტომაში, თანაც ბოლო რეკორდი — 8 მეტრი და 13 სმ — მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ვერავინ მოხსნა.

1936 წლის ივლისის დასაწყისში ნიუ-იორკის პორტიდან ევროპისკენ გეზი აიღო გიგანტურმა სამგზავრო ხომალდმა „მანჰეტენმა“, რომლის ბორტზეც აშშ-ის ოლიმპიური ნაკრები იყო. ბერლინში, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი ინტერესით შეხვდნენ ჯესი ოუენსს, რომელმაც ერთი წლით ადრე 5 მსოფლიო რეკორდი დაამყარა 45 წუთში. 100 მ-იან დისტანციაზე ოუენსი 4-ჯერ გამოვიდა და 4-ჯერვე გაიმარჯვა, თანაც მეორე გარბენისას მსოფლიო რეკორდი გაიმეორა — 10,2 წმ. მართალია, საფინალო გარბენი წამის მეათედით უარესი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ახალი ოლიმპიური რეკორდი გახლდათ. ერთი დღით ადრე ადოლფ ჰიტლერი პირადად ულოცავდა გერმანელ სპორტსმენებს ოქროს მედლების მოპოვებას, შავკანიანი ათლეტის გამარჯვება კი მის სახეზე უკმაყოფილების გრიმასას იწვევდა. ფიურერმა არ მოისურვა, ხელი ჩამოერთმია ჯესი ოუენისთვის. მეორე დღეს, დილით, ოუენსმა იოლად გაიმარჯვა წინასწარ შეჯიბრებებში 200 მ-ზე სირბილსა და სიგრძეზე ხტომაში.

საღამოს კი სიგრძეზე ხტომის სექტორში გაჩაღდა ცნობილი ბრძოლა ოუენსსა და გერმანიის „არიულ“ იმედს, **ლუტც ლონგს,** შორის. გამარჯვებულის ვინაობა ბოლო ცდამდე უცნობი იყო. ლონგი 7 მეტრსა და 87 სანტიმეტრზე გადახტა და დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვა. სტადიონი აღტაცების შეძახილებით შეხვდა მის ნახტომს, შემდეგ კი გაირინდა — ოუენსი სრულ სიჩუმეში გადახტა 8 მეტრსა და 6 სმ-ზე. პირველი ორი ოქროს მედლის შემდეგ ოუენსმა დაიპყრო ბერლინი, სადაც არ მოიძებნებოდა ადამიანი, რომელმაც მის შესახებ არაფერი იცოდა. ოუენსმა ბერლინელები არა მხოლოდ სპორტული შედეგებით მოხიბლა, არამედ მოწინააღმდეგეების მიმართ ჯენტლმენური დამოკიდებულებითაც. 200 მ-ის დისტანციაზე ოუენსმა მესამე ოქროს მედალი მოიგო, მეოთხე ოქრო კი 4X100-ზე ესტაფეტაში მოიპოვა. ბერლინის ოლიმპიადის შემდეგ 23 წლის ოუენსმა დატოვა სამოყვარეო სპორტი და ფულის გამო პროფესიონალებში გადავიდა.

1978 წელს ცოლმა დაიყოლია ოუენსი, თავი დაენებებინა მუშაობისთვის და დასახლებულიყვნენ წყნარ ადგილას არიზონის შტატში. პირველივე თვეს ოუენსი პნევმონიით დაავადდა, მას შემდეგ ვერ განიკურნა (ბევრს ეწეოდა) და 1980 წელს ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა.

4 წლის შემდეგ კი დიდი სპორტსმენის შვილიშვილმა ჯინამ ოლიმპიური ჩირაღდნით ხელში გაირბინა ლოს-ანჯელესის სტადიონის სარბენ ბილიკზე და XXIII ოლიმპიადა გახსნა.

მოამზადა
ნიკა კორინთელმა





# მიგრანტები: საფრანგეთი ფრანგების არაა, ის ყველასია!



მიგრანტებმა, რომლებსაც „შავ ჟილეტებს“-აც უწოდებენ, შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტის მუშაობა დაბლოკეს და ხელისუფლებისგან მოითხოვდნენ, შეეწყვიტა მიგრანტების დეპორტაცია.

ასობით არალეგალმა მიგრანტმა რამდენიმე დღის წინათ პარიზში შარლ დე გოლის სახელობის აეროპორტის მუშაობა შეაჩერა, — იუწყება ბრიტანული გამოცემა Daily Mail-ი. მიგრანტები ხელს უშლიდნენ მგზავრების ჩასხდომას თვითმფრინავში, მოითხოვდნენ პრემიერმინისტრ **ედუარდ ფილიპთან** შეხვედრას და ხელისუფლებას მოუწოდებდნენ, შეეწყვიტა დეპორტაცია.

ამბოხებულებმა მოუწოდეს კომპანია Air France-ს, **„შეწყვიტოს ნებისმიერი ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და პოლიტიკური მონაწილეობა დეპორტაციებში“.**

Daily Mail-ის ინფორმაციით, მიგრანტები გაიძახოდნენ: **„საფრანგეთი ფრანგების არაა, ის ყველასია!“**

გამოცემა აღნიშნავს, რომ ესენი იმ ორგანიზაციის წევრები არიან, რომელიც თავს საფრანგეთში „არალეგალი მიგრანტების უდიდეს კავშირს“ უწოდებს ან „შავ ჟილეტებს“. საპროტესტო აქციის მონაწილეებმა საფრანგეთის პრემიერმინისტრს მოუწოდეს, ყველას მიანიჭოს ლეგალური მიგრანტის სტატუსი.

ალსანიშნავია, რომ შარშან ევროკავშირმა იმაზე 40%-ით ნაკლები ლტოლვილი მიიღო, ვიდრე შარშანწინ, ყველაზე მეტი მიგრანტი კი შეიფარა გერმანიამ, საფრანგეთმა და იტალიამ.

# აშშ-ის ულტიმატუმი ევროკავშირის ქვეყნებს

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ევროკავშირის ქვეყნებს მოსთხოვა, ცვლილებები შეიტანონ ევროკავშირის თავდაცვის სფეროში. კერძოდ, აშშ-მა მოითხოვა ევროპულ პროექტებში იმ ამერიკული კომპანიების ჩართვა, რომლებიც დაკავებულნი არიან იარაღის კონსტრუირებითა და დამზადებით, — იუწყება ესპანური გამოცემა El Paris-ი.**



ბრიუსელი არ ჩქარობს ამერიკის მიერ წაყენებულ პირობებზე დათანხმებას, რადგან ეშინია, რომ ექსპორტის ამერიკული ნორმების ხაფანგში გაებმება.

ესპანურმა გაზეთმა მოიპოვა დოკუმენტები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები შეხვდნენ პოლიტიკისა და უსაფრთხოების ევროპული კომიტეტის დელეგაციას. ამ შეხვედრაზე ამერიკელებმა ევროპელები გააფრთხილეს, რომ შეიძლება მარტონი აღმოჩნდნენ „ისეთი საფრთხის პირისპირ, როგორიც არის რუსეთი“.

მოლაპარაკებების ბოლოს კი გაისმა ულტიმატუმი: ან ევროკავშირი შეცვლის თავის რესტრუქციულ (შეზღუდვის) ნორმებს ან, სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, აშშ-ისა და ევროპის იარაღის ინდუსტრია ცალ-ცალკე იმუშავებს.

მაისში აშშ ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციებით დაემუქრა ევროკავშირს, თუ ამ გაერთიანების ქვეყნები დაიწყებდნენ თავიანთი თავდაცვითი პროექტების განხორციელებას და ამით ნატოს დაემუქრებოდნენ (აქ ნატო საბაბია ამერიკელებისთვის, ისინი იარაღის გასაღების ბაზარზე უფრო ზრუნავენ).

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22



# ევროპელების უმრავლესობას სჯერა, რომ ევროკავშირი დაიშლება

**საზოგადოებრივი აზრის ახალი გამოკითხვის თანახმად, ევროპელების უმრავლესობას სჯერა, რომ ევროკავშირი შეიძლება მომდევნო 10-20 წელიწადში დაიშალოს.**

კვლევა საგარეო ურთიერთობების ევროპული საბჭოს **(ECFR)** დაკვეთით ჩატარდა და ევროპარლამენტის არჩევნების წინა პერიოდში პროგრამა YouGov-ის მიერ ევროკავშირის 14 ქვეყანაში ჩატარებულ გამოკითხვას ეფუძნება.

კვლევამ აჩვენა, რომ ევროპელთა ნაწილს, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ამომრჩევლებს, სჯერათ, რომ ევროკავშირის ქვეყნებს შორის კონფლიქტი შესაძლებელია. საფრანგეთისა და პოლონეთის ერთ მესამედს, ხოლო გერმანელი ამომრჩევლების მეოთხედს სჯერა, რომ ევროკავშირის წევრებს შორის შესაძლებელია ომის გაჩაღება.

14-დან 11 ქვეყნის გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ 10-20 წელიწადში შეიძლება ევროკავშირი ნაწილებად დაიშალოს. კვლევამ გამოავლინა, რომ ეკონომიკური პრობლემების მიმართ ევროპელთა შფოთვა მაღალია. ხალხი წუხს თავშესაფრისა და უმუშევრობის პრობლემებზე.

# 2020 წელს პენსია მოიმატებს



**2020 წლისთვის პენსიის მომატება იგეგმება, — წერია პრემიერმინისტრის წლიური ანგარიშის დოკუმენტში, რომელიც პარლამენტში წერილობითი ფორმით შევიდა.** დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2019-2020 წლებში გათვალისწინებულია პენსიის მომატება. კერძოდ, 2019 წელს ამ მიზნით დამატებით გათვალისწინებულია 200 მლნ ლარი, ხოლო 2020 წელს — 400 მლნ ლარი.

საქართველოში პენსიამ 2019 წელს 20 ლარით მოიმატა, 2020 წელს კი — პენსიის ასევე 20 ლარით მომატება იგეგმება.

ს ი ა ხ ლ ე !

ტიბეტური მედიცინით მკურნალობა

ლიცენზია N 035121



● პროსტატიტი, პოტენციის დაქვეითება, გაძნელებული შარდვა;
● ფიბრომა, მასტოპათია, მენსტრუალური ციკლის მოშლა, გართულებული კლიმაქსი, უშვილობა;
● თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, ინსულტი, მეხსიერებისა და შრომის უნარის დაქვეითება, უძილობა, დეპრესია;
● თავის, ხერხემლის, წელის ტკივილები, სახსრებისა და ძვლების ტკივილი, ართროზი, ოსტეოპოროზი, სკოლიოზი.

მკურნალობა მაღალეფექტური, ორგანიზმისთვის უვნებელი მეთოდებით. ქიმიური წამლებისა და ჰორმონალური პრეპარატების გარეშე.

☎ 599-54-18-30, 247-57-18

სიმაღლეში მომატება!

გაქვთ კომპლექსი სიდაბლის გამო?



დაირეკეთ ახლავე!

574 47 39 04
0790 30 94 35

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894